მაისი, 2018

Forbes GEORGIA

ბიზნესად ქცეული დიდი სიყვარული

7 წლის წინ $800,000-იანი ინვესტიციით დაწყებულ „ბრავო რექორდსს“ უკვე მიუძღვის წვლილი ერთი „გრემის“ მოპოვებაში.

Hilton
Hilton
www.bellevuebatumi.com

თბილისის
ყველაზე მასშტაბური
საცხოვრებელი კომპლექსი

ისანი, შოთა ნადირაშვილის ქ.24 • 2 740 404 • www.dirsi.ge

Dirsi

46 | ანტრეპრენიორები

24 | LEADERBOARD

Forbes GEORGIA

LEADERBOARD

12 | ქართული მედიცინა ძვირი და დაბალპროდუქტიულია

14 | დასაქმების ანატომია

18 | ვის უყვარს ფეისბუკი?

15 | პრინცის მძევლები

20 | ForbesCheck: რიცხვები პოპულიზმის წინააღმდეგ

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მისამართით არაერთი კრიტიკული განცხადება გაკეთდა. Forbes Georgia-მ გადაწყვიტა, გადაამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს პოლიტიკოსების, ბანკირებისა თუ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებები.

24 | 30 30-წლამდელი: ვაჭრობა და ელ-ვაჭრობა

26 | გაიცანით მეზობლები: პარკის პენტჰაუზები

28 | 10 კითხვა: გაციფრულე... ან მოკვდი

29 | არქივიდან: სიხარბის ხანა

მოსაზრება

30 | დიდი ბიუროკრატია, მცირე თავისუფლება

// ზურაბ ჯაფარიძე

32 | საარჩევნო სისტემის ტყვეობაში

// სანდრო თარხან-მოურავი

34 | „ცარიელი შპრიცების“ გაყალბებული რეფორმა

// დავით სუბელიანი

ტექნოლოგიები

38 | დასვენების წინასწარმეტყველი

„ტურინვესტი“ 10 წლის იუბილეს აღნიშნავს და მისი ინვესტიციები $200 მილიონს აჭარბებს.

საქართველოს
ფოსტა

www.gpost.ge

გახადე ურთიერთობა ხელშესახები

56 | ანტრეპრენიორები



68 | სპეცპროექტი

600-თანამშრომლიან კომპანიას 28 წლის გიორგი აბაშიძე ხელმძღვანელობს.
ავტორი: კეთლინ ჩაიკოვსკი

CEO

42 | გერმანული გემო ქართული აქცენტით

ქართული ლუდის კომპანია „ზედაზენი“ ლუდის, ლიმონათის, ნატურალური წვენებისა და ენერგეტიკული სასმელების წარმოებით საქართველოს ბაზრის ლიდერია.
ავტორი: ხათუნა ხვედელიძე

46 | საქართველოს ფოსტალიონი

2818 თანამშრომელი. 914 ლარი საშუალო ხელფასი. ბოლო 6 წლის მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი 40 მილიონ ლარზე მეტი - ასეთია „საქართველოს ფოსტის“ ძირითადი სტატისტიკა. სახელმწიფო კომპანიას ლევან ჩიკვაიძე ხელმძღვანელობს.
ავტორი: ანიტა მუსკარია

MARRIOTT
ALLIANCE
PRIVILEGE
MARRIOTT
ბათუმი
ექსკლუზიური აპარტამენტები საკუთრებაში
+995 422 27 00 00
www.alliancegroup.ge

38 | ტექნოლოგიები

42 | CEO

34 | მოსაზრება

ანტრეპრენიორები

50 | შენი რეზიდენცია კრწანისში

ამბიციურ დეველოპერულ პროექტ „კრწანისი რეზიდენსს“ კომპანია „უბიკი“ აშენებს. საცხოვრებელი კომპლექსი შეზღუდული რაოდენობისა და გამორჩეული დიზაინის ოთხსართულიან ლოფტებსა და ტაუნჰაუსებს აერთიანებს.
ავტორი: ხათუნა ხვედელიძე

56 | ბიზნესად ქცეული დიდი სიყვარული

7 წლის წინ $800,000-იანი ინვესტიციით დაწყებულ „ბრავო რექორდსს“ უკვე მიუძღვის წვლილი ერთი „გრემის“ მოპოვებაში.
ავტორი: სალომე ჭიპაშვილი

62 | ისტორიული ალიანსი

„ალიანს ჯგუფის“ აპარტამენტების მესაკუთრეები RCI-ის „ოქროს გვირგვინის“ სტატუსით ისარგებლებენ.
ავტორი: ჯეფ ფოსტერი

სპეცპროექტი: მიდასის რეიტინგი

68 | ვენჩურ-კატალიზატორები

ტექნოლოგიის ძველ (და სულისშემხუთველ) ბიჭებზე გაბრაზებული და იმედგაცრუებული, ვენჩურ-კაპიტალისტთა ელიტური ჯგუფი ამ ემოციებს მოქმედებებად გარდაქმნის.
ავტორები: ალექს კონრადი და ბიზ კარსონი

სპეცპროექტი: ახლო ხედი

78 | საკუთრების (თავის) უფლება

ქონებრივი უფლების თავისუფალი გადაცემის შესაძლებლობა საკუთრების უფლების შემადგენელ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. საკუთრების უფლების მნიშვნელობაზე Forbes Georgia-სთან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ზაზა თავაძე საუბრობს.
ავტორი: ელენე ჩომახიძე


bp
Official partner
ჩემო ძვირფასო მეგობარო თინა,
გამიჭირდა ეტლთან შეგუება.
უფრო მეტად კი იმის აღიარება,
რომ ჩემი ცხოვრება შეიცვალა.
შენ მომეცი ძალა და გამბედაობა,
რომ საკუთარი თავი ბრძოლაში გამომეწვია,
გამეღო კარი ახალი მიზნებისთვის.
ფარიკაობამ დამანახა ცხოვრების აზრი
და მაპოვნინა შინაგანი ენერგია.
ხშირად ხარ უძლური შეცვალო ცხოვრება,
მაგრამ გაქვს ძალა
უპასუხო მის გამოწვევევებს.
გმადლობ მეგობარო,
ირმა
ხეცურიანი
BP 10 წელია სიამაყით უჭერს მხარს
პარალიმპიურ მოძრაობას და სპორტსმენებს,
როგორიც ირმაა.
აღმოაჩინე შენი შინაგანი ენერგია აქ
bp.com/energywithin

90 | ისტორია

ეკონომიკა

82 | შეღავათების რეფორმა
ქვეყანაში სიღარიბის დამარცხების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ პარლამენტში საგადასახადო კოდექსში შესატანი ინიციატივების მთელი „კასკადი“ გადაგზავნა. შევაფასოთ!
// თელარა გელანტია

86 | საგადასახდელო ბალანსი გაუმჯობესდა
// ბესო ნამჩავაძე

90 | შრომისმოყვარეობა რომ არ ისჯებოდეს
// ზვიად ხორგუაშვილი

ისტორია

94 | პირველი გილდიის ვაჭარი
ტფილისელი ბანკირის, თამბაქოსა და ნავთობის მაგნატის, ალექსანდრე მანთაშევის კონკურენტები როტშილდები და ნობელები იყვნენ.
ავტორი: ემილ ავდალიანი

აზრები

96 | ცვლილების შესახებ

მაისი 2018, N 75

რედაქციის მისამართი: საქართველო, 0160, თბილისი, გამრეკელის 19; ტელ.: (+995 32) 223 77 07; ე-მეილი: info@forbes.ge
Forbes Georgia არის ყოველთვიური გამოცემა. საცალო ფასი 7 ლარი.
ჟურნალი გამოდის 2011 წლის დეკემბრიდან. Forbes Georgia დარეგისტრირებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის მიერ 2011 წლის 16 ნოემბერს. ISSN 2233-3487

ISO 9001:2008

დაბეჭდილია სამგზამი "ომეგა თეგი"
სარაჯიშვილი, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: 00 995 32 253 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE: 00 995 32 253 03 62

Copyright 2011 საქციო საზოგადოება Media Partners, საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივ ან მთლიანად გამოყენება აკრძალულია. Copyright 2011 Forbes, as to materials published in the US Edition of Forbes. All rights reserved. სამარკო ნიშანი Forbes წარმოადგენს Forbes Inc.-ის საკუთრებას. გამოყენების უფლებით სარგებლობს საქციო საზოგადოება Media Partners შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულებით. Forbes Georgia is published by the Media Partners JSC under a license agreement with Forbes Media LLC, 60 Fifth Avenue, New York, New York 10011. Forbes is a trademark used under the license from FORBES LLC.

UDC (UAK) 338.22 (051.2) F-75
გამოცემა იყენებს ბესარიონ გუგუშვილის BPG-InfoTech ფონტებს: „ბპგ გარდიან ეგვიპტური“ და „ბპგ პრიმა“.

Forbes GEORGIA

მთავარი რედაქტორი
გიორგი ისაკაძე

აღმასრულებელი რედაქტორები
შოთა დიღმელაშვილი, ელენე კვანჭილაშვილი

არტდირექტორი, ფოტორედაქტორი
სერგა ნემსიწვერიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ირინა ბიაშვილი

ვებდირექტორი
გოგი ქავთარაძე

დამკაბადონებელი
ქეთა ჟორჟოლიანი

ფოტოგრაფები
ხათუნა ხუციშვილი, ნიკა ფანიაშვილი

ჟურნალ Forbes Georgia-ს გამოსცემს
საქციო საზოგადოება
Media Partners

გამომცემელი
მაია მირიჯანაშვილი

გაყიდვების დირექტორი
ლელი მირიჯანაშვილი

ჟურნალი Forbes დაარსდა 1917 წელს

Forbes USA
Editor-In-Chief
Steve Forbes

Chief Content Officer
Randall Lane

Art & Design
Robert Mansfield

Editorial Director, International Editions
Katya Soldak

Forbes Media
President & CEO
Michael Federle

Senior Advisor, International
Tom Wolf

Founded in 1917
B.C. Forbes, Editor-in-Chief (1917-54)
Malcolm S. Forbes, Editor-in-Chief (1954-90) James W. Michaels, Editor (1961-99) William Baldwin, Editor (1999-2010)

Copyright@2018 Forbes LLC. All rights reserved. Title is protected through a trademark registered with the U.S. Patent & Trademark Office.

HEIDELBERGBETON

უკეთესი მშენებლობისთვის

პარტნიორობის 10 წელი

info@heidelbergbeton.ge

ქართული მედიცინა ძვირი და დაბალპროდუქტიულია

ჯანდაცვის სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობით საქართველო სრულ ასიმეტრიაში მოდის ევროპის რეგიონის ქვეყნებთან, რადგან თითქმის ორჯერ მეტი ექიმი ჰყავს, ვიდრე საშუალოევროპულ ქვეყანას და თითქმის ორჯერ ნაკლები ექთანი, ანუ შუა რგოლის სამედიცინო პერსონალი. თუ გავითვალისწინებთ, რომ განვითარებულ ქვეყნებში სამედიცინო დაწესებულების ხარჯის დაახლოებით 60-70% დასაქმებულთა ხელფასზე მოდის, იკვეთება, რომ ღარიბი საქართველო ჯანდაცვაში გაცილებით ძვირად ღირებულ ადამიანურ რესურსს იყენებს (ნაცვლად ექთნებისა) და ამით ჯანდაცვის მომსახურებას მნიშვნელოვნად აძვირებს, რაც ფინანსურ ტვირთად მოსახლეობას აწვება.

ექიმების სიჭარბისა და მოსახლეობის მხრიდან სამედიცინო მომსახურების დაბალი მოხმარების ფონზე, ექიმების პროდუქტიულობა დაბალია როგორც ჰოსპიტალში, ასევე ამბულატორიაში.

საქართველოს ჯანდაცვის სექტორის შრომით ბაზარზე დღეს შექმნილი ვითარება ალბათ ათწლეულების მანძილზე გრძელვადიანი და კოორდინირებული სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობის შედეგია.

მიაქიმე, მოდი სანახავადა

საქართველოში ექიმების ხვედრითი წილი 100,000 მოსახლეზე 1.7-ჯერ აღემატება ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების საშუალოს, ხოლო ექთნების რაოდენობა 1.8-ჯერ დაბალია ევროპის რეგიონის ქვეყნებთან შედარებით.



ექიმების პორდუქტიულობა ჰოსპიტალებში

ბევრ სხვა ქვეყანასთან შედარებით ექიმების პროდუქტიულობა საქართველოში ორჯერ და მეტად დაბალია. ექიმების დაბალი პროდუქტიულობა ნაწილობრივ ექთნების დეფიციტითაც არის განპირობებული.



*მეთოდოლოგია ეფუძნება სტაციონარში მომუშავე ერთი ექიმის მიერ წელიწადში ნამკურნალები პაციენტების რაოდენობას.

ამბულატორიული ექიმების პროდუქტიულობა

ამბულატორიულად ექიმები საქართველოში საშუალოდ წელიწადში 1,062 პაციენტს აწვდიან სამედიცინო სერვისს, ლიტვაში კი 5, 944-ს.



ამბულატორიულად მიღებული პაციენტები დღეში

საქართველოში ამბულატორიულად ექიმები საშუალოდ დღეში 4.3 პაციენტს იღებენ, რაც ლიტვის, გერმანიისა და ესტონეთის მაჩვენებლებს 5-ჯერ ჩამორჩება.



წყარო: საერთაშორისო ფონდ „ჯურაციოს“ კვლევა „ჯანდაცვის ბარომეტრი“, 2017

დასაქმების ანატომია

საწარმოთა მოთხოვნის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში არაერთი საინტერესო და ყურადსაღები ინფორმაციაა შესული. 2017 წელს საქართველოში ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 790,483 ადამიანი შეადგინა, რაც 70,296 დასაქმებულით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

კარგ ტენდენციებთან ერთად, კვლავ უხვადაა პრობლემა და გამოწვევა, რომლებიც ბიზნესს წლებია, უდგას. მაგალითისთვის, ახლად აყვანილი კადრების 5%-ზე მეტს ახალი ამბების გაცნობა და მათი გადმოცემა უჭირს და ეს მხოლოდ ერთი რიგითი პრობლემაა. გთავაზობთ ეკონომიკის სამინისტროს უახლესი ანგარიშის მოკლე მიმოხილვას.

დასაქმებულთა წილი საწარმოთა ზომების მიხედვით

ყველა ტიპის საწარმო ჯამში 790,483 ადამიანს ასაქმებს. მსხვილი და საშუალო ზომის საწარმოები ქართველი მუშახელის ნახევარზე ოდნავ მეტს აძლევს სამსახურს, 49% კი მიკრო- და მცირე ბიზნესზე მოდის.



- მსხვილი: **246,632**
- მცირე: **181,594**
- საშუალო: **155,792**
- მიკრო: **206,465**

საწარმოთა განაწილება

სულ 97,581 საწარმოა. მათგან მიკრო – 89.74%, მცირე – 8.30%, საშუალო – 1.62% და მსხვილი – 0.33%. დიაგრამა ამართლებს ცნობილ გამოთქმას – Less is More. თუმცა, თუკი დასაქმებულთა რაოდენობით ვიმსჯელებთ, პირიქით აჯობებდა.



საშუალო დასაქმება 1 საწარმოზე

მსხვილი საწარმოები საშუალოდ 8-ჯერ მეტ ადამიანს ასაქმებს, ვიდრე საშუალო და 34-ჯერ მეტს, ვიდრე მცირე, ხოლო საშუალო ზომის საწარმოები 49-ჯერ მეტს ადამიანს ასაქმებს, ვიდრე მიკროსაწარმოები.



დასაქმებულთა გეოგრაფია

თბილისი ორჯერ მეტ ადამიანს ასაქმებს, ვიდრე დანარჩენი საქართველო.



ჩვენთან ყველა დირექტორია

საქართველოში ხელმძღვანელი პირებისა და მენეჯერების რაოდენობა ოდნავ ჩამოუვარდება პროფესიონალების, სპეციალისტებისა და მათი დამხმარე პერსონალის რაოდენობას.





- ხელმძღვანელი პირები და მენეჯერები
- სპეციალისტ-პროფესიონალები
- სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი

საწარმოთა განაწილება

ეკონომიკურ საქმიანობათა მიხედვით დაქირავების მცდელობების ნახევარი სავაჭრო სფეროზე მოდის.



- დამმუშავებელი მრეწველობა
- ვაჭრობა
- ტურიზმი
- მშენებლობა
- ტრანსპორტი

რაც უფრო პატარაა კომპანია, მით უფრო ხშირად ცდილობს მუშახელის დაქირავებას.



- მიკრო
- საშუალო
- მცირე
- მსხვილი

რატომ ვერ ვქირაობთ?

ვაკანსიის შევსებისას ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები



რა პრობლემები იჩენს თავს ახალი კადრის აყვანისას?



სად უყვართ ფეისბუკი?

რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად დიდ დროს ატარებენ ქართველი მომხმარებლები Facebook-ში – მსგავსი კვლევები საქართველოში არ ტარდება, თუმცა შეგვიძლია დავადგინოთ Facebook-ის მასობრიობა და პოპულარობა საქართველოსა და რეგიონში და ამაზე დაყრდნობით შემოგთავაზოთ რეიტინგი, თუ სად უფრო პოპულარულია მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი მილიარდერის, მარკ ცუკერბერგის ვირტუალური პლატფორმა. ქალაქების, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ჩაშლილი ინფორმაცია თქვენი სარეკლამო კამპანიის ოპტიმიზებაში დაგეხმარებათ, რათა ციფრულ მარკეტინგში დახარჯული თითოეული თეთრით მაქსიმალური სარგებელი მიიღოთ, ქართველების გამორჩეული სიყვარული Facebook-ის მიმართ კი დაგარწმუნებთ, რომ საქართველოში FB-მარკეტინგი პოტენციურად გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში, რადგან მოსახლეობის შეუდარებლად დიდ წილს ფარავს.

საქართველო

პროფილების რაოდენობა:

2,500,000

1,300,000

1,200,000



- 18-24
- 35-54
- 25-34
- 55- ზევით

Facebook-ო, ძალსა შენსა

რეგიონის ქვეყნები Facebook-ის მომხმარებელთა რაოდენობის მიხედვით



საქართველოს სოციალური ქალაქები

საქართველოს 6 უდიდეს ქალაქში FB პროფილი მოსახლეობის რაოდენობას აჭარბებს, თუმცა ქრონოლოგია ქალაქის სიდიდისას ემთხვევა.

- თბილისი: 1,600,000
- ბათუმი: 210,000
- ქუთაისი: 170,000
- გორი: 65,000
- ზუგდიდი: 58,000
- თელავი: 40,000
- სხვა: 357,000



სად უყვართ FB ყველაზე მეტად?

ჩვენ შევუფარდეთ ქვეყნის საერთო მოსახლეობა FB პროფილების რაოდენობას, რათა დაგვედგინა, რამდენი მოსახლე მოდის ერთ ცალ FB პროფილზე.

თუკი დავუშვებთ, რომ ყველა პროფილი უნიკალურია, გამოდის, საქართველოს სამი მოქალაქიდან ორი FB-ზე დარეგისტრირებულია, რუსეთში კი მხოლოდ 12-დან 1.



RADIO
BEGINS WITH
US

FM 102.8

FM
93.5
თბილისი

heretifm.com
tbilisifm.com
relaxwebradio.com

RELAX
WEB RADIO

რიცხვები პოპულიზმის წინააღმდეგ

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მისამართით არაერთი კრიტიკული განცხადება გაკეთდა. მოვისმინეთ ბრალდებები ბანკების „ზემოგებებისა“ და ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთების შესახებ. საინტერესოა, რომ ამ კუთხით ფინანსთა მინისტრ მამუკა ბახტაძისა და საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებების პათოსი დროსა და სივრცეში ერთმანეთს დაემთხვა, რაც მკვეთრად დაპირისპირებული მხარეების მიერ გაცხადებულ პოზიციებს შორის იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. Forbes Georgia-მ გადაწყვიტა, გადაამოწმოს პოლიტიკოსების, ბანკირებისა თუ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებები, რომლებიც ოთხ სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს. ეს ის საკითხებია, რომლებითაც საჯარო პირები, განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ, ხშირად მანიპულირებენ.

რეპორტიორი: სალომე მეცხვარიშვილი
ეკონომისტი: ბესო ნამჩავაძე

როგორია საპროცენტო განაკვეთები ქართულ ბანკებში?

მამუკა ბახტაძე - ფინანსთა მინისტრი
„ის საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც არის ჩვენს ეკონომიკაში, ხელს უშლის მეწარმეობის მასშტაბურ განვითარებას ქვეყანაში... მაღალპროცენტიანი სესხები საბანკო სისტემაში აფერხებს მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარებას“.

მამუკა ხაზარაძე - „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:
„ქართულ საბანკო სისტემას აქვს რეგიონში ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ კორპორაციებს“.

სიმართლე:

არსებული მონაცემებით, კავკასიის რეგიონში საქართველოში ბიზნესსესხებზე ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთებია. თუ რეგიონს უფრო ფართო მასშტაბით განვიხილავთ, მაშინ საქართველოზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნესსესხებზე მოლდოვასა და ბელარუსშია.

განმარტება:

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმაციით, რეგიონის ქვეყნებს შორის საქართველოში ბიზნესსესხზე საპროცენტო განაკვეთი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები ასევე აჩვენებს, რომ ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, იკლებს საპროცენტო განაკვეთები სესხებზე. ანუ ეკონომიკურად მეტად განვითარებულ ქვეყნებში სესხი უფრო იაფი ღირს, ვიდრე ნაკლებად განვითარებულში, ხოლო ნაკლებად განვითარებულ, პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკის ქვეყნებში ნახავთ ისეთ საპროცენტო განაკვეთებსაც, როგორიცაა, მაგალითად, მადაგასკარის წლიური 60%, ბრაზილიის წლიური 46.92% და არგენტინის 31.24%.

რიცხვები არ ტყუიან

IMF-ის მონაცემებით, 2017 წელს რეზიდენტ იურიდიულ პირებს სესხის აღება ეროვნულ ვალუტაში საშუალოდ შემდეგ საპროცენტო განაკვეთში შეეძლოთ:



როგორია ქართული ბანკების მოგება?

მიხეილ სააკაშვილი - საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი

„2012 წელს ბანკების საერთო აქტივები 12 მილიარდი ლარი იყო, ახლა კი 30 მილიარდზე მეტია. ბანკების სუფთა მოგება კი 136 მილიონი ლარიდან 900 მილიონ ლარამდე გაიზარდა. ბანკების მოგება გაიზარდა 6-ჯერ“.

სიმართლე:

ის, რომ ბანკების მოგება ნომინალურ გამოსახულებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, სიმართლეა, მაგრამ მოგებიანობის ამ გზით შეფასება არასწორია. ამ შემთხვევაში მოგებიანობა უნდა შეფასდეს კაპიტალსა და აქტივებზე უკუგების მაჩვენებლით: ბოლო წლებში აქტივებზე უკუგების დაახლოებით ერთნაირი მაჩვენებლებია. კაპიტალზე უკუგებას კი ზრდის ტენდენცია აქვს, რაც ბანკების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის მაჩვენებელია.

ბანკების მოგებაზე აქცენტი იმიტომ კეთდება, რომ ამ სექტორის მოგების მაჩვენებლები გამჭვირვალეა, თუმცა ეკონომიკის ზოგადი სურათი მიანიშნებს, რომ ზოგიერთ დარგში მოგების ნორმა საბანკოზე მაღალია.

ყველაფერთან ერთად, ბანკების მოგება რომ მართლაც მაღალი იყოს, ამაში ცუდი არაფერია, ისე როგორც სხვა ნებისმიერი ბიზნესის მოგებაში. ზოგადად, რაც მეტია სექტორში მოგების დონე, მით მეტია ამ სექტორის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი, რაც მომავალში მომსახურების გაუმჯობესებასა და სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას შეუწყობს ხელს.

განმარტება:

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2017 წელს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 870 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 191 მლნ ლარით (28%-ით) მეტია, თუმცა საბანკო სექტორში მოგების სიდიდის შეფასების ყველაზე ადეკვატური მაჩვენებლები არის უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA) და უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE). 2017 წელს კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელი საშუალოდ 26.6% იყო, ხოლო აქტივებზე – 3.3%. რას ნიშნავს ეს მაჩვენებლები?

ქვეყნის ეკონომიკაში მოგების საშუალო დონეს შემოსავლების მიხედვით დაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი ასახავს. 2016 წელს საოპერაციო წმინდა მოგების წილი საქართველოს მშპ-ში 28.8% იყო, 2017 წლის პირველ სამ კვარტალში კი – 29%. აქედან გამომდინარე, საბანკო სექტორში მოგება (კაპიტალზე უკუგება – 26,6%) საქართველოს ეკონომიკაში მოგების არსებულ საშუალო დონეს ჩამორჩება. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ზოგიერთ სექტორში უფრო მაღალი მოგებაა, ვიდრე საბანკოში, მაგრამ სხვა სექტორების მოგების დანახვა არ შეგვიძლია, რადგანაც ეს მაჩვენებლები, საბანკო სექტორისგან განსხვავებით, გამჭვირვალე არ არის.

2013 წლიდან მოყოლებული საბანკო სისტემის მოგება სტაბილურად იზრდება, თუმცა ამის პარალელურად მცირდება საპროცენტო განაკვეთების სპრედი (კრედიტების საშუალო განაკვეთს მინუს დეპოზიტის საშუალო განაკვეთი), რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკები საოპერაციო საქმიანობისთვის და მოგების მისაღებად მათი საქმიანობიდან უფრო ნაკლებ თანხას იტოვებენ, ვიდრე გასულ წლებში, მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2010 წელს სპრედი 5.78% იყო, 2017 წელს კი – 1.83%.

ზემოგებიანობა?

ქართული ბანკების მოგება იზრდება, თუმცა ყველაფერი ასე მარტივი როდია...



აფინანსებენ თუ არა ბანკები ბიზნესს?

მამუკა ხაზარაძე - „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

„ქართული საბანკო სისტემა არის საქართველოს ეკონომიკის 60%-ის დამფინანსებელი“.

ბექა ნაცვლიშვილი - პარლამენტარი, უმრავლესობის წევრი

„საბანკო აქტივებში ბიზნესისთვის გაცემული სესხები ძალიან მცირეა, რა თქმა უნდა, ეს ბიზნესის დაკრედიტებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ხელს არ უწყობს“.

ანდრია გვიდიანი - „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა“ ასოციაციის პრეზიდენტი

„ბანკები რეალურად არიან მხოლოდ თავიანთ მოგებაზე ორიენტირებულები, მათთვის ეკონომიკის დაკრედიტება არის მეორეხარისხოვანი, წლიდან წლამდე იზრდება საბანკო სისტემის მოგება, თუმცა რეალურად ეკონომიკის დაკრეტირება არ ხდება“.

სიმართლე:

თუ 2017 წელს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მშპ-სთან ფარდობას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ეს მაჩვენებელი 57.4 5% იყო. ანუ ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა ქვეყნის ეკონომიკის 60%-მდე დააფინანსა.

ამასთან, საბანკო აქტივებში ბიზნესისთვის გაცემული სესხები მცირე არ არის და ბოლო მონაცემებით, ის ეროვნული ეკონომიკისთვის გაცემული სასესხო დავალიანების 43,7%-ს შეადგენს. მართალია, ეს მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ სასესხო პორტფელში მისი წილი 40%-ს აღემატება.

განმარტება:

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2017 წელს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მშპ-თან ფარდობა 57.45% იყო. თუ წლების დინამიკას შევხედავთ, ვნახავთ, რომ წლიდან წლამდე ეს მაჩვენებელი მზარდია. მაგალითად, 2015 წელს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მშპ-სთან ფარდობა 51%-ს შეადგენდა, 2016 წელს კი – 55,7%-ს. გამოდის, რომ, ბოლო მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკის უმეტეს ნაწილს სწორედ ბანკები აფინანსებენ.

რაც შეეხება ბანკების მიერ გაცემულ ბიზნესსესხებს და მათ წილს მთლიან სესხებში, 2018 წლის პირველი იანვრის მონაცემებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ეკონომიკისთვის (რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის) გაცემული სესხებით დავალიანება შეადგენდა 20,897,225,000 ლარს, აქედან სამეწარმეო სექტორისა და კომერციული ბანკებისთვის გაცემული სესხები 9,145,933,000 ლარს შეადგენდა, ანუ სესხების 43,7%-ს.

თუ ამ მაჩვენებლებს ინდმეწარმეებისთვის გაცემულ სესხებსაც დავუმატებთ, ბიზნესსესხების წილი სესხების 49,9% გამოდის. თუმცა ეროვნულ ბანკში განმარტავენ, რომ ინდმეწარმეების მიერ აღებული სესხები სრულად ბიზნესსესხად ვერ ჩაითვლება, რადგანაც ინდმეწარმეების სტატუსის მქონე პირებმა, შესაძლოა, სესხი სხვა, სამომხმარებლო, დანიშნულებითაც აიღონ, მაგ: იყიდონ ტელევიზორი, გააკეთონ სახლის რემონტი და ა.შ.

რაც შეეხება წინა წლების სტატისტიკას, უნდა ითქვას, რომ წლიდან წლამდე ბანკების მიერ იურიდიული პირებისთვის გაცემული სესხების წილი მცირდება. მაგალითად, 2017 წლის პირველი იანვრისთვის კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ეკონომიკისთვის (რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის) გაცემული სესხებით დავალიანება შეადგენდა 17,491,096,000 ლარს, საიდანაც ბიზნესსესხებზე 46% (ინდმეწარმეების გარეშე) მოდიოდა. 2016 წლის პირველი იანვრისთვის კი ეროვნული ეკონომიკისთვის გაცემული სესხების 48,7% (ინდმეწარმეების გარეშე) ბიზნესსესხებზე მოდიოდა.

ჭარბვალიანია თუ არა საქართველოს მოსახლეობა?

მამუკა ხაზარაძე - ფინანსთა მინისტრი

„მე სრულად ვიზიარებ ექსპერტების მოსაზრებას, რომლებიც საზოგადოებაში ჭარბვალიანობის ტენდენციაზე საუბრობენ. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია 2008 წლიდან დაიწყო და მოხდა ისე, რომ ჩვენ ეროვნულ ბანკში ახალი ხელმძღვანელის მოსვლამდე ვერ დავიწყეთ ამ პრობლემის მოგვარებაზე მუშაობა...

(ბანკების მიერ) ხდება ფოკუსირება წინასწარ გაკოტრებისთვის განწირული სესხების მოსახლეობისთვის თავს მოხვევაზე“.

სიმართლე:

ჭარბვალიანია თუ არა მოსახლეობა, ეს რთული გადასამოწმებელია, რადგანაც არ არსებობს დადგენილი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ზუსტად განვსაზღვრავთ ჭარბვალიანობის მაჩვენებელს. თუმცა, თუ გადავხედავთ სტატისტიკას, იხდიან თუ არა მსესხებლები კომერციული ბანკების წინაშე არსებულ დავალიანებას, დავინახავთ, რომ ვადაგადაცილებული სესხების წილი მთლიან სასესხო პორტფელში დაბალია. ამ მხრივ საქართველოზე უარესი მდგომარეობაა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ლატვია და პოლონეთი.

ამასთან ერთად, სტატისტიკა აჩვენებს, რომ შინამეურნეობების მიერ აღებული სესხების ფარდობა მშპ-სთან დაბალია საქართველოს მეზობელ ქვეყნებში. თუმცა ისიც ფაქტია, რომ მაღალი ფარდობა განვითარებული ეკონომიკებისთვის არის დამახასიათებელი. ამ კრიტერიუმით საქართველო დგას ისეთი ქვეყნების გვერდით, როგორიც ლატვია, პოლონეთი და ხორვატიაა.

განმარტება:

უპირველესად, უნდა ითქვას, რომ არ არსებობს ჭარბვალიანობის საერთაშორისოდ აღიარებული განმარტება, ამიტომ რას გულისხმობს ფინანსთა მინისტრი ამ საკითხზე საუბრისას, ბუნდოვანია. ამ ტერმინის განმარტება უჭირთ საქართველოს ეროვნულ ბანკშიც და აცხადებენ, რომ არ არსებობს უნივერსალური ფორმულა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია დაითვალოს: არის ჭარბვალიანობა ქვეყანაში, თუ არა.

ჭარბვალიანობის კრიტერიუმად, შესაძლებელია, ავიღოთ ვადაგადაცილებული, ე.წ. გაფუჭებული სესხები. საქართველოს ეროვნული ბანკის თებერვლის მონაცემებით, 90 და მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხების წილი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში 1.7 პროცენტი იყო. ეს ნიშნავს, რომ, საშუალოდ, მსესხებლები წარმატებით ასრულებენ ბანკის მიმართ აღებულ ვალდებულებებს და სესხებს იხდიან.

2016 წლისთვის ვადაგადაცილებული სესხების მაჩვენებელი 3.67 პროცენტს შეადგენდა, რაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, უკეთესი მაჩვენებელია, ვიდრე ლატვიაში, უნგრეთში, ლიტვაში, ჩეხეთში და ა.შ.

ჭარბვალიანობის განსაზღვრისთვის, შესაძლოა, კიდევ ერთ კრიტერიუმად ავიღოთ შინამეურნეობების ვალის ფარდობა მშპ-სთან – ანუ რამდენად მაღალია მოსახლეობის მიერ კომერციული ბანკებიდან აღებული სესხების წილი მშპ-ში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო მონაცემებით, საქართველოში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ჩვენს მეზობელ ქვეყნებში. მაგალითად, საქართველოში შინამეურნეობების ვალის ფარდობა მშპ-სთან 31.4%-ია (2018.02), სომხეთში – 19.8%(2017.11), თურქეთში 2017 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით – 15,1%, რუსეთში ასევე მესამე კვარტალის მონაცემებით – 13,2%. თუმცა, შინამეურნეობების ვალის მაღალი ფარდობა მშპ-სთან უფრო განვითარებული ეკონომიკებისთვის არის დამახასიათებელი. როგორც IMF გლობალური ფინანსური სტაბილურობის 2017 წლის ოქტომბრის ანგარიშშია აღნიშნული, 2016 წლის მონაცემებით, შინამეურნეობების ვალის ფარდობა მშპ-სთან 63%-ს შეადგენდა განვითარებულ ეკონომიკებში და 21%-ს – განვითარებად ქვეყნებში. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორიცაა დანია, შვეიცარია და ჰოლანდია, შინამეურნეობების ვალის ფარდობა მშპ-სთან 100%-ს ან მეტს შეადგენს. ამის საპირისპიროდ, შინამეურნეობების ვალის ფარდობა მშპ-სთან 10%-ზე დაბალია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: არგენტინა, პაკისტანი, ეგვიპტე, განა და ა.შ.

90 და მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხები



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საქართველოს ეროვნული ბანკი



ყვავილის ძალა

2015-ში, შანხაიში ვენჩურ-კაპიტალისტად მუშაობის დროს, სუ ჩუნძი Flowerplus-ის აღმასრულებლებს შეხვდა, ამ გამოწერებზე დაფუძნებულ თაიგულების სტარტაპში შესაძლო ინვესტირება რომ განეხილათ. სუ მიხვდა, რომ Flowerplus-ს უდავოდ ჰქონდა პოტენციალი, რაც, დიდწილად, მისი მარტივი მოდელის დამსახურება იყო: მომხმარებლები ოთხი ვარიანტიდან (1, 3, 6 ან 12 თვე; ფასები სადღაც $20-დან $700-მდე მერყეობს) ერთს ირჩევენ და ყოველკვირა თაიგულებს იღებენ. ყვავილების უმეტესობა ჩინური ფერმებიდანაა და შედარებით იშვიათ მცენარეებსაც მოიცავს, მაგალითად, ვარდისფერ ლიზიანტუსს, რომელსაც ყველგან ვერ ნახავთ.

სუ იმდენად მოიხიბლა Flowerplus-ით, რომ Guanghe VC-ში სამსახური მიატოვა და სტარტაპის პარტნიორად იქცა. მას მერე Flowerplus-ის მომხმარებელთა რიცხვი 5 მილიონამდე გაიზარდა, გაყიდვები კი $100 მილიონამდე.

„ჩინეთში ხალხის დამატებითი შემოსავალი იზრდება და სულ უფრო მეტს ხარჯავენ ისეთ რამეებში, რასაც ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება შეუძლია“, – ამბობს სუ, რომელიც ერთ-ერთია Forbes-ის მესამე ყოველწლიური რეიტინგის – აზიის 30 30-წლამდელ 300 ინოვატორსა და ანტრეპრენიორს შორის. სუს შემდეგი ნაბიჯი Flowerplus-ის სტრატეგიის გამოყენება გახლავთ მის ახალ სტარტაპში – Rouralism-ში. ამ გამოწერებზე დაფუძნებული ყოველდღიური მოხმარების ნივთების (საცვლები, ტუალეტის ქაღალდი) სერვისის სამიზნე აუდიტორიას მზარდი ოდენობის ოფისებში მომუშავე ჩინელი ქალები წარმოადგენენ, რომლებიც ზედმეტად დაკავებულები არიან, საყიდლებზე რომ იარონ.

აზიის 30 30-წლამდელის სრული შემადგენლობის გასაცნობად, ეწვიეთ ვებგვერდს: forbes.com/30-under-30-asia/2018.



კატეგორია: ვაჭრობა და ელ-ვაჭრობა

სუ ჩუნძი, 28 წლის

აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი და პარტნიორი, Flowewzrplus

ჩინეთი

ამბორნი: ეკ ამანი



საქართველოს წამყვანი ბიზნეს-გადაცემები

TV პირველი

გაატარეთ სამუშაო დღეები ჩვენთან:

ანალიტიკა
15:00-16:00 PM
22:30-23:00 PM
(ყოველ პარასკევს)

საქმის კურსი
15:00-16:00 PM
22:30-23:00 PM

ქალების ნარატივი
11:00-12:00 PM

საქმიანი დილა
07:55-11:00 AM

WWW.BM.GE

გაიცანით მეგობლები

პარკის პენტჰაუზები

ნიუ-იორკის უძრავი ქონების ყველაზე დიდ მისტერიას თებერვალში აეხადა ფარდა: გაირკვა, რომ 2014 წელს მილიარდერმა მაიკლ დელმა რეკორდული $100.47 მილიონი გადაიხადა სენტრალ-პარკზე მომზირალი One57-ის პენტჰაუზში. ეს შენობა – ერთ დროს ყველაზე მაღალი (1,004 ფუტი) – მანჰეტენის სუპერმაღალ რეზიდენციათა ტალღის, (ცას აწვდენილი ფასები რომ ადევთ) ერთ-ერთი ნაწილია. დელი ერთადერთი მილიარდერი როდია, ვინც One57-ს თავის სახლს უწოდებს, და ახლა, როცა მილიარდერ ინვესტორს, ლოურენს სტროლს თავისი 85-ე სართულზე განთავსებული სახლი გასაყიდად გამოაქვს, სხვებსაც ეძლევათ შანსი, ამ ვერტიკალურად ექსკლუზიურ ჯგუფს შეუერთდნენ.

89-ე და 90-ე სართულები
მფლობელი: მაიკლ დელი
(ქონება: $24 მლრდ)
წყარო: Dell-ის კომპიუტერები
გადახდილი თანხა (2014): $100.47 მილიონი
საკვანძო დეტალები: 6 საძინებელი, 6 სააბაზანო, 1,015 კვ. მეტრი
კვ. მეტრის ფასი: $99,000

85-ე სართული (იყიდება)
მფლობელი: ლოურენს სტროლი
(ქონება: $2.7 მლრდ)
წყარო: ინვესტიციები მოდაში
გადახდილი თანხა (2014): $55.6 მილიონი
გასაყიდი ფასი: 59 მილიონი
საკვანძო დეტალები: 4 საძინებელი, 4 სააბაზანო 580 კვ. მეტრი
კვ. მეტრის გასაყიდი ფასი: $101,724

82-ე სართული
სილას ჩოუ და ოჰახი
(ქონება: $2.4 მლრდ)
წყარო: ინვესტიციები მოდაში
გადახდილი თანხა (2014): $56.1 მილიონი
გასაყიდი ფასი: 59 მილიონი
საკვანძო დეტალები: 4 საძინებელი, 4 სააბაზანო, 580 კვ. მეტრი
კვ. მეტრის ფასი: $96,724

75-ე და 76-ე სართულები
ბილ ეკმენი
(ქონება: $1.1 მლრდ)
წყარო: ჰეჯ-ფონდები
გადახდილი თანხა (2015): $91.5 მილიონი
გასაყიდი ფასი: 59 მილიონი
საკვანძო დეტალები: 6 საძინებელი, 6 სააბაზანო, 1,259 კვ. მეტრი
კვ. მეტრის ფასი: $72,676

იყიდე, შეინახე, გაყიდე

ჰოკნის იღბლიანი პერიოდი, მაღალალკოჰოლური წარუმატებლობა

ექსპერტული რჩევები ფუფუნების ინვესტიციებზე, გაცილებით თავშესაქცევი, ვიდრე დასუსტებული სააქციო კაპიტალია რომელიმე სუპერინოვაციური აპლიკაციის სტარტაპში.

ალ ბრენერი

ხელოვნების ონლაინბაზრის ამომწურავი საინფორმაციო გზამკვლევის, MutualArt-ის დირექტორი

იყიდე:
დევიდ ჰოკნი

გასულ წელს ჰოკნის კარიერას თითქმის 60 წელი შეუსრულდა. მსხვილი რეტროსპექტივის ფარგლებში, მისმა განთქმულმა ნამუშევრებმა პარიზში, ნიუ-იორკსა და ლონდონში იმოგზაურა. იყიდეთ ახლა, თორემ შემდეგ, შესაძლოა, გაცილებით ბევრის გადახდა მოგიწიოთ.

შეინახე:
რიჩარდ დიბენკორნი

2011-ში არაერთი მნიშვნელოვანი ყალბი ნამუშევრის აღმოჩენა სახელოვნებო სამყაროსთვის შოკი იყო. დიბენკორნი გაყალბებულებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გაყალბებული გამოდგა და მისი ღირებულებაც მკვეთრად დაეცა. ალბათ გარკვეული დროა საჭირო, ნდობა რომ აღდგეს.

გაყიდე:
დე შტეილი

ამ ჰოლანდიური მოძრაობის ასი წლის იუბილე 2017-ში დიდი შოუებით აღინიშნა. თარიღზე კაპიტალიზება Christie's-მა და Sotheby's-მა სცადეს თემატური აუქციონებით, მაგრამ საეჭვოა, ამ ინტერესმა 2018-შიც რომ გასტანოს.

ჭონ რეარდონი

Christie's New York-ის საათების საერთაშორისო ხელმძღვანელი

იყიდე:
ვინტაჟური Breitling-ი

Breitling-ი – ვინტაჟური საათების სტაჟიანი მთვლელმარე გიგანტი – იღვიძებს. იყიდეთ, რასაც კი რამეს საუკეთესოს ნახავთ, განსაკუთრებით ქრონოგრაფები და წამმზომი-ქრონოგრაფები 1940-იანებიდან და 1950-იანებიდან... სანამ ფასები კიდევ უფრო გაზრდილა.

შეინახე:
ასაკშეპარული ლამაზმანები

ციფერბლატის ან ოქროს ბუდეზე სვვადის გაუფერულება ნიშნავს, რომ საათი გრაციოზულად ბერდება. თუ ღირებული ვინტაჟური საათი გაქვთ, ვთქვათ, Rolex Ref. 6034 ადრეული 60-იანებიდან, კარგად შეინახეთ. ყოველი ეგზემპლარი უნიკალურად ძველდება და თუ ზედმეტად რესტავრირებულია, მისი ჩანაცვლება შეუძლებელი იქნება.

გაყიდე:
Patek Philippe-ის Nautilus-ი

ეს საათები მაღაზიაში დაახლოებით $25,000-ად იყიდება. გაქვთ მისი ყიდვის ფუფუნება? თუ, მაღაზიიდან გამოსული, მას გაყიდით, ფაქტობრივად, ფულის გაორმაგებას შეძლებთ. ეს საათი ათასობით ეგზემპლარად მზადდება და არის ალბათობა, მოთხოვნა შემცირდეს.

ანდრეა რობინზონი

Christie's New York-ის საათების საერთაშორისო ხელმძღვანელი

იყიდე:
Burgess Cellars Reserve Cabernet Sauvignon 2012

წითელი ხილი და სანელებელი, ხავერდოვანი ტექსტურა... ორმოცწლიანი დეგუსტაციის თანახმად, ეს ღვინოები არაჩვეულებრივად ძველდება.

შეინახე:
„Sleepe" Napa Cabernets 2011-იდან

მწარე კრიტიკის მიუხედავად, 2011-ის ვინტაჟმა ვარსკვლავები მოიხვეჭა ფასების სპექტრში: ვგულისხმობთ Louis Martini-ს, Antica-ს, J. Davies-ს, Grgich Hills-სა და სხვებს.

გაყიდე:
2005 წლის მაღალალკოჰოლური (15% და ზემოთ) California Cabernets

ამ ღვინოებს საკმაოდ ბევრს ვფლობ, იმიტომ რომ 2005-ის ვინტაჟი გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, 21-ე დაბადების დღემდე ვერ მიაღწევენ. თუმცა 2005-ის ღვინოებს, რომლებიც ალკოჰოლს ზომიერად შეიცავენ, საქმე, წესით, კარგად უნდა წაუვიდეთ.

მგზავლები - ავტორი: სანანდა გარდი

www.forbes.ge

გვიპოვეთ ყველგან

facebook.com/forbesgeo

twitter.com/forbesgeorgian

youtube.com/forbesgeorgian

pinterest.com/forbesgeorgia

linkedin.com/company/forbes-georgia

instagram.com/forbesgeorgia

გააციფრულე... ან მოკვდი

VMware-ის შეფის, პეტ გელსინგერის თქმით, ტექნოლოგიური წინსვლის ტემპი ასეთი სწრაფი არასდროს ყოფილა და ყველა აღმასრულებელმა დირექტორმა ამერიკაში ამ მომენტით უნდა ისარგებლოს.

ტექნოლოგიური პროგრესი აჩქარებულია თუ შენელებული?
ორივე. მურის კანონი არ გაჩერებულა, თუმცა მრუდი იცვლება: აქამდე ყოველ ორ წელიწადში გაორმაგებული ტემპებით მივდიოდით, ახლა გაორმაგებული ტემპებით სამ წელიწადში ერთხელ მივიწევთ წინ.

რატომ?
იმიტომ რომ, 14-ნანომეტრიანი ჩიპებიდან 7-ნანომეტრიანებზე გადასვლა რთულია. ფიზიკურ ლიმიტებს უახლოვდები. უამრავი კაპიტალი გჭირდება მათ დასამზადებლად.

მაგრამ თქვენ ისიც თქვით, რომ ტექნოლოგიური პროგრესი აჩქარებულია.
ამ cloud-ის ეპოქაში ათასი დოლარი და საკრედიტო ბარათი საკმარისია, ორ წუთში მსოფლიოში ყველაზე დიდი სუპერკომპიუტერი რომ შექმნა – იმაზე დიდი სუპერკომპიუტერი, რაც კი რამ აქამდე აწყობილა. ანტრეპრენიორებმა მთელ მსოფლიოში ამით უნდა ისარგებლონ.

რას ნიშნავს თქვენი ფრაზა „ტექნოლოგიის ოთხი სუპერძალა?“
ოთხი სუპერძალაა cloud-ი, მობილური, Internet of Things-ი (IOT) და ხელოვნური ინტელექტი. Cloud-ი განუსაზღვრელი მასშტაბის სუპერგამომთვლელი ძალაა. მობილური უსაზღვრო მიღწევადობას ნიშნავს. IOT-ი – უსაზღვრო წვდომას. ხელოვნური ინტელექტი უკონკურენტო ინტელექტია. სწორედ ამ ოთხის ერთობლივი, თანამიმდევრული ეფექტი მიგვაქანებს ყველაზე სწრაფი ტექნიკური ევოლუციისკენ, რაც კი ოდესმე ისტორიის მანძილზე მომხდარა.

ხელოვნური ინტელექტი აოცებს და აშინებს ხალხს. რატომ მოიწევს ხელოვნური ინტელექტი ჩვენკენ ასე ჩქარა?
ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები უმნიშვნელოდ თუ შეიცვალა ბოლო 30 წელიწადში. ცვლილების ექსტრაორდინარული ტემპი იმაში მდგომარეობს, რომ ახლა მონაცემებისა და გამოთვლის მასშტაბები გაიზარდა, თუმცა ხელოვნური ინტელექტის ფუნდამენტური იდეები და ალგორითმები მნიშვნელოვნად სულაც არ შეცვლილა.

ყველაფერი, რეალურად, აპარატებამდე დადის.
შემიძლია, იგივე უხარისხო ალგორითმები ავიღო, მაგრამ ისეთ უშველებელ მასშტაბებზე, იმხელა მონაცემებისთვის გამოვიყენო, რომ საინტერესო შედეგები მივიღო. აი, ეს შეიცვალა.

ტრადიციული ტექნოლოგიის მიღმა, ბიზნესის ლიდერები ამაზე ფიქრობენ?
იმედი მაქვს. ეს ყველა ბიზნესისთვის ეგზისტენციური მნიშვნელობისაა. მსოფლიოში მანქანების უმსხვილესი კომპანია, Uber-ი, მანქანებს არ ფლობს, Airbnb-ის სასტუმროები არა აქვს. ციფრული აქტივების მასშტაბური გამოყენების უნარი ყველაფერს ცვლის. აღმასრულებელმა დირექტორებმა და საბჭოებმა კითხვა უნდა დასვან: „კარგი, აბა, როგორ ვიყენებ ჩემს აქტივებს? ინდუსტრიის პოზიციას და ამ ახალ სუპერძალებს?“ თუ არა და, წარმატებას ვუსურვებ. ვინმე მათ აუცილებლად აჯობებს.

ძლიერი აღმასრულებელი დირექტორია საჭირო, საბჭოს რომ უთხრას, გარდაქმნას ვაპირებთ, მაგრამ მოკლევადიანი შედეგები საზიზღარი იქნებაო.
„სამი წელი სიკვდილს უნდა ვეთამაშოთ. ასე თუ არ მოვიქცევით, ცოცხლად შეგვჭამენ“, – აი, ეს უნდა უთხრას აღმასრულებელმა დირექტორმა საბჭოს და თუ ეს უკანასკნელი მას მხარს არ დაუჭერს, მაშინ თანამდებობიდან წასვლაზე სერიოზულად უნდა დაფიქრდეს.

VMware-ამდე 30 წელი Intel-ში გაატარეთ. რა ისწავლეთ Intel-ის დამფუძნებლებისგან – ბობ ნოისისგან, გორდონ მურისა და ენდი გროუვისგან?
გორდონი ამქვეყნად ყველაზე თავმდაბალი მილიარდერია. ერთხელ მე და ჩემი ცოლი Macy's-ში ვიყავით, მიმოვიხედე და გორდონის ცოლი, ბეტი დავინახე – $1-იან ნაგვის ყუთებს ათვალიერებდა [იცინის].

დანარჩენი ორი, ნოისი და გროუვი, ბევრს ჩხუბობდნენ. როგორ ახერხებდნენ ამდენ ჩხუბში წინსვლას?
ენდისა და ბობის კამათისთვის რომ გეყურებინა, იფიქრებდი, ერთმანეთს მოკლავენ, სძულთ ერთმანეთიო. მაგრამ ენდის უყვარდა დებატები. მას მკაფიო პოზიციის მქონე ადამიანი სჭირდებოდა, ამ პოზიციის გამამყარებელი მონაცემები და ამ პოზიციის დაცვის ენთუზიაზმი.

ჯონ ბილდერი FORBES-ისთვის

ჯორჯ გილდერს ესაუბრა რიჩ კარლგაარდი, ჩვენი კონტრიბუტორ-რედაქტორი და გლობალური ფუტურისტი. ინტერვიუ რედაქტირდა და შეიკვეცა. დიალოგის ვრცელი ვერსიის გასაცნობად, ეწვიეთ ვებგვერდს: FORBES.COM/SITES/RICHKARLGAARD

არქივიდან

სიხარბის ხანა: 11 მარტი, 1985



სწრაფი გადახვევა

დამპყრობელი კარლი

1985: ამერიკის დღეს უკვე ყველაზე სახიფათო კორპორაციული თავდამსხმელი, კარლ იკანი Trans World Airlines-ის (TWA) მაღალპროფილიან, თუმცა ყოვლად უიღბლო შესყიდვას ახორციელებს. 1992-ში ავიახაზები კოტრდება.

2018: ახლა, როცა TWA-სთან დაკავშირებული სირთულეები წარსულს ჩაბარდა, $17-მილიარდიანი ქონების პატრონი იკანი, რომელმაც იმიჯი შეიცვალა და „აქტივისტ ინვესტორად“ მოგვევლინა, პლანეტის 73-ე უმდიდრესი ადამიანია.

„ნუთუ არ არის რაიმე ადგილი, სადაც იმ ბოროტ სულებს დავემალებოდით, კორპორაციული სისხლის სმა რომ სწადიათ?“ – იკითხა FORBES-ის რედაქტორმა ჯიმ მაიკლსმა ჩვენი მთავარი სტატიის შესავალში, რომელიც საკონტროლო წილთა ბლოკბასტერული შესყიდვების ბუმს ეძღვნებოდა. 1980-ში მხოლოდ ერთი მილიარდდოლარიანი ტრანზაქცია განხორციელდა: SEAGRAM-მა SUN CO. TEXAS PACIFIC-ს მიჰყიდა. 1984-ში უოლ-სტრიტი 17 ათციფრიანი გარიგების მომსწრე შეიქნა, რომელსაც CHEVRON-ის მიერ GULF OIL-ის დაპატრონება აგვირგვინებდა $13.3 მილიარდად (დაახლოებით $32 მილიარდი, 2018-ის კურსით)

ციებ-ცხელებას სხვა რამეებიც უნთებდა ცეცხლს: ბანკის დეერეგულაცია, არასათანადოდ შეფასებული აქტივები, ანტიტრესტული მოწყალება და 1981 წლის საგადასახადო შეღავათების აქტის შედეგად ნაღდი ფულით ახლად გამდიდრებული კომპანიები. და რაც ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია, უოლ-სტრიტი ახლა ამგვარ მეგაშესყიდვებში გამოცდილ ფინანსისტებთან გაერთიანდა – ისეთ ფირმებთან, როგორიც DREXEL BURNHAM LAMBERT-ი და SALOMON BROTHERS-ია. „ხალხმა სწრაფი მოქმედება ისწავლა, – შენიშნა MERRILL LYNCH-ის აღმასრულებელმა ჩარლზ ნეითანმა. – საბანკო ვალდებულებების მომზადებას უწინ კვირები სჭირდებოდა. ახლა ეს ყველაფერი სულ რამდენიმე დღეშია შესაძლებელი“.

ასე იყო თუ ისე, არცთუ დიდი ხნის შემდეგ ბანკირებსა და ბიზნესთავდამსხმელებს გაწბილება არ ასცდათ. აგრესიული დეკადის პიკი 1988-ში დაფიქსირდა, როცა ბანკირები, გარეშე კაპიტალით ნაყიდი საკონტროლო აქციების სახით, თითქმის $100 მილიარდს განკარგავდნენ (დღევანდელ $200 მილიარდზე მეტს). მაგრამ მომდევნო წელს, მოსუსტებული საფონდო ბაზრისა და გაზრდილი რეგულაციური წნეხის შედეგად, ასეთი შესყიდვების რიცხვი ლამის 60%-ით დაეცა.

ეპოქის მახასიათებელი

კონკურენციამ ვიდეოვარსკვლავი მოკლა

პროგნოზის თანახმად, 1986-ისთვის, ცარიელი ვიდეოკასეტების გაყიდვა უნდა გაორმაგებულიყო და მათ რიცხვს 200 მილიონისთვის მიეღწია... მაგრამ გაგანია კონკურენციის პირობებში, მოგება ვერც ერთმა დიდმა მწარმოებელმა ვერ ნახა. „ყველანი ვხედავთ ამ დიდ ნამცხვარს და ყველანი მის ხელში ჩაგდებას ვცდილობთ. ...ეს ომია!“ – მოთქვამდა 3M-ის მარკეტინგის მენეჯერი რიჩარდ ჯ. მიულერი.

არაჩვეულებრივი რეკლამა

ძველი, კარგი დღეები

1985-ში, ზედიზედ მესამე წელს, General Motors-ის Oldsmobile-ის განყოფილება რეკორდული გაყიდვების მომსწრე შეიქნა: მისი Cutlass Ciera ქვეყანაში მეოთხე ყველაზე პოპულარული მოდელი იყო, Cutlass Supreme-ი კი მეათე. ჯამში, დეტროიტული გიგანტის შემოსავალი 15%-ით – $96 მილიარდამდე (დაახლოებით დღევანდელ $227 მილიარდამდე) გაიზარდა.

რედაქტორის სამუშაო მაგიდიდან

ფიქრები ქაღალდის პარკის თაობაზე

მთავარი რედაქტორის მოადგილე სტივ ფორბსი ეჭვის თვალით უყურებდა მაღაზიებში ცელოფანის პარკების მნიშვნელოვან მომრავლებას. „ქაღალდის პარკი არსად წავა“, – წინასწარმეტყველებდა ის პატარა ტექსტში, სახელად „ეს *!%!*!#* ცელოფანის პარკები“. მთლად ზუსტი წინასწარმეტყველება არ გამოუვიდა: ცელოფანს მაღაზიებში დომინანტობა არ დაუკარგავს, მაგრამ ამ პარკის ეკოლოგიური გავლენის გათვალისწინებით, ფორბსისთვის ინტუიციას მაინც არ უღალატია.

ასოციერებული: ანდრეა ბრაუნი

დიდი ბიუროკრატია, მცირე თავისუფლება

კეთილდღეობის უკეთესი

დონის მიღწევისთვის ეკონომიკური თავისუფლება ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამ ორ ცვლადს შორის არსებობს უტყუარი კორელაცია, დადასტურებული არაერთი სამეცნიერო კვლევით, ისევე როგორც ისტორიული, ემპირიული გამოცდილებით.

იქნება ეს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების დონე, ეკონომიკის ზრდის ტემპი, მოსახლეობის ყველაზე ღარიბი 10%-ის შემოსავლების დონე თუ საერთო შემოსავლების გადანაწილება ღარიბ მოსახლეობაზე, სიღარიბის ტაბი, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ბავშვთა სიკვდილიანობა, ბავშვთა შრომა, უმუშევრობა, მდგომარეობა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების დაცვის თუ გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით – არ არსებობს ინდიკატორი, რომელიც შეიძლება მოვიაზროთ სოციუმის კეთილდღეობის საზომად და ის, საშუალოდ, უკეთესი იყოს ეკონომიკური თავისუფლების არმქონე ქვეყნებში.

ფაქტობრივი მტკიცებულებები იმდენად უტყუარი და ცალსახაა, რომ, წესით, ნებისმიერი ადამიანის უფლებების დამცველი თუ ბავშვთა უფლებებზე მზრუნველი, სიღარიბის წინააღმდეგ თუ დასაქმებისთვის მებრძოლი, ფემინისტი თუ ნაციონალისტი – ყველა, გამონაკლისის გარეშე, უნდა იბრძოდეს ეკონომიკური თავისუფლების უფრო მაღალი დონის მიღწევისთვის; უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეკონომიკური თავისუფლების ნებისმიერი ფორმით შეზღუდვას; და თუ რაიმე მოძღვრების პროზელიტიზმით უნდა იყოს დაკავებული, ეს სწორედ ეკონომიკური თავისუფლებაა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება და სხვადასხვა სიკეთისთვის მებრძოლი ადამიანების უდიდესი უმრავლესობა პრაქტიკაში დაკავებულია სწორედ ეკონომიკურ თავისუფლებასთან ბრძოლით. იმ ტოტს ჭრიან, რომელზეც სხედან და ამას ვერ იაზრებენ. მეტიც, თუ ეცდები ახსნას, რომ მათი ქმედება მათსავე მიზანს ეწინააღმდეგება „საბაზრო ფუნდამენტალისტად“, „ველური კაპიტალიზმის აპოლოგეტად“ და „ჯუნგლების კანონების დამცველად“ გრაცხავენ.

ადამიანების დიდი ნაწილი რთულად ან საერთოდ ვერ ახერხებს გააზრებას, როგორ შეიძლება ფუნქციონირებდეს სრულად ნებაყოფლობით გაცვლაზე დაფუძნებული სისტემა, რომელსაც სტანდარტულად „თავისუფალ ბაზარს“ ეძახიან, ისე რომ არ არსებობდეს ცენტრალური, მაკოორდინერებელ-მაკონტროლებელი ინსტიტუტი. და როგორც პირველყოფილი ადამიანი იხმობდა ღმერთს ისეთ ფენომენებთან მიმართებით, რომელთა გააზრებასაც თავად ვერ ახერხებდა, თანამედროვე ადამიანიც იხმობს სახელმწიფოს სხვადასხვა, რთული ამოცანების გადასაჭრელად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან რეალურად რაიმე პრობლემის ეფექტიანად მოგვარება მხოლოდ და მხოლოდ რწმენას ემყარება – რწმენას, რომელსაც უბრალოდ ფსიქოლოგიური სიმშვიდე მოაქვს და მეტი არაფერი.

მაგალითად, როგორ შეიძლება საღი აზრის მქონე ადამიანმა დაიჯეროს, რომ ერთი და იმავე სახელმწიფო სისტემის პირობებში, სისტემა, რომელსაც თავზე ენგრევა რამდენიმე თვის წინ ზარ-ზეიმით გარემონტებული მეტროს ჭერი, პარალელურად, სრულყოფილად და ზედმიწევნით უშეცდომოდ სრულად აკონტროლებდეს ქვეყანაში რაც კი საკვებს იღებს 3.7 მილიონი ადამიანი, იმის უსაფრთხოებასა და ხარისხს? შეუძლებელია. მაგრამ ადამიანების დიდი ნაწილი არც კი ფიქრობს ამ რეალობის აბსურდულობაზე და უბრალოდ მშვიდად არის იმის ცოდნით, რომ სადღაც, სოფლის მეურნეობის სამინისტროს რომელიღაც განყოფილების რომელიღაც დეპარტამენტის რომელიღაც სამმართველოს რამდენიმე თანამშრომელს ჰქვიათ კვების უსაფრთხოების სპეციალისტები და ფორმალურად ევალებათ მთელი ქვეყნის მასშტაბით კვების უსაფრთხოებაზე ზრუნვა.

მნიშვნელოვანწილად ადამიანების სწორედ ასეთი რწმენა განაპირობებს იმას, რომ საქართველოში (და არა მხოლოდ) სახელმწიფო ბიუროკრატია წარმოუდგენლად გაბერილია, ჭამს ისედაც პატარა ეკონომიკაში შექმნილ მწირ რესურსს და არ აძლევს საშუალებას იმავე ეკონომიკას, სწრაფად გაიზარდოს. დიდი ბიუროკრატია, რომელიც ფინანსდება ჩვენი გადასახადებით, ნიშნავს, რომ ცალკე აღებული ადამიანების ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, ინდივიდუალური პრეფერენციები, ჩანაცვლებულია უნიფიცირებული, ცენტრალიზებული სამთავრობო გადაწყვეტილებებით, რაც ეკონომიკურ



თავისუფლებას ამცირებს.

ასეთი რწმენის შედეგია ეკონომიკის სამინისტროს არსებობა, რომელიც წელს 230 მილიონი ლარი გვიჯდება. რა მოხდება, ეკონომიკის სამინისტრო რომ არ არსებობდეს? ეკონომიკა აღარ იარსებებს? ადამიანები შევწყვეტთ შრომას და ურთიერთგაცვლას? ბიზნესი ვეღარ მიხვდება, რა უნდა აწარმოოს, რა ფასში და ვისთვის? რაში იხდის თითოეული ჩვენგანი წელიწადში საშუალოდ 62 ლარს? რაში გადავიხადეთ შარშან? შარშანწინ?

რატომ ვიხდით სასჯელაღსრულების სამინისტროში 150 მილიონ ლარს? სულ პენიტენციურ დაწესებულებებში 10,000 პატიმარია. რატომ გვიჯდება ერთი პატიმრის შენახვა 15,000 ლარი წელიწადში? 1,250 ლარი თვეში? შეიძლება, რომ გაჭირვებულ, დასნეულებულ და, რაც მთავარია, უდანაშაულო ადამიანზე ვხარჯავდეთ წელიწადში 180 ლარს (ე.წ. „პენსიას“) და თითოეულ დამნაშავეს 7-ჯერ მეტს ვახარჯავდეთ? შეიძლება, ასეთი მიდგომა გამართლებული იყოს ან ეკონომიკურად, ან მორალურად? ამ სისტემაში 5,000 თანამშრომელი მუშაობს. შეიძლება, ყოველ ორ პატიმარზე ერთი თანამშრომელი მოდიოდეს და ეს იყოს ლოგიკური? რომელ სხვა მოწყვლად ჯგუფზე, რომელსაც რეალურად სჭირდება ჩვენი გვერდში დგომა, მოდის ორ სულზე ერთი სახელმწიფო მოხელე?

შეიძლება, 5-წლიანი წარუმატებელი ექსპერიმენტის შემდეგ კიდევ ვაგრძელებდეთ სოფლის მეურნეობაში 275 მილიონი ლარის ხარჯვას? მილიარდები დავხარჯეთ ბოლო წლებში. მილიარდები! და შედეგი – ნული. არც მეტი, არც ნაკლები. მილიარდები გვიჯდება სრულიად უშინაარსო მითების კვება, რომ საქართველო არის „აგრარული ქვეყანა“, რომ „ძლიერი სოფელი ნიშნავს ძლიერ ქალაქს“, რომ „ადამიანები უნდა დავაბათ სოფელში“, რომ შემოტანილი სოფლის მეურნეობის პროდუქცია არ ვარგა და ქართული არის საუკეთესო. მილიარდები!

ირაციონალური რწმენის შედეგია კულტურისა და სპორტის სამინისტროზე წელიწადში 285 მილიონი ლარის ხარჯვა – საშუალოდ 77 ლარის ერთ სულზე. 8,300 სახელმწიფო მოხელეს ვინახავთ ამ ფულით. პრაქტიკულად ყველა მხატვარი, ყველა რეჟისორი, ყველა ფეხბურთელი, ყველა წყალბურთელი, ყველა მუსიკოსი, ყველა მოქანდაკე, და სხვა და სხვა და სხვა – ყველა სახელმწიფო მოხელეა. სახელმწიფო მოხელეები თამაშობენ ფეხბურთს და სახელმწიფო მოხელეები გვიმღერიან სცენიდან. როგორ შეიძლება ასეთ რეალობაში ან ფეხბურთს ეშველოს, ან სიმღერას?

სსიპ-ებსა და ა(ა)იპებზე ვხარჯავთ წელიწადში 1 მილიარდ ლარს – საშუალოდ 270 ლარს ერთ სულზე. ოდესმე დაინტერესებულხართ, რას წარმოადგენენ ეს ორგანიზაციები, რომელთა ჩამონათვალიც ცალკე სქელტანიან დოკუმენტად ახლავს თან სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონს? სპორტული კლუბები, თეატრები, სასწავლებლები, აკადემიები, სააგენტოები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, ფონდები, კოლეჯები, დასები, პანსიონები, ლიცეუმები, ბიუროები, პალატები, გიმნაზიები, უნივერსიტეტები, მოძრაობები, ცენტრები, ანსამბლები, სემინარიები – ყველაფერს ნახავთ აქ. თუ გაინტერესებთ ბიზნესების ჩამონათვალი, რომლებიც ვერ ახერხებენ ისეთი პროდუქციისა თუ მომსახურების შექმნას, რომელიც ბაზარზე გაიყიდება ანუ რომლის შეძენის სურვილიც ნებაყოფლობით ექნებათ ამ ქვეყნის მოქალაქეებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ახერხებენ ხელისუფლებასთან საქმის გაჩარხვას და საბიუჯეტო დაფინანსების, იმავე სუბსიდიის მოპოვებას – ეს დოკუმენტი არის სწორედ ასეთი ბიზნესების რეესტრი. წარუმატებელი, მაგრამ ხელისუფლებასთან დაახლოებული წვრილ-წვრილი ბიზნესების შენახვა გვიჯდება 1 მილიარდი ლარი და მერე სერიოზული სახით ვკითხულობთ, სად შეიძლება დავზოგოთ ხარჯები ან საიდან შეიძლება თავდაცვისთვის საჭირო თანხების მოტანა?

ამ ჩამონათვალის გაგრძელება დიდხანს შეიძლება. სახელმწიფო ბიუჯეტი უაზრო და უშინაარსო ხარჯების ამოუწურავი საბადოა. სანამ ადამიანებში არსებობს რწმენა, რომ სახელმწიფოს გარეშე საკუთარ თავს ვერ მივხედავთ, რომ სახელმწიფოს გარეშე ვერ იარსებებს ეკონომიკა, ფეხბურთი ან კულტურა, მანამ იარსებებს გაბერილი ბიუროკრატია, რომელიც სახელმწიფო განათლების სისტემის მიერ ზომბირებულ ადამიანებს დაარწმუნებს საკუთარი არსებობის აუცილებლობაში, შესაბამისად, მანამდე იქნება ეკონომიკური თავისუფლება შეზღუდული, და მანამდე გვექნება ეკონომიკის განვითარების დაბალი დონეც და ტემპიც. F

ფოტო: SHUTTERSTOCK

საარჩევნო სისტემის ტყვეობაში

წელს, შესაძლოა უკანასკნელად, პირდაპირი წესით ავირჩევთ პრეზიდენტს. თუ ავირჩევთ კანდიდატს, რომელსაც მმართველი ძალა არ აკონტროლებს, ის იქნება ერთპარტიული მმართველობის მთავარი საპირწონე ქვეყანაში. ჩვენ შეიძლება ნორმალურადაც გვეჩვენებოდეს, რომ საქართველოს პარლამენტში ერთ პარტიას აქვს მყარი საკონსტიტუციო უმრავლესობა. მიჩვეულები ვართ, რომ გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი. სინამდვილეში, ძალების ასეთი ბალანსი პარლამენტში დემოკრატიული ქვეყნისთვის პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

თუ ავირჩევთ მმართველი პარტიის კანდიდატს, მივიღებთ კიდევ უფრო უკონტროლო, დაუბალანსებელ ხელისუფლებას, ვიდრე დღეს. ყველა ზედაპირული სიგნალით, ქართული ოცნება ძალიან ეცდება, პრეზიდენტ მარგველაშვილივით „ამბიციური“ კანდიდატი მეორედ არ „გაეპაროს“. შემდეგ მოვა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც, შარშანდელი გადაწყვეტილებით, წინა არჩევნებივით, ისევ შერეული სისტემით ჩატარდება; ანუ სისტემით, რომელსაც „უყვარს“ საკონსტიტუციო უმრავლესობები – ყველანაირად ხელს უწყობს მათ ჩამოყალიბებას.

თუ 2020-ში მართლა მივიღებთ მორიგ საკონსტიტუციო უმრავლესობას პარლამენტში, 2023-დან მას უკვე პრეზიდენტიც ვეღარ დააბალანსებს. არსებული გეგმით, შემდეგ პრეზიდენტს პარლამენტი აირჩევს – ანუ, მმართველი პარტია.

2024-სთვის ვრჩებით იმის იმედად, რომ მმართველი ძალა არ დაარღვევს კონსტიტუციურად დადებულ პირობას და პირველად თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ჩავატარებთ საპარლამენტო არჩევნებს სისტემით, რომელსაც პროპორციული ერქმევა. მაგრამ ძალიანაც არ გაგვიხარდეს. ნამდვილი პროპორციული სისტემის არსია, რომ გამარჯვება შეიძლება იყოს ზომიერი და არა ყოვლისმმუსვრელი – პირველ პარტიას, დიდი ალბათობით, პარლამენტში ადგილების ნახევარიც კი არ ერგება. ეს პერსპექტივა ქართულ ოცნებას აშკარად არ ხიბლავს: ზედმეტად რომ არ „გავინავარდოთ“, ხელისუფლებამ სამომავლოდ პროპორციული სისტემის ქართული ვერსია შემოგვაპარა, გამარჯვებულისთვის ბონუსით – ვინც ისედაც სხვებზე მეტ ხმას მიიღებს, მასზევე გადანაწილდება ბარიერგადაულახავი პარტიების ხმები.

2020-ში კვლავ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღება ნიშნავს, რომ მმართველმა ძალამ შეიძლება საერთოდ „გადაიფიქროს“ და უარი თქვას თუნდაც დამახინჯებულ პროპორციულ სისტემაზე. შეიძლება მისი რამე ახალი „კრეატიული“ ვარიაციაც შემოგვთავაზოს. პროპორციულ სისტემაზე გადასვლა ძველი დაპირებაა და მისი ერთგულების შემთხვევაში, თავისუფლად შეიძლებოდა 2016 წლის არჩევნებში უკვე ყოფილიყო დანერგილი. ქვეყანაში, სადაც საკონსტიტუციო უმრავლესობები ნორმაა, კონსტიტუციაში ჩაწერილი დაპირებაც კი ცარიელი სიტყვებია. სხვა დაპირებებისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მის დარღვევას სხდომაზე მაღალი დასწრება სჭირდება – ჩვეულებრივზე ცოტა მეტმა თითმა უნდა მიაღწიოს ღილაკამდე.

გასულ წლებში საპარლამენტო უმრავლესობა არწმუნებდა საზოგადოებას, რომ მათი მოფიქრებული გაუგებრობა, სადაც გამარჯვებულს მიაქვს ყველა გაუნაწილებელი ხმა, პროპორციული სისტემის მსოფლიოში მიღებული ვარიანტია. მაგალითად მოჰყავდათ იტალია. ეს იყო უსირცხვილო ტყუილი: ჯერ ერთი, იტალიური ვარიანტი არ იყო გავრცელებული – ის იყო გამონაკლისებს შორის და იტალიისავე სასამართლომ სცნო არაკონსტიტუციურად; მეორეც – ბევრად რბილი იყო იმასთან შედარებით, რასაც ქართული ოცნება თავიდან ლობირებდა (გამარჯვებულ პარტიას მხოლოდ 54%-მდე უვსებდა ადგილებს, ისიც, თუ პარტიის შედეგი 40%-ს გადასცდებოდა). საბოლოო ჯამში, ხელისუფლება „კომპრომისზე წამოვიდა“ და ძალიან დამახინჯებული პროპორციული სისტემის ნაცვლად ცოტა ნაკლებად დამახინჯებული შეიმუშავა – გამარჯვებულის ბონუსზე უარი

ფოტო: SHUTTERSTOCK

არ თქვა, მაგრამ მასზე ზედა ზღვარი დააწესა, „ზრდილობისთვის“.

წელს ოპოზიციონერი პრეზიდენტის არჩევა შეიძლება, ბევრ სხვა რამესთან ერთად, იყოს უკანასკნელი შანსი, გავურთულოთ ხელისუფლებას საარჩევნო სისტემის კიდევ ერთხელ და კიდევ უფრო მორგება. პრეზიდენტის უფლებები ახლა ძალიან შეზღუდულია, მაგრამ მას მაინც მეტი დისკომფორტის შექმნა შეუძლია მმართველი პარტიისთვის, ვიდრე 10-15-კაციან ფრაქციებს პარლამენტში.

რომ შევიგრძნოთ, რამდენად შორია საქართველოს პარლამენტის ძალთა ბალანსი დემოკრატიული ქვეყნების „ნორმისგან“, არაა საკმარისი ზოგადი შეფასებები. პრობლემის სიმძაფრეს მხოლოდ რიცხვები აჩვენებს.

2017 წლის მონაცემებით, ევროსაბჭოს 43 წევრ ქვეყანას შორის (ჯუჯა ქვეყნების გამოკლებით), გამარჯვებულ პარტიას მხოლოდ ორი ქვეყნის პარლამენტში აქვს ადგილების 70%-ზე მეტი. ესენია საქართველო (77%) და რუსეთი (76%), რომელსაც ჩვენნაირი შერეული საარჩევნო სისტემა აქვს. შერეული სისტემა აქვს სიაში მესამე ქვეყანასაც – უნგრეთს – ამჟამინდელი სკანდალური პრემიერის, ვიქტორ ორბანის წყალობით. უნგრეთში ორბანის პარტიას წინა მოწვევის პარლამენტში ადგილების 67% ჰქონდა. წლევანდელი არჩევნების შემდეგ ზუსტად იგივე პროცენტი შეუნარჩუნდა, რაც აჩვენებს, რომ შერეული სისტემა არამხოლოდ ჩვენთან იწვევს ერთპარტიული მმართველობის ჩაკეტილ წრეს.

ევროსაბჭოში, ამ სამი ქვეყნის გარდა, გამარჯვებულ პარტიას არსად აქვს პარლამენტში ადგილების 60%-იც კი. სულ შვიდ ქვეყანაში – თურქეთში, მალტაში, სომხეთში, იტალიაში, სერბეთში, პოლონეთსა და დიდ ბრიტანეთში – ერთ პარტიას უკავია ადგილების ნახევარზე მეტი, თუმცა 60%-ზე ნაკლები. ამათგან, თურქული სისტემა ცნობილია უჩვეულოდ მაღალი, 10%-იანი ბარიერით, სომხეთსა და იტალიაში მოქმედებს გამარჯვებულისთვის ბონუსის მინიჭების სისტემა, ხოლო ბრიტანეთში – მაჟორიტარული.

იმ ქვეყნებში, სადაც პროპორციული სისტემა მეტ-ნაკლებად სუფთა სახით მოქმედებს, გამარჯვებული პარტია თითქმის ყოველთვის ადგილების ნახევარზე ნაკლებს იღებს. ევროსაბჭოს 10 ქვეყანაში პირველ პარტიას აქვს საპარლამენტო მანდატების 40-დან 50%-მდე. 14 ქვეყანაში – 30-დან 40%-მდე და კიდევ 9-ში – 20-დან 30%-მდე. ჯამში, ევროსაბჭოს წევრების უმეტესობაში – 33 ქვეყანაში – ერთ ძალას არათუ საკონსტიტუციო, ჩვეულებრივი უმრავლესობაც არა აქვს. აქედან 18-ში – არავის უკავია პარლამენტის მესამედიც კი.

გადაურჩებოდა საქართველო პარლამენტს, სადაც ვერც ერთი პარტია ვერ ცვლის კონსტიტუციასა და კანონებს ერთპიროვნულად? კი, გადაურჩებოდა. „ფუნდამენტურ საკითხებში“ – ევროკავშირთან და ნატოსთან დაახლოება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რომ გვჭირდება, დემოკრატიის მშენებლობაზე რომ გვაქვს პრეტენზია და არა კომუნიზმის – ძირითადი ოპოზიციური ძალები ხელისუფლებას არ შეუშლიდნენ. არაფუნდამენტურში – თუ ხელისუფლებას ვინმე შეაკავებდა ხალხის სოფლად შეკავებისგან, მხოლოდ ვიხეირებდით. თუ კორუფციაშიც ცოტა მოთოკავდნენ ერთმანეთს, ხომ საერთოდ. მაგრამ ჩვენ ეს ვერ დავიმსახურეთ. საქართველო – ოპტიმისტური სცენარითაც კი – 2020-შიც და 2024-შიც იქნება იმ გამონაკლის ევროპულ ქვეყნებს შორის, რომლებსაც საკუთარი ხალხი დემოკრატიისთვის ბოლომდე არ ემეტებათ. F

„ცარიელი შპრიცების“ გაყალბებული რეფორმა

პორტუგალიამ მომხმარებლების დასჯაზე ორიენტირებული, რეპრესიული ნარკოპოლიტიკა 2001 წელს ერთიანად შეცვალა. ის იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც საუკუნოვანი ისტორიის მქონე მკაცრი მიდგომის უპრეცედენტო ცვლილება მოახდინა. რეფორმის გატარებამდე, დღევანდელი საქართველოს მსგავსად, მომხმარებლებს დევნიდნენ და მკაცრად სჯიდნენ, სისტემა მათ სტიგმატიზაციასა და სოციალურ იზოლაციას ახდენდა. მომხმარებელთა უმრავლესობა აივ-ინფექციითა და C ჰეპატიტით იყო ინფიცირებული, ზედოზირებით გარდაცვალების მაჩვენებელი კი პორტუგალიას ევროპასა და მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ჰქონდა. ციხეები, ჩვენი არ იყოს, გაჯერებული იყო „ნარკოდამნაშავეებით“.

მაშინდელი რეფორმატორები იხსენებენ, რომ ძნელად თუ იპოვიდი ოჯახს, რომელიც „ჰეროინის ეპიდემიას“ გადაურჩა. პრობლემურ მომხმარებელთა რიცხვი 100,000-ს აღემატებოდა, რაც მოსახლეობის თითქმის 1%-ს შეადგენდა. შედარებისთვის, ევროკავშირის სხვა ქვეყნებში იგივე მაჩვენებელი ძირითადად 0.2-დან 0.5 %-მდე მერყეობდა.

რამდენიმეწლიანი მზადების შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ძალოვნების ნაცვლად მეცნიერებსა და ექსპერტებს მიანდო, პორტუგალიამ რევოლუციური და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ძალიან ეფექტიანი პასუხი გასცა პრობლემას, რომელსაც თითქოს შეუქცევადი ხასიათი ჰქონდა და მისი გამოსწორების იმედი აღარავის შერჩენოდა. პორტუგალიამ დინების საწინააღმდეგოდ დაიწყო ცურვა – თუკი მსოფლიო უშედეგოდ ცდილობდა სადამსჯელო პოლიტიკის კიდევ უფრო გაძლიერებას, პორტუგალიელმა რეფორმატორებმა წარმატება სრულიად საპირისპირო მიდგომაში განჭვრიტეს. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და ფლობა დღემდე არალეგალურ ქმედებად ითვლება, თუმცა ამ რეფორმით პორტუგალიამ:

• **მომხმარებელს გამოაცალა** დამნაშავის სტატუსი – მოხდა აკრძალული ნივთიერების მოხმარებისა და მისი მცირე ოდენობით ფლობის სრული დეკრიმინალიზაცია. მცირე ოდენობად კი განისაზღვრა რეგულარული მომხმარებლისთვის 10 დღის საკმარი ნარკოტიკული საშუალება.

• **შექმნა ფსიქოლოგის,** სოციალური მუშაკისა და იურისტისგან შემდგარი გადარწმუნების კომისიები, სადაც პოლიციის მიერ გამოვლენილი მომხმარებლები იგზავნებიან. მომხმარებლებს აღარ უწევთ პოლიციასთან და სასამართლოსთან საქმის დაჭერა. ამის ნაცვლად, ისინი წარდგებიან კომისიებში, სადაც მათ კეთილგანწყობით ხვდებიან და დახმარების ხელს უწვდიან. კომისია მომხმარებლის მდგომარეობას აფასებს და საჭიროებებზე მორგებულ, ინდივიდუალურ მომსახურებას სთავაზობს მას – პრობლემატურ მომხმარებელს შესაბამის კლინიკებსა და ცენტრებში ამისამართებს, სადაც მომხმარებელს, თუ მას ამის სურვილი აქვს, სათანადო სამედიცინო მომსახურება მიეწოდება. ეპიზოდურ მომხმარებლებს რაც შეეხება, მათთვის კომისია მეტწილად საგანმანათლებლო ხასიათის, პრევენციულ რეკომენდაციებს გასცემს. იშვიათ შემთხვევებში კი, თუ ამის აუცილებლობა დგება, კომისია უფლებამოსილია, მომხმარებელი ადმინისტრაციულადაც დასაჯოს – მეტწილად არაფულადი ჯარიმით, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი ფულადი ჯარიმითაც.

ჩვენს მსგავსად, იმდროინდელ პორტუგალიაშიც უამრავი ადამიანი წინასწარმეტყველებდა ნარკოსამოთხეს, მომხმარებლების სხვა ქვეყნებიდან მოზღვავებას, ნარკორეალიზატორების არნახულ გაძლიერებასა და სრულიად ერის „განარკომანებას“, მაგრამ სრულმა დეკრიმინალიზაციამ ზიანის შემცირებასა და სამკურნალო-სარეაბილიტაციო განვითარებასთან ერთად საუკეთესო შედეგები მოიტანა:

• **ნარკოტიკების მოხმარება** არ გაიზარდა. ნარკოტიკების უმეტესობის მოხმარების ზოგადი მაჩვენებლები ძირითადად იგივე დარჩა ან შემცირდა;

• **15-24 წლის ახალგაზრდების** მიერ მოხმარების სტაბილური კლების ტენდენცია გამოიკვეთა;

• **გაორმაგდა სამკურნალოდ**

ფოტო: SHUTTERSTOCK

მიმართვიანობის რიცხვი, რამაც ზიანის შემცირების პროგრამებთან ერთად უზრუნველყო აივ/შიდსის ახალი შემთხვევების მნიშვნელოვანი შემცირება.

• **ზედოზირებით გარდაცვლილთა** რაოდენობამ 80%-ით დაიკლო, და ერთ დროს ყველაზე უარესი შედეგის მქონე ქვეყანა ამ მაჩვენებლით მსოფლიოს ერთ-ერთ ლიდერად იქცა;

• **განიტვირთა სასამართლო** და ციხე, ხოლო პოლიციის გამოთავისუფლებული რესურსი მეტწილად საერთაშორისო და ორგანიზებული ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ იქნა მიმართული;

• **და რაც მთავარია,** 90-იანი წლების მსოფლიო ლიდერს დღეს ევროპაში პროცენტულად ყველაზე ნაკლები პრობლემური მომხმარებელი ჰყავს.

საქართველოს დღევანდელი და პორტუგალიის მაშინდელი მდგომარეობა გარკვეულწილად ერთმანეთის მსგავსია. 12 წლის წინ ამოქმედებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ შემდეგ რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე მკაცრი ნარკოპოლიტიკა მივიღეთ – სანქციები სრულიად არაპროპორციულია, ხოლო მცირე ოდენობებად ხშირად ერთ დოზაზე გაცილებით ნაკლებია კანონით განსაზღვრული. პრობლემური მომხმარებლების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება და, საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონისა“ და საერთაშორისო ფონდ „კურაციოს“ უახლესი შეფასებით, 2016 წელს 52,500 შეადგინა, რაც 18-64 წლის მოქალაქეების 2,24%-ს შეადგენს. უსაფრთხო და ფართოდ გავრცელებული ინიექციური მოხმარება კვლავაც ჰეპატიტისა და აივ-ინფექციების გავრცელების ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა. ზედოზირებით აქაც უამრავი ადამიანი კვდება, ხოლო მისგან დასაცავად ერთადერთ ეფექტიან მედიკამენტ ნალოქსონზე ხელმისაწვდომობა კვლავაც ძალიან დაბალია არაჰუმანური რეგულაციების გამო; საშუალო ევროპულზე ორჯერ მაღალია მოზარდებში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების, ე.წ. ბიოს მოხმარება, როგორც ეს 2015 წლის საერთო ევროპული სასკოლო კვლევის (ESPAD) შედეგებმა აჩვენა.

არსებული პოლიტიკა პრობლემატურია ადამიანის უფლებების თვალსაზრისითაც. უსამართლო, არაპროპორციული სანქციების გარდა, მომხმარებლებს ავტომატურად ერთმევათ მთელი რიგი სამოქალაქო უფლებებიც. სახელმწიფოს, რომელსაც წლის განმავლობაში 60 ათასი ადამიანიც კი გადაუყვანია ნარკოლოგიურ კლინიკაში შარდის ჩასაბარებლად, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ნარკო-

დანაშაულისთვის უვადო პატიმრებს, ხოლო თვალით შეუმჩნეველი, ხშირად ეფექტიანი დოზის მემილიონედი ოდენობის გამო მრავალი წლით გზავნის ადამიანებს საპატიმროებში, სრულიად არ გააჩნია პირველადი პრევენციის სისტემა საგანმანათლებლო სივრცეში, ასევე არ გააჩნია ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მომსახურება.

პრაქტიკა კიდე უფრო მძიმეა. დღემდე გრძელდება ნარკოტიკების ჩადების პრაქტიკა. რეგიონებში ადგილობრივი პოლიციისთვის ნარკოპოლიტიკა „სიტუაციის დაჭერის" საუკეთესო საშუალებაა.

ჰუმანური ნარკოპოლიტიკის რეფორმის მცდელობა

ბოლო წლებში კვლავ გაჩნდა რეფორმის განხორციელების რეალური შესაძლებლობა. ინოვაციური და მძლავრი საპროტესტო ტალღის ფონზე ჩამოყალიბდა ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმა, რომელშიც 40-ზე მეტი ორგანიზაცია და ჯგუფი გაერთიანდა – მოძრაობები, მკვლევრები, დარგის სპეციალისტები, მომხმარებლები, უფლებადამცველები და ა.შ. პლატფორმამ, დეკრიმინალიზაციის ბევრ წარმატებულ მოდელს შორის პორტუგალიური მიდგომა გამოარჩია და 2017 წლის ივნისში, ხუთ დეპუტატთან ერთად, ხელისუფლებას წარუდგინა რეფორმა, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს:

• **მოხმარებისა და მცირე** ოდენობით ფლობის დეკრიმინალიზაცია. პორტუგალიური 10 დღის ოდენობის ნაცვლად, ჩვენთან მცირე ოდენობად 1 დღის საკმარი ნარკოტიკული საშუალება იქნა შეთავაზებული – ეს თავისთავად გულისხმობდა აბსურდული ოდენობების ცხრილის მნიშვნელოვან გადახალისებას;

• **არაპროპორციული სანქციების** შემცირება;

• **იმ კანონის გაუქმება,** რომელიც მომხმარებლებს სამოქალაქო უფლებებს ავტომატურად ართმევს, მაშინ როდესაც სასამართლოს ზოგადი წესით ისედაც შეუძლია მსგავსი სანქციის დაკისრება;

• **პორტუგალიური გადარწმუნების** კომისიების ანალოგის დანერგვა;

• **სასკოლო სისტემაში** პირველადი პრევენციის დანერგვა;

• **მკურნალობა-რეაბილიტაციის** სფეროში არსებული კრიტიკული ღიობების ამოვსება.

ჰუმანური ნარკოპოლიტიკის შეთავაზებული რეფორმა დადებითად შეაფასეს გაეროს აივ/შიდსის გაერთიანებულმა პროგრამამ (UNAIDS), ნარკოპოლიტიკის გლობალურმა კომისიამ (Global Commission on Drug Policy), ნარკოპოლიტიკის საერთაშორისო კონსორციუმმა (IDPC).

რეფორმის რეგულირების გავლენის შეფასების დროს, რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით უშუალოდ პარლამენტმა განახორციელა, რეფორმის რამდენიმე სცენარი ფასდებოდა და სწორედ პლატფორმის მიერ შეთავაზებული მოდელი იქნა მიჩნეული ყველაზე სარგებლიანად საქართველოსთვის.

თუმცა, დიდხნიანი დუმილის შემდეგ, ანტინარკოტიკული უწყებათაშორისი კომისიის 27 მარტის სხდომაზე, რომელიც ერთთვიანი დაგვიანებით ჩატარდა და რომელზეც ხელისუფლების საბოლოო, შეჯერებული პოზიცია უნდა გაცხადებულიყო მრავალთვიანი მოლაპარაკებებისა და პლატფორმის მიერ მთელი რიგი დათმობების შემდეგ, მთავრობამ ფაქტობრივად აღიარა, რომ ამ ეტაპზე ის შეთავაზებულ რეფორმას არ განახორციელებს.

თუმცა, სანაცვლოდ, მთავრობამ ერთი ინიციატივა მაინც წამოაყენა.

„ცარიელი შპრიცების რეფორმა" – ჰუმანური ნარკოპოლიტიკის სამთავრობო ალტერნატივა?

პლატფორმის მიერ მომზადებული რეფორმის ჩაგდება მთავრობამ იმით გვამცნო, რომ უწყებათაშორისი კომისიის 27 მარტის სხდომაზე ალტერნატიული კანონპროექტი წარმოადგინა. უფრო სწორად, გააცოცხლა პროექტი, რომელიც პროკურატურის კედლებში დაიწერა დაახლოებით 2 წლის წინ და ერთ-ერთ სამუშაო შეხვედრაზე წარმოდგენილიც კი იყო, როგორც „ცარიელი შპრიცების" პრობლემის ეფექტიანი გადაწყვეტა.

კანონპროექტი რვა აკრძალული ნივთიერებისთვის საზღვრავს მცირე ოდენობებს, მაშინ როდესაც პლატფორმის კომპლექსურ რეფორმაში 22 ნივთიერებისთვის ოდენობები მნიშვნელოვნად იცვლებოდა. ამ საშუალებებიდან ექვსისთვის აქამდე არ არსებობს მცირე ოდენობა, ორი დასახელების ნარკოტიკის შემთხვევაში კი ოდენობები მცირდება. შემოთავაზება არათუ ჩვენი რეფორმის პრინციპს – ერთი დღის საკმარი ოდენობა – იზიარებს, ის ერთ ეფექტიან დოზაზე ბევრად ნაკლებს გვთავაზობს, რაც მხოლოდ იმ პრობლემას აგვარებს, რომ მოხმარებული შპრიცის, ბოთლის თუ ბონგის ანაფხეკზე აღმოჩენილი ნივთიერების გამო ადამიანები წლობით ციხეში არ მიდიოდნენ, ხოლო ისინი, ვისაც თუნდაც ერთ ულუფა „წამალს" უპოვიან, კვლავაც მართლმსაჯულების კლანჭებში ამოყოფენ თავს.

ამ კანონპროექტში სხვა არსებითი ცვლილება შემოთავაზებული არ არის. მისი ძალაში შესვლის შემდეგ პოლიტიკა კვლავაც ძალიან რეპრესიული დარჩება. ამიტომ მისი წარმოდგენა, როგორც ჰუმანური ნარკოპოლიტიკის რეფორმის რაიმეგვარი ალტერნატივისა – არასწორი იქნებოდა. მეტი თვალსაჩინოებისათვის, ერთი ულუფა MDMA-ის მფლობელი ამ ცვლილებით საერთოდ ვერაფერს იხეირებს: მას გაასამართლებენ, ეცდებიან, ინფორმატორად აქციონ, საუკეთესო შემთხვევაში პირობით მსჯავრს დაადებენ, ხოლო თუ ეს ვერ მოხერხდა უსახსრობის ან რაიმე სხვა მიზეზით, რომელიმე პენიტენციურ დაწესებულებაში

1 ულუფა MDMA-ის ფლობის შემთხვევა მოქმედი კანონმდებლობის, ჩაგდებული რეფორმისა და „ცარიელი შპრიცების“ კანონპროექტის მიხედვით

დღეს მოქმედი კანონით

ვინაიდან MDMA-ს არ გააჩნია მცირე ოდენობა, მისი უმცირესი ნაწილაკიც კი შეიძლება გახდეს მიზეზი ადამიანის 6 წლამდე ციხეში გასაშვებად.

ჩაფიქრებული რეფორმის მიხედვით

მცირე ოდენობად განსაზღვრულია 0.4 გრამი MDMA, შესაბამისად 200 მილიგრამი MDMA ადმინისტრაციულ გადაცდომად ჩაითვლებოდა და სხვა ფაქტორების არარსებობის შემთხვევაში, პირი 100 ლარამდე ოდენობის თანხით დაჯარიმდებოდა სასამართლოს მიერ.

ის ამავდროულად ახლად შექმნილ შეფასებისა და გადამისამართების კომისიაში მოხვდებოდა, სადაც მასთან, პოლიციელების ნაცვლად, კეთილგანწყობილი ფსიქოლოგი, სოც. მუშაკი და იურისტი იმუშავებდნენ, რჩევებს მისცემდნენ, რისკების შესახებ გააფრთხილებდნენ და საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო თუ სარეაბილიტაციო სერვისებისკენ გაუკვალავდნენ გზას.

„ცარიელი შპრიცების რეფორმის“ შემდეგ

ვინაიდან მცირე ოდენობად 0.05 გრამამდე, ხოლო სისხლის სამართლის საწყის ოდენობად 0.05-დან 0.5 გრამამდეა გასაზღვრული, მოცემული შემთხვევა სისხლის სამართლის საწყის ოდენობად შეფასდება, რაც არსებული სანქციების პირობებში პირის 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

ოდენობების ამგვარი განსაზღვრა ნებისმიერ პირს, ვინც ამ ნივთიერების ერთჯერად ულუფას მაინც ფლობს, სისხლის სამართლის დამნაშავედ ტოვებს.

რამდენიმე წლით დაუდებენ ბინას.

როგორც ვხედავთ, ტიპურ შემთხვევებში ეს ცვლილება მართლაც არაფერს ცვლის. ის მხოლოდ სისტემისთვის იმ სამარცხვინო შედეგების დადგომას გამორიცხავს, როდესაც გამოყენებისთვის გამოუსადეგარი ოდენობის გამოც კი მრავალი წლით გზავნიდა ადამიანს ციხეში.

ეჭვი, რომ „ცარიელი შპრიცების კანონი“ სინამდვილეში არანაირად არ იყო პლატფორმის რეფორმის ალტერნატივა, მათ შორის მთავრობისათვის, ბოლო უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე კიდევ უფრო სარწმუნო გახდა. 17 აპრილის სხდომაზე დღის წესრიგში ორი საინტერესო საკითხი შევიდა – მომხმარებელთათვის დამატებითი სამოქალაქო უფლებების ავტომატური ჩამორთმევის საკითხი, რაც სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი კანონით არის დღეს მოწესრიგებული. პლატფორმის მიერ შეთავაზებული რეფორმის ფარგლებში ეს კანონი მთლიანად უნდა გაუქმებულიყო, ვინაიდან მოსამართლეებს ისედაც აქვთ პირისთვის ზოგადი წესით ამ ტიპის სანქციის დაკისრების შესაძლებლობა.

უფრო საინტერესო გახლდათ ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, აკაკი ზოიძის ინიციატივა, რომელიც მას პლატფორმის წევრებთან არც კი შეუთანხმებია – როგორც თავად უწოდა, ეს არის „მოხმარების ნაწილობრივი დეკრიმინალიზაცია“. ცვლილების მიხედვით, მომხმარებელი დამნაშავედ მოხმარების მეორედ აღმოჩენის ნაცვლად, მეოთხე თუ მეხუთე შემთხვევაში უნდა ვაქციოთ.

საქართველო იმასაც კი ვერ ახერხებს, რაც რეგიონში უკვე ყველამ მოახერხა – ადამიანი არ აქციოს დამნაშავედ შარდის ანალიზის საფუძველზე.

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის პოზიცია, რომლის მიხედვით „ქვეყნებმა უნდა იზრუნონ ისეთი ზომების გატარებაზე, რომლებიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის უფლების დაცვასა და საპატიმროების გადატვირთულობის შემცირებას, მათ შორის ზომებისა, როგორიცაა ნარკოტიკების მოხმარებისა და პირადი მოხმარების მიზნით ფლობის დეკრიმინალიზაცია“, პროფესიონალიზმით საქვეყნოდ სახელგანთქმული ქართველი ბიუროკრატებისთვის, როგორც ჩანს, არაფერს ნიშნავს. F

დასვენების წინასწარმეტყველი

მაშინ, როცა ბევრი ფსონს ხელოვნური ინტელექტის მომავალზე დებს, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცხელ-ცხელი აპლიკაცია, Hopper-ი, მასზე დღესვე ახდენს კაპიტალიზებას და, შედეგად, $84 მილიონიც აქვს მოზიდული.

ავტორი: კეთლინ ჩაიკოვსკი

ფრენის დამგეგმავები: თანადამფუძნებლები ლალონდი და უვერკერკი Hopper-ს მუდამ მისაწვდომ „თავისუფალი დროის თანამგზავრად“ ხედავენ, რომელსაც ავტომატიზებულ რეჟიმში გადაჰყავს ადამიანების მიერ ახალ აქტივობათა აღმოჩენის პროცესი ადგილობრივად თუ დასვენების დროს.

ასოფლიშო ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურ სამოგზაურო აპლიკაციას ხაზგასმით ძველმოდურ გარემოში დაუდევს ბინა: მონრეალის ყოფილ ქსოვილების უბანში მდებარე თუთიის მუშა ქარხანაში. შიშხინა მანქანებისა და ქიმიური ავზების ლაბირინთში მიმავალი ფრედ ლალონდი – მსოფლიოში ყველაზე სწრაფად მზარდი ავიაბილეთების დაჯავშნის აპლიკაცია Hopper-ის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი – განმარტავს, ამ სივრცეს 2009 წლიდან რატომ ქირაობს. „რაც უნდა ცუდად გამოიყურებოდეს აქაურობა, ალბათ ყველაზე ჭკვიანურად შერჩეული ადგილი იყო მონაცემთა ცენტრის ჩასაშვებად“, – ამბობს ის. შენობა ჰიდროელექტროენერგიაზე მუშაობს – კანადური სისტემის ნაწილზე, რომელიც იაფი ელექტროენერგიის მარაგს უზრუნველყოფს და იდეალურ ვარიანტს წარმოადგენს ელექტროენერგიას დახარბებული სტარტაპისთვის, ფსონს რომ დიდ მონაცემებზე დებს. Hopper-ის ხელოვნურ ინტელექტზე დამყარებულ რეკომენდაციებს შეუძლია, მგზავრობა უფრო ხელმისაწვდომი და პერსონალიზებული გახადოს, ვიდრე როცა ხალხი თავად გეგმავს თავიანთ მგზავრობას.

განსხვავებით სხვა სამოგზაურო საიტთა უმეტესობისგან, რომლებსაც, როგორც წესი, უნდათ, უმალ გაგაკეთებინონ ჯავშანი, Hopper-ი მოთმინებაზეა დაფუძნებული. „წარმოიდგინეთ ელ-ვაჭრობის საიტი, რომელიც დროის 70%-ში გეუბნებათ, არ იყიდოთო, – ამბობს სტარტაპის პირველი ინვესტორის, Brightspark Ventures-ის პარტნიორი, სოფი ფორესტი. – Hopper-ი სწორედ ამგვარი ანომალიაა“. აპლიკაცია, რომლის სამიზნეს, მეტწილად, არასაქმიანი მოგზაურობის ბაზარი წარმოადგენს, კომპლექსურ ალგორითმს იყენებს, რათა ფრენისა და ყიდვის საუკეთესო ვარიანტები და დროები იწინასწარმეტყველოს და მომხმარებლებს ამის შესახებ ოპტიმალურ დროს შეატყობინოს – კარგა ხნით ადრე მანამდე, სანამ ფასები აიწევს ან დაიწევს.

დაარსებიდან – 2015 წლიდან – მოყოლებული, Hopper-ი ყველაზე მძლავრ ახალბედად იქცა $800-მილიარდიან ფრენის ბაზარზე, რომელშიც ლალონდის ყოფილი დამქირავებელი, Expedia და Booking Holdings-ი (უწინ Priceline-ი) ბატონობენ. დღეს მას უკვე 20 მილიონი მომხმარებელი ჰყავს.

იანვარში Hopper-ი მეოთხე ყველაზე ხშირად ჩამოტვირთული აპლიკაცია იყო აშშ-ში Uber-ის, Lyft-ისა და Airbnb-ის შემდეგ. 120-პერსონალიანმა კომპანიამ, რომელსაც 44 წლის ლალონდი და თანადამფუძნებელი და ტექნოლოგიური დირექტორი, 46 წლის ჯუსტ უვერკერკი უძღვებიან, ფრენათა გაყიდვით – ლამის სულ მობილური შეტყობინებების მეშვეობით – გასულ წელს დაახლოებით $15 მილიონის შემოსავალი გააკეთა.

მომხმარებლები, 300-ზე მეტი ავიახაზის საშუალებით, დღეში $1.5 მილიონის ტოლფას ავიაბილეთებს ყიდულობენ, Hopper-ს კი ბილეთზე, მომსახურების საფასურის სახით, $5-ს ურიცხავენ (ავიახაზები 1%-დან 4%-მდე საკომისიოს იხდიან). Hopper-ი ამბობს, რომ მომხმარებლები ერთ ბილეთზე საშუალოდ $50-ს ზოგავენ, ხოლო მის მიერ თითქმის ერთი წლით ადრე გაკეთებული პროგნოზები ავიაფასებისთვის 95%-ით ზუსტია. ამასობაში, Kayak-ი ფრენის ფასების პროგნოზს მხოლოდ ერთი კვირით ადრე აკეთებს, ხოლო არაერთი მეტოქე, მაგალითად, Google-ი, მხოლოდ იმას უთითებს, გაიზრდება თუ არა ფასი, და არა იმას, გამოჩნდება თუ არა უკეთესი ვარიანტი.

ექსპერიმენტები კვებეკში გაზრდილი ლალონდის ბავშვობის განუყოფელი ნაწილი იყო. მამამისს, ბიოლოგს, გამუდმებით მიჰქონდა შინ ახალი კომპიუტერები, რომელთაც ლალონდი პროგრამის შესასწავლად იყენებდა. კოლეჯში სიარულის ნაცვლად, 1993-ში, ის ლოს-ანჯელესში გადავიდა, რათა ავიაბილეთების ონლაინკომპანია, Travel Online-ი წამოეწყო (ეს Expedia-ს ჩაშვებამდე ხდებოდა). ფინანსები ვერ მოიზიდა და, 23 წლის ასაკში, მონრეალში გადავიდა, თავის მეგობარ გოგონასთან (დღეს უკვე ცოლთან) ერთად რომ ყოფილიყო. მალევე მან Newtrade Technologies-ი შექმნა, რომელიც სასტუმროს დასაჯავშნ სისტემებსა და დასა-



როგორ ვითამაშოთ სწორად?

ავტორი: უილიამ ბოლდუინი



შესაძლოა, ფიქრობდეთ, რომ ინტერნეტკომპანიები თავდაცვითი თხრილებითაა გარშემორტყმული. ზოგიერთი არის: Amazon-ის საწყობთა რაოდენობის გაორმაგება ძნელი იქნებოდა. სხვები, რომელთა აქტივებს მეტწილად პროგრამული უზრუნველყოფა წარმოადგენს, არ არიან დაცულები. დაფიქრდით, როგორ შეიძლება ვებმა, ერთ დღესაც, გადასახადის ამკრეფი ზიანად აღიქვას და მისი გვერდის ავლა გადაწყვიტოს? Booking Holdings-ი (ყოფილიPriceline-ი) და Expedia დაუმარცხებლად გამოიყურებიან, მაგრამ სინამდვილეში მათ ისეთი ახალბედებისგან ემუქრებათ საფრთხე, როგორიცაა Hopper-ი, Nustay და ათობით სხვა კომპანია, ჯერ რომ არ არსებობს. ფულის დაბანდება თუ გსურთ, ისეთი დივერსიფიცირებული პორტფოლიო იქონიეთ, როგორიც **First Trust Dow Jones Internet**-ი (წლიური დანახარჯები: 0.54%) ან **Vanguard Information Technology**-ა (0.1%).

უილიამ ბოლდუინი Forbes-ის საინვესტიციო სტრატეგიების მესვეტეა.

ჯავშნ საიტებს შორის ფაქსებს პროგრამული უზრუნველყოფით ანაცვლებდა. ეს ბიზნესი 2002-ში Expedia-მ იყიდა.

Expedia-ში, სასტუმროს პროდუქტებისა და შეთავაზებათა ზედამხედველი აღმასრულებლის რანგში, ლალონდს თვალში ეცა ის გარემოება, რომ ახალ-ახალი ადგილების აღმოჩენისთვის ხალხს უფრო კარგი საშუალებები არ ჰქონდა. 2006-ში თანამდებობა დატოვა, თან გაიყოლა Expedia-ის პროდუქტის მენეჯერი, უვერკერკი, და სამოგზაურო დანიშნულების პუნქტთა საიტის შექმნას შეუდგა. გრძელი მოგზაურობა გამოდგა: პირველ წლებში მათ არ ჰქონდათ საკმარისი კაპიტალი, მძლავრი სერვერები რომ შეექმნათ, თუმცა ავიაფასებისა და მოგზაურობის მონაცემების შეგროვების მიზნით, გარიგებათა წარმოება დაიწყეს. 2011-ში, Series A საინვესტიციო რაუნდმა მათ საშუალება მისცა, გრძელვადიანი მონაცემთა ცენტრი შეექმნათ. 2013-ისთვის კი უკვე საკმარისი მონაცემები ჰქონდათ, ალგორითმებზე რომ დაეწყოთ მუშაობა. მომდევნო წელს Hopper.com-იც ჩაეშვა.

საიტი მალევე გადაივსო მნახველებით, თუმცა ხალხს მხოლოდ მცირედი ულუფა აინტერესებდა: ფრენათა პროგნოზები. ლალონდი მიხვდა, რომ მომხმარებლებს არ უნდოდათ სამოგზაურო პუნქტის მანამდე არჩევა, სანამ ფრენის ფასებს არ გაიგებდნენ. ჰოდა, ვებგვერდის დახურვა და ექსკლუზიურად ავიაფასების პროგნოზზე მუშაობა გადაწყვიტა.

მისი კიდევ ერთი საკვანძო მიმართულება: Hopper-ს მხოლოდ მობილურზე უნდა ეარსება. მართლაც, 2015-ში, Hopper-მა აპლიკაცია გამოუშვა.

ვენჩურული დაფინანსების სახით, Hopper-მა $83.6 მილიონი მოიზიდა ისეთი ფირმებისგან, როგორიცაა Accomplice-ი და Omers Ventures-ი (2016-ის მიწურულს, კომპანია დაახლოებით $300 მილიონად იქნა შეფასებული), და ახლა მზადაა, გაცილებით დიდი გახდეს. ხელოვნური ინტელექტით წარმართული შესყიდვები (მაგალითად, შეთავაზებები, იმოგზაურო სხვადასხვა დროს თუ სხვადასხვა ადგილას) ახლა გაყიდვათა 25%-ზეა პასუხისმგებელი, ნოემბერში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 5%-ს შეადგენდა. ხელოვნურმა ინტელექტმა იცის, მაგალითად, რომ Hopper-ის იმ მომხმარებლებმა, რომლებიც ნიუ-იორკიდან ჰავაიმდე ფრენებს ათვალიერებენ, მეტი შანსია, იყიდონ ავიაბილეთი კარიბის ზღვის სანაპიროზე. ლალონდს აქვს მოლოდინი, რომ დროთა განმავლობაში ხელოვნური ინტელექტი შესყიდვების 75%-ზე გახდება პასუხისმგებელი.

„თუ თებერვალია და ათვალიერებ ფრენებს ოთხკაციანი ოჯახისთვის სოლტ-ლეიკ-სიტიში, Hopper-მა იცის, რომ თხილამურებით სრიალი გინდა, – ამბობს Accomplice-ის პარტნიორი ჯეფ ფეგნანი. – რა მოხდება, თუ სანაცვლოდ დენვერში გადაგამისამართებენ $100-ით იაფად? მოწოდება-მოთხოვნის მთელ დიაგრამას ცვლიან ინდუსტრიაში“.

მომხმარებელთა უმეტესობა ახალი ათასწლეულის სპონტანური წარმომადგენლები არიან – როგორიცაა, მაგალითად, 24 წლის მორგან ავერი – საცალო ვაჭრობის კოორდინატორი ნიუ-იორკში. ავერიმ Hopper-ით სარგებლობა მას მერე დაიწყო, რაც მისი წყალობით ნიუ-იორკ-ლოს-ანჯელესის აქეთ-იქითა ბილეთი $164-ად ჩაიგდო ხელში. სადილობდა, აპლიკაციის საშუალებით შეტყობინება რომ მიიღო, და ბილეთი უმალ შეიძინა. „Hopper-ი, პრაქტიკულად, გარანტიას მაძლევს, რომ ყველაზე იაფ ვარიანტს ვიყიდი, – ამბობს ის. – ყველაზე საზიზღარი შეგრძნებაა, ბილეთს რომ ჯავშნი და შემდეგ კვირაში ხედავ, რომ მისი ფასი $200-ით დავარდა“.

2017-ის მიწურულს Hopper-მა თავისი პროგნოზისა და დაჯავშნის ინსტრუმენტის არეალი გააფართოვა და სასტუმროებიც მოიცვა – სფერო, რომელიც, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დიდ ბიზნესშესაძლებლობას ქმნის. აპლიკაცია დღეს მომხმარებელს 200-ზე მეტ სასტუმროს სთავაზობს; ფასდაკლებები, როგორც წესი, 10%-დან 15%-მდე დიაპაზონში მერყეობს აშშ-ის ხუთ მთავარ ქალაქში, თუმცა მომდევნო ექვს თვეში კიდევ 15 დიდ ქალაქში გაფართოება იგეგმება. იანვარში Hopper-ის ავიაბილეთების სარფიანი შეთავაზებების, „Secret Fares“-ის, დებიუტი შედგა, რომელიც ავიახაზებს საშუალებას აძლევს, შედარებით იაფი ადგილები უფრო სწრაფად გაყიდონ და მეტი დრო იქონიონ ე.წ. ბოლო წუთას შეძენილი და ბიზნესკლასის ბილეთებისთვის, ეს უკანასკნელი კი ავიახაზების შემოსავლების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. პლატფორმა ბილეთებს დაახლოებით 10%-დან 20%-მდე ფასდაკლებით ყიდის.

დღეს Hopper-ი საერთაშორისო ზრდასა (მომხმარებლებს 160-ზე მეტ ქვეყანაში შეუძლიათ ავიაბილეთების ყიდვა) და სასტუმროების დამატებაზეა ფოკუსირებული. ლალონდის პროგნოზით, 2018-ის ბოლოსთვის პერსონალის რიცხვი გაორმაგდება და 200 თანამშრომელს გადააჭარბებს, ძირითადად – მონაცემთა მეცნიერებაში, ინჟინერიასა და მომხმარებლის მომსახურებაში. სამყაროში, რომელიც სულ უფრო იზოლაციონისტური ხდება, ლალონდის აზრით, Hopper-ი შეძლებს, მგზავრობა უფრო იაფი და მოსახერხებელი გახადოს.

„ჩვენი ხელოვნური ინტელექტის საშუალებით ადამიანები უფრო ადრე იწყებენ საყიდლების განხორციელებას და ისეთ რამეებს ყიდულობენ, რაც არ იცოდნენ, რომ უნდოდათ, – ამბობს ის. – ჩვენ მხოლოდ გაუმჯობესებული ველოსიპედი აღარ ვართ“. *

საბოლოო მოსაზრება

„გზა ცხოვრებაა“. — **ჯეკ კერუაკი**

პროტოტიპი

სარკის მიღმა, აუგმენტირებულად

გინდათ, თქვენმა შვილებმა აუგმენტირებული რეალობა უფრო ბავშვური გზით გაიცნონ, ვიდრე ამის საშუალებას ვირტუალური ხელოვნება ან ავეჯი იძლევა? შანხაიში დაფუძნებული NeoBear-ის Magnifier Neo დიდი გამადიდებელი შუშაა, რომელიც ამომავალ ტექნოლოგიას საგანმანათლებლო ელემენტებში აზავებს. გაჯეტის LCD ტაჩსკრინი, 13-მეგაპიქსელიანი კამერა, ჩაშენებული მიკროფონი და სპიკერი ბავშვის უშუალო გარემოში ჩაგვახედებს, რომელიც მულტფილმების გმირებითა და ანიმაციური მონაცემებითაა დასახლებული. ტაბლეტები, შესაძლოა, ზედმეტად მძიმე იყოს ბავშვებისთვის, კამერებს კი ადვილად სვრიდნენ მოუსვენარი თითები, მაგრამ NeoBear-მა გერმანული ჯილდო, iF-ი (დიზაინის Oscar-ი, ფაქტობრივად) სწორედ იმაში მიიღო, თუ როგორ კარგადაა $350-იანი MagNeo ბავშვის ხელებზე მორგებული. მისი გამოწერა უკვე შეგიძლიათ. ის თავსებადია ისეთ აქსესუარებთან, როგორიცაა აუგმენტირებული რეალობის გასაფერადებელი წიგნი, გლობუსი, რომელიც ბავშვებს გეოგრაფიასა და ხელოვნებას ასწავლის, და მათემატიკისა და წერის შესწავლისათვის განკუთვნილი ბარათები. NeoBear-ი სოლიდური მაჩვენებლებით იწონებს თავს: კომპანიას დღემდე 1 მილიონი Pocket Zoo აქვს გაყიდული, ხოლო მისი ენციკლოპედიისებრი „Arkids“-ი ბაზარზე არსებობის პირველ თვეს ითვლის.

ტექსტი: ალექსეი ჩაბანოვსკი

გერმანული გემო ქართული აქცენტით

ქართული ლუდის კომპანია „ზედაზენი“ ლუდის, ლიმონათის, ნატურალური წვენებისა და ენერგეტიკული სასმელების წარმოებით საქართველოს ბაზრის ლიდერია. საქართველოს გარდა მისი პროდუქცია პოპულარობით 30-მდე ქვეყანაში სარგებლობს. „ზედაზენის“ ბოლო პროდუქტი „არსი ყავაა“ (RC Coffee) – ყავისა და კოლას გემოების ჰარმონიული ნაზავი. კომპანია მომხმარებელს კიდევ ერთ სიახლეს შესთავაზებს: დახლებზე მალე „ჰოლსტენი“ გაჩნდება – პრემიუმ-კლასის გერმანული ლუდი.

კახა კოტრიკაძე უკვე მეორე წელია, რაც „ზედაზენის“ გენერალური დირექტორია. კომპანიაში საბანკო სექტორიდან გადაინაცვლა და რვა თვე „ზედაზენის“ ფინანსები მართა, შემდეგ გენერალური დირექტორის თანამდებობა ჩაიბარა. კომპანიაში ინვესტიცია 180 მილიონ ლარს აჭარბებს, საკუთარი კაპიტალი კი ყოველწლიურად მზარდია.

ავტორი: ხათუნა ხვედელიძე
ფოტო: ნიკა ფანიაშვილი

ლუდი თუ ლიმონათი?

ასე გიპასუხებთ, უპირატესობას ლუდს ვანიჭებ. „ზედაზენის“ ყველა ლუდი მიყვარს, ხასიათისა და დროის მიხედვით. განსაკუთრებით ბოლო წლებია, რაც აქ ვარ და ვიცი, როგორ მზადდება – რა ხარისხი, სული და გულია ჩადებული. უცხოურს ვეღარ ვსვამ, აღარ მსიამოვნებს.

რა იქნება ახალი ლუდის, საქართველოში ჩამოსხმული გერმანული „ჰოლსტენის“ უპირატესობა? როგორ იცავთ გერმანელების „წმინდა კანონს“?

მას შემდეგ, რაც ჩვენი ბოლო პროდუქტი „რაგნარი“ ქართულმა ბაზარმა კარგად მიიღო, ახალზე ფიქრი დავიწყეთ. პოპულარული სერიალის, „ვიკინგების“ პოპულარული გმირის სახელმა და პროდუქტის გემოს თვისებების კომბინაციამ კარგი შედეგი მოგვიტანა, დაგვარწმუნა, რომ წარმატებაც ელის და საექსპორტო პოტენციალიც ექნება. ახლა აქცენტი ისევ გერმანულ ბრენდზე გავაკეთეთ და „ჰოლსტენი“ ავირჩიეთ. საქართველოში უპირატესობას მაინც გერმანულ ლუდს ანიჭებენ და ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, არჩევანი ჩვენც პრემიუმ-კლასის ბრენდზე შევაჩერეთ, რომელიც საერთაშორისო ბაზრებზე კარგადაა ცნობილი და ევროპის ქვეყნებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, სრულად დავიცავით გერმანელების ეგრეთ წოდებული „წმინდა კანონი“ და ლუდში არაფერია წყლის, ალაოსა და სვიის გარდა. ეს არის წმინდა გერმანული გემო, ოდნავ მეტი სვიის სიმწარით, თუმცა – არა მძიმე ლუდი.

ხომ არ უწევს ერთმანეთს კონკურენციას ქართული და თქვენივე წარმოების უცხოური ლიცენზირებული ბრენდები?

ლიცენზირებული ბრენდებიდან ამ ეტაპზე „ბავარიას“, „რაგნარს“ და ახლა უკვე „ჰოლსტენს“ ვაწარმოებთ, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამით ქართული იჩაგრება. ორივეს ჰყავს თავისი სეგმენტი. ჩვენ გვინდა დავანგრიოთ სტერეოტიპი, რომ მხოლოდ უცხოურია კარგი, ეს ასე არაა. მომხმარებლის გემოვნება უკვე ყალიბდება და ჩვენი სტრატეგიაც ეს იყო. როდესაც ქართული ლუდის კომპანიამ პირველად ჩამოასხა საერთაშორისო ლიცენზირებული ბრენდები, მიზანი იმის დამტკიცება გახლდათ, რომ ქართული წარმოება იმავე დონისაა, როგორიც ევროპული. როგორც იქ ისხმება „ბავარია“, ისე ისხმება აქაც და დღეს უკვე აღარავის აქვს პრეტენზია არც ხარისხზე, არც დანადგარებზე და არც პერსონალის კვალიფიკაციაზე.

რაც შეეხება გარე კონკურენციას – კონკურენტებს ჩვენ ყოველთვის ვუპირისპირებთ სტანდარტებს, რომელთაც არასდროს ვუხვევთ. არასდროს „ვთამაშობთ“ იაფფასიანი პროდუქციით, პირიქით, ჩვენი დევიზია მაღალი ხარისხი, სრულიად ქართული წარმოება და მისაღები ფასი.

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ საქართველოში მხოლოდ ჩვენ ვაწარმოებთ ლიმონათს ნატურალური ინგრედიენტებით, უარს ვამბობთ ხელოვნურ არომატიზატორებზე. ასე განვამტკიცეთ ჩვენი ბრენდი და ამ პრინციპით ჩამოვასხით ქართული ნატურალური წვენი. ეს არაა მარტივი გზა, გაცილებით რთულია, მაგრამ ესაა ჩვენი არჩევანი და ჩვენ ამ სირთულეებს ვეჭიდებით და, ვფიქრობ, ვუმკლავდებით.

ლუდისა და ლიმონათის წარმატებული წარმოების შემდეგ, კიდევ არაერთი სხვა მიმართულება – რატომ გადაწყდა ნატურალური წვენებისა და ენერგეტიკული სასმელების წარმოება?

ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, შევქმნათ ალტერნატივა, გავზარდოთ კონკურენცია, შესაბამისად ავწიოთ წარმოების სტანდარტები. მსოფლიოში ყოველდღიურად ჩნდება ახალი გემოები და ის, რაც არის სხვაგან, რატომ არ უნდა იყოს საქართველოში?! ამიტომ შემოვიყვანეთ ამერიკული ბრენდი და არსი კოლას (RC cola) შემდეგ დახლებზე უკვე ერთი კვირაა, გაჩნდა არსი ყავა (RC coffee) – ახალი გემო, რომელიც საქართველოში ჯერ არ ყოფილა. ეს აღარაა მხოლოდ კოლა, არის კოლა ყავის დანამატით, კოლა ალუბლით, კოლა ვანილით, ჩვენ წარმოებას ვავითარებთ იმისთვის, რომ მომხმარებლის გემოვნებასა და ხასიათს მოვერგოთ. ეს არის ჩვენი წარმატების გზა – მომხმარებლის გემოვნებაზე მორგებული გემო.

და რას ამბობს მომხმარებელი და ბაზარი? წარმოებასა და გაყიდვებს შორის არის ტოლობის ნიშანი?

ლუდს 30-32 მილიონ ლიტრს ვაწარმოებთ, მაშინ როცა საქართველოს ბაზარი ჯამურად 90 მილიონ ლიტრს მოითხოვს და მოიხმარს. ლიმონათს 20 მილიონ ლიტრამდე, წვენებს კი 3 მილიონ ლიტრს ვაწარმოებთ და გაყიდვების მაჩვენებელიც იგივე გვაქვს. ჩვენი პროდუქტი ყოველთვის ჯანსაღი და ახალია. ლუდის მაქსიმალური ვადა დახლზე არის სამი თვე, შესაბამისად, ჩვენ მარაგებს ვერ ვქმნით. რასაც ვაწარმოებთ – იმას ვყიდით. რაც შეეხება ბაზარზე ჩვენს წილს, ლუდის წარმოების კუთხით – 35%-ს, ლიმონათის – 20%-ს, წვენების –13%-ს, ენერგეტიკული სასმელების ნაწილში კი 5%-ს ვიკავებთ. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ წარმოება და გაყიდვები თანაფარდობაშია.

რა ხდება ექსპორტის მიმართულებით, რამდენად

მზარდია მოთხოვნა ევროპული სტანდარტის ქართულ სასმელებზე?

დღევანდელი მონაცემებით, ექსპორტს 30-მდე ქვეყანაში ვახორციელებთ. ვფარავთ როგორც ევროპის, ისე აზიისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, თუმცა პოტენციალი გაცილებით დიდია. გასულ წელს 100%-იანი ზრდა გვქონდა ექსპორტში და დარწმუნებული ვარ, მიმდინარე და მომდევნო წლებშიც გავიზრდებით. კომპანია ამისთვის სრულ მზადყოფნაშია. ქართული ლიმონათი უნიკალური და ყველასთვის საინტერესო პროდუქტია. როგორც სხვა სასმელების, მისი უპირატესობის საფუძველიც ზედაზენის მთის უნიკალური წყალია. მალე ლიცენზირებული პროდუქტების გატანასაც დავიწყებთ. იმის მიუხედავად, რომ ბრენდი საერთაშორისოა, ჩვენგან წაიღებენ ექსპორტს და არა სხვა ქვეყნებისგან. ამისთვის ნდობა უკვე გვაქვს. მალე „ბავარიის“ ექსპორტს დავიწყებთ აზერბაიჯანსა და სომხეთში. იმ პოტენციალს, რაც გვაქვს, სრულად გამოვიყენებთ, როგორც ჭაბი. აქ იწარმოება იმიტომ, რომ ვიღებთ იმაზე მაღალ ხარისხს, ვიდრე მოლოდინი არსებობდა.

ქართული ბაზრის სირთულეებზე რას გვეტყვით? არის ბარიერები, რომლებიც ან საკანონმდებლო ან პოლიტიკური ნების დონეზეა ხელის შემშლელი?

გადაუჭრელი პრობლემები ჯერ არ გვქონია, თუმცა საკანონმდებლო დონეზე ბევრი საკითხი დასახვეწია და, როგორც ვიცი, ეს ეტაპი უკვე დაწყებულია, ამას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გვავალდებულებს. მთავარია, ისეთი რეგულაციები მივიღოთ, როგორიც ევროპაშია და ევროპულ პროდუქტთან კონკურენცია არ გაგვიჭირდეს. ეს სამუშაო პროცესია, ამ გამოწვევის წინაშე ვართ და ამას ხელისუფლება უნდა გაუმკლავდეს. იყო პრობლემებიც. მაგალითად. აქციზის ნაწილში, როცა 2014 წელს ლუდზე აქციზის გადასახადი გაიზარდა, ამან ბაზარი შეამცირა, თუმცა გასულ წელს კანონი შერბილდა და პრობლემაც მოგვარდა.

რატომ მოიხსენიებენ „ზედაზენს“ ხშირად სოციალურ პროექტად?

კომპანიის მიზანი არასდროს ყოფილა გამოჩენა და ხმაური, ჩვენთვის მთავარი საქმის კეთებაა. რაც შეეხება „სოციალურ პროექტს“, ეს შეფასება იმის გამო გაჩნდა, რომ „ზედაზენი“ 1000 ადამიანს ასაქმებს როგორც ქარხანაში, ისე ქარხნის გარეთ – სადისტრიბუციო სამსახურში და ამ ადამიანების უმრავლესობა ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობაა. რეალურად „ზედაზენის“ დამფუძნებელ ცეზარ ჩოჩელს, უნიკალური წყლის არსებობის გარდა, კომპანიის ამ რეგიონში დაფუძნებისას ეს ჩანაფიქრი ჰქონდა – რეგიონის განვითარება, მიმდებარე სოფლების მოსახლეობის დასაქმება და ადგილობრივი კადრების წარმოჩენა. არის საქმეები, რომლებიც კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილია, ბავშვთა სახლები თუ მოხუცთა თავშესაფრები, რეგიონში ეკლესია-მონასტრები... ყოველთვის ვცდილობთ ამ ნაწილში ჩვენი წვლილის შეტანას. განსაკუთრებით საამაყო კი

ჩვენთვის ქართული ძიუდოს გენერალური სპონსორობა და მათ გვერდში დგომაა.

ლუდი, ლიმონათი, ნატურალური და ენერგეტიკული სასმელები, კოლა სხვადასხვა გემოთი - რას გვპირდება და გვიმზადებს „ზედაზენი“ უახლოეს მომავალში?

როდესაც ცეზარ ჩოჩელმა 90-იან წლებში პირველი ქარხანა ახალგორში ააშენა, მაშინ ალბათ არავინ ელოდა, რომ ქართული ლუდი წარმატებას არა მხოლოდ ქართულ, არამედ საერთაშორისო ბაზრებზეც მოიპოვებდა. „ზედაზენს“ საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის უმაღლესი შეფასება უკვე აქვს, რაც გვაავალდებულებს, ფინანსურად უფრო მეტად ღია და გამჭვირვალე გავხდეთ და ეს ასეც იქნება.

ვაპირებთ მონაწილეობის მიღებას ადგილობრივი ბაზრების კაპიტალის ფორმირებაში, გამოვუშვებთ დამატებით ადგილობრივ ბონდებს, რაც ჩვენთვის, ცხადია, დამატებითი პასუხისმგებლობა იქნება. ვგეგმავთ სიახლეებს თავად პროდუქციის ხაზების კუთხითაც. ახალ ბრენდებს ვამატებთ, დავამატებთ ახალ გემოებს, ასე რომ, აქტიურობას არ დავკარგავთ. წელს განსაკუთრებით ბევრი სიახლე გვექნება.

დაბოლოს, ვმუშაობთ ხილის გადამმუშავებელი ქარხნის კონცეფციასა და პროექტზე, თუმცა ეს მარტივი ბიზნესი არაა. ამას ბაზარმაც უნდა შეუწყოს ხელი, მაგრამ ეს შეიძლება განვიხილოთ როგორც კომპანიის მასშტაბური სამომავლო გეგმა. F

GEORGIAN PO

საქართველოს ფოსტა ლიონი

2818 თანამშრომელი. 914 ლარი საშუალო ხელფასი. ბოლო 6 წლის მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი 40 მილიონ ლარზე მეტი - ასეთია „საქართველოს ფოსტის“ ძირითადი სტატისტიკა. სახელმწიფო კომპანიას ლევან ჩიკვაიძე ხელმძღვანელობს.

ავტორი: ანიტა მუსკარია
ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

დღეს, 21-ე საუკუნეში, გართულებული კომუნიკაცია პრაქტიკულად წარმოუდგენელია. ინტერნეტის, როუმინგისა და სოციალური ქსელების ეპოქაში გზავნილის გაცვლა სირთულეს საერთოდ არ წარმოადგენს, მაგრამ არსებობს გზავნილები, რომლებსაც ყოველთვის ერთი და იგივე სერვისი სჭირდებათ. ეს - ფოსტაა.

ბოლო წლების განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა - მათ შორის, მომხმარებლის არჩევანის ნაწილშიც: გინდა, კერძო ოპერატორს ენდე, გინდა - ეროვნულს. მეტი გარანტიისთვის ამანათის დაზღვევაც შესაძლებელია. და თუ ადრე „საქართველოს ფოსტას“ ალტერნატივად არავინ ცნობდა, დღეს ასე აღარ არის.

Forbes Georgia-მ გადაწყვიტა, ახლო ხედით გაჩვენოთ ეს კომპანია და მისი ხელმძღვანელი ლევან ჩიკვაიძე, რომელიც, კონკურენტებთან ბოლოდროინდელი გახმაურებული დაპირისპირებების ფონზე, კომპანიის მიღწევებსა და გამოწვევებს აფასებს ისე, როგორც თავად ხედავს ფართო კონტექსტში.

- ვინ ხართ: სახელმწიფო კომპანიის მენეჯერი თუ ბიზნესმენი?

- სამწუხაროდ, ორივე.

- რატომ სამწუხაროდ?

- ერთი გამოკვეთილი როლი რომ მქონდეს, ალბათ უფრო მარტივი იქნებოდა.

აღიარებს: დღემდე არ იცის, რატომ თქვა „დიახ“ - იმიტომ, რომ სახელმწიფო კომპანიის მართვის შემთხვევაში თავის ბიზნესსა და საჯარო

გამოცდილებას სრულად და ერთდროულად გამოიყენებდა, თუ იმიტომ, რომ დასახული მიზნის მიღწევის გზაზე გაცილებით მეტ რისკს და გამოწვევას ხედავდა, ვიდრე გარანტირებულ წარმატებას. ამ გაორების მიუხედავად, მთელი თავისი გამოცდილება ერთ მუჭში შეკრა და „საქართველოს ფოსტის“ გენერალურ დირექტორობას დათანხმდა.

ლევან ჩიკვაიძისთვის არც საჯარო სამსახურში მუშაობა ყოფილა უცხო და არც - კერძო სექტორში. 1996 წლიდან ჯერ თვითმმართველ ერთეულში იყო, შემდეგ პარლამენტში, შემდეგ ისევ - თვითმმართველობაში. 2005 წლიდან კერძო სექტორში სცადა ბედი - ჯერ ერთ-ერთ პირველ ამერიკულ ინვესტიციას ხელმძღვანელობდა საქართველოში, შემდეგ ამერიკაში - ლოს-ანჯელესსა და ნიუ-იორკში იყო ბიზნესსაქმიანობით დაკავებული და ბოლოს, 2012 წლის ნოემბრიდან, ამერიკიდან საქართველოში დაბრუნებულმა გადაწყვიტა, დათანხმებოდა ეკონომიკის მაშინდელი მინისტრის შეთავაზებას და „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორი გამხდარიყო.

როგორც თვითონ ამბობს, როცა „საქართველოს ფოსტის“ მართვაზე „დიახ“ თქვა, იმ პერიოდში ამ კომპანიას ორი ფუნდამენტური რამ აკლდა: სწორი ბიზნესმოდელი და ნდობა მომხმარებლის მხრიდან. სწორედ ამიტომ პირადად მისთვის ფოსტის ამუშავება არა დაწყებული საქმის გაგრძელების, არამედ საქმის ნულიდან დაწყების ტოლფასი იყო. „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მუშაობის მთავარ მიღწევადაც სწორედ ამ ორი ფუნდამენტური პრობლემის გამოსწორებას მიიჩნევს.

- რას წარმოადგენს ახალი მიდგომა - ახალი ბიზნესმოდელი?

- სახელმწიფო ირიბ სუბსიდირებაზე მყოფი კომპანია გარდაიქმნა თანამედროვე, ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ კომპანიად, რომელსაც გააჩნია შესაძლებლობები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირების გარეშე, საკუთარი სახსრებით დააფინანსოს სახელმწიფო ვალდებულება - უნივერსალური საფოსტო მომსახურება ქვეყნის სრულ ტერიტორიაზე და დააფინანსოს ახალი, განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები. აქედან გამომდინარე კი მიაღწიოს ისეთ შედეგებს ევროპულ და მსოფლიო გაერთიანებების რეიტინგებში, რომ ხარისხობრივი მაჩვენებლებით მოხვდეს დანიისა და დიდი ბრიტანეთის გვერდით, მმართველი საბჭოების არჩევნებში მიიღოს 108 ქვეყნის ხმა და ა.შ.

- მომხმარებლის მხრიდან ნდობამ რომ იმატა, ამას რით ზომავთ?

- ჩვენი მომხმარებლის რაოდენობის ზრდით და კონკრეტული რიცხვებით. ყველაზე მთავარი ალბათ ბიუჯეტში გადახდილი თანხებია. რიცხვებს თუ შეხედავთ, დაინახავთ, რომ 2009-2011 წლებში, სამი წლის მანძილზე ბიუჯეტში გადახდილი თანხა ჯამურად მხოლოდ 4 750 000 ლარი გახლდათ. 2012 წლიდან მოყოლებული, ეს თანხა საშუალოდ ოთხჯერ არის გაზრდილი. 2012-2017 წლებში საქართველოს ბიუჯეტში 40 მილიონ ლარზე მეტი შევიდა. მე მგონი, ეს მიღწევაა.

2016 წლის შემდეგ პირველი მნიშვნელოვანი საერთაშორისო აღიარება „საქართველოს ფოსტამ“ მიმდინარე წლის აპრილში მსოფლიო საფოსტო კავშირისგან მიიღო EMS - პრემიუმ-კატეგორიის რეგისტრირებული გზავნილების საერთაშორისო საფოსტო მომსახურების მიხედვით. შემფასებელი ორგანიზაცია მსოფლიოში ყველაზე დიდი საოპერაციო ქსელით არის წარმოდგენილი და მოიცავს 180 ქვეყანას პრემიუმ-კატეგორიის რეგისტრირებულ გზავნილთა საერთაშორისო საფოსტო მომსახურების მიმართულებით. საფოსტო გაერთიანება PRIME-ის შეფასებით, „საქართველოს ფოსტის“ მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად პრემიუმ-კლასის მომსახურების ხარისხის მაჩვენებელი 2012 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა და 2017 წლის მდგომარეობით, „საქართველოს ფოსტამ“ ადგილი ევროპის საუკეთესო ათეულში დაიმსახურა.

„საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორი გვიხსნის, რომ ფოსტის საქმიანობა 24 საათის განმავლობაში არ წყდება. ფოსტის დისტრიბუციას რეგიონებში საოპერაციო სამსახური დილის 3 საათზე იწყებს და შემდეგ უკვე უწყვეტი ციკლი ირთვება: საფოსტო გზავნილების მიღება, დამუშავება, რეგისტრაცია, დახარისხება, განაწილება და გაცემა. მუდმივ რეჟიმში მუშაობს IT ჯგუფიც და ხარისხის კონტროლიც. „საქართველოს ფოსტას“ სულ 2818 თანამშრომელი ჰყავს. საშუალო ხელფასი 914 ლარია.

ლევან ჩიკვაიძე ორშაბათის თათბირებსაც ატარებს. როგორც თვითონ ამბობს, ასე მუდმივად ჩართულია ყველა მიმდინარე პროცესში და ამასთან, „საქართველოს ფოსტის“ სხვადასხვა სამსახურსაც ერთმანეთისთვის ინფორმაციის გაცვლა უფრო მეტად უადვილდებათ. დღის მანძილზე ინდივიდუალური შეხვედრებიც უხვად აქვს. როცა საჭიროა, პრობლემურ ადგილებში, სადაც დამისამართების გამო სირთულეები იქმნება, ფოსტასაც პირადად არიგებს და ზოგადად, აქტიურად ერთვება საფოსტო საოპერაციო თუ სერვისის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებში.

- რას ცვლის ეროვნული ოპერატორის სტატუსი?

- ეს ნიშნავს სახელმწიფოსა და მოქალაქეების წინაშე ვალდებულებას და პასუხისმგებლობას, რაც საკუთარი შესაძლებლობების საჯაროდ შეფასებაშიც მეხმარება. საამაყოა ამ ქვეყნის სახელით სხვა პარტნიორი ქვეყნების ეროვნულ ოპერატორებთან ურთიერთობა. ბიზნესისთვის კი ეს სტატუსი ფინანსურ წაგებას ნიშნავს.

- რატომ?

- „საქართველოს ფოსტის“ მთავარი ამოცანა გახლავთ უნივერსალური მომსახურების მიწოდება ქვეყნის სრულ ტერიტორიაზე, მათ შორის, გეოგრაფიულად რთულად მისადგომ ადგილებ-

შიც და მათ შორის, ცუდი ამინდისა თუ სხვა დაბრკოლებების მიუხედავად. სწორედ ამ მომსახურების დასაფინანსებლად არის საჭირო სხვა - მოგებაზე ორიენტირებული პროდუქტების შექმნა და რეალიზება.

- ვის თვლით მთავარ კონკურენტებად?

- უნივერსალური საფოსტო მომსახურების შესასრულებლად „საქართველოს ფოსტას“ კონკურენტი არ ჰყავს - მსურველიც კი არ შეიძლება არსებობდეს, რადგან ვსაუბრობთ მსოფლიო პრაქტიკით წაგებიან ბიზნესზე. რაც შეეხება მოგებაზე ორიენტირებულ სეგმენტს, აქ კონკურენტების საკმაოდ მაღალი რიცხვია და ამასთან, გამოცდილი, ბაზარზე დამკვიდრებული კომპანიებიც გახლავთ. საერთაშორისო გზავნილების მიმართულებით ასეთებია: DHL-ი, FedEx-ი, UPS-ი, ხოლო ადგილობრივ ბაზარზე ამავე კომპანიების პარტნიორი ქართული კომპანიები.

კონკურენცია - ეს ის თემაა, რომელიც „საქართველოს ფოსტის“ კონტექსტში რამდენიმე წლის წინ ადგილობრივ ბაზარზე განსაკუთრებით მწვავედ დადგა დღის წესრიგში. ამ პერიოდში სულ უფრო ხშირად ისმოდა „საქართველოს ფოსტის“ მიმართ ერთი მთავარი ბრალდება - „საქართველოს ფოსტა“ ბაზრის მონოპოლიზებას ცდილობდა და ამაში მას სახელმწიფოც აქტიურად ეხმარებოდა.

- მაშინ რა მოხდა?

ჩვენ ვერ შევძელით სწორი კომუნიკაცია. ვერ შევძელით ახსნა, რომ ამის უფლება გვქონდა 2019 წლამდე და რომ ამით ევროპულ პრაქტიკას ვიზიარებდით და არა პირიქით - ვეწინააღმდეგებოდით. ეს მდგომარეობა გამოიყენეს კონკურენტმა კომპანიებმა და მათი მხრიდან იყო მცდელობა, კიდევ უფრო დაესუსტებინათ ეროვნული ოპერატორი, რომ შეენარჩუნებინათ ბაზარზე დომინანტი მდგომარეობა და მაღალი ტარიფები.

- „საქართველოს ფოსტას“ დღეს აქვს ბაზარზე პრივილეგიები?

- „საქართველოს ფოსტას“ დღევანდელ დღეს აქვს უპირატესობები და არა პრივილეგიები. პრივილეგია აქვთ კონკურენტ კომპანიებს, რადგან მათ არა აქვთ უნივერსალური საფოსტო მომსახურების ვალდებულება - ანუ, საქმიანობენ მხოლოდ იმ სეგმენტსა და იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც დაბალი საოპერაციო დანახარჯით მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობაა. უნივერსალური საფოსტო მომსახურება ჩვენს კომპანიას წლიურად საშუალოდ 7 მილიონი ლარი უჯდება. თუმცა ეს გახლავთ გაეროს მიერ აღიარებული ადამიანის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მისთვის ხელმისაწვდომ ფასად და ხელსაყრელ ადგილას და ამას „საქართველოს ფოსტა“ ემსახურება სიამოვნებით და შემართებით.

- თქვენი კონკურენტები დღეს მაინც საუბრობენ „საქართველოს ფოსტის“ გარკვეულ პრივილეგიებზე - კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვების კანონში არსებულ ჩანაწერზე, რომ საჯარო უწყებებს შეუძლიათ, თქვენგან ტენდერის გარეშე იყიდონ მომსახურება, მაშინ როცა თქვენი კონკურენტებისთვის ტენდერი უნდა გამოაცხადონ. დღეს სექტორი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება და ამბობს, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება დროში საკმაოდ ჭიანურდება.

- კანონში ჩანაწერი სახელმწიფო ორგანიზაციებს აძლევს არჩევანის უფლებას, მომსახურება შეიძინონ „საქართველოს ფოსტისგან“, თუ ტენდერი გამოაცხადონ. კანონში ჩანაწერი ხელს უწყობს რეგიონში არსებულ სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომელთა საფოსტო მოხმარება იმდენად მცირეა, რომ ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში გარწმუნებთ, მასში არავინ მიიღებს მონაწილეობას. ეს მომსახურება „საქართველოს ფოსტისთვის“ წაგებიანია, ხოლო სასამართლოში შეტანილი სარჩელი თავისი ხასიათით დესტრუქციაა. ეს გახლავთ მცდელობა - რეგიონში სახელმწიფო ორგანიზაციები დარჩენენ საფოსტო მომსახურების გარეშე. სარჩელის ავტორმა კარგად იცის, რომ წლიური 100 ლარის ღირებულების საფოსტო მომსახურების ტენდერში არავინ გადაიხდის მონაწილეობისთვის 50 ლარს და დარჩენილ 50 ლარად არ ივლის მესტიაში კვირაში ორჯერ. ისევ მცდელობაა, დამახინჯებული კუთხით წარმოჩნდეს რეალობა.

„საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორის მტკიცებით, კარგად გამოჩნდა, რომ მის კომპანიას კონკურენციის არ ეშინია. მიუხედავად იმისა, რომ, მისი თქმით, დღეს კომპანია სუბსიდირებული არ არის და თავისუფალ ბაზარზე ფუნქციონირებს, თანაც, უნივერსალური მომსახურების ვალდებულებით, განვითარებას მაინც ახერხებს და სამომავლო გეგმებიც უკვე გაწერილი აქვს. ლევან ჩიკვაიძე „საქართველოს ფოსტას“ მთავარ კონკურენ-

„ეს გახლავთ გაეროს მიერ აღიარებული ადამიანის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მისთვის ხელმისაწვდომ ფასად და ხელსაყრელ ადგილას“.

ტულ უპირატესობად, მის ხელთ არსებულ ინფრასტრუქტურასთან ერთად, ტექნოლოგიურად დახვეწილ პროდუქტებსაც უთვლის. მაგალითად, ჰიბრიდულ ფოსტას - ღია ელექტრონულ პლატფორმას, სადაც კორპორაციული მომხმარებელი თვითონ არეგისტრირებს საკუთარ გზავნილს და შემდეგ თვალს ადევნებს გზავნილის განვლადობას. „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორისთვის კონკურენტული უპირატესობაა მომსახურების დაბალი ტარიფიც - მაგალითად, ქვეყნის მასშტაბით ამანათის გაგზავნა 3 ლარად - ან ელექტრონული კომერციის დაბალი ტარიფი.

ელექტრონულ კომერციას „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორი მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც საფოსტო მომსახურების ბიზნესის მთავარ გამოწვევად მიიჩნევს. უახლოეს მომავალში გეგმავს, მეწარმეებს შესთავაზოს ღია პლატფორმა, რომლის საშუალებითაც „საქართველოს ფოსტა“ მომხმარებლის მიერ ელექტრონული კომერციის გზით შეძენილ პროდუქტს ადგილზე მიიტანს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

- როგორ შეიძლება, „საქართველოს ფოსტამ“ უპასუხოს ელექტრონული კომერციის აღზევების გამოწვევას?

- საჭიროა შესაბამისი ტექნოლოგიური განვითარება და ინფრასტრუქტურა. თუ 2016 წლის მონაცემებით მილიარდზე მეტი ამანათი მოძრაობდა ელექტრონული კომერციის არეალში, მომდევნო წლებში ეს რიცხვები კიდევ უფრო ჩქარა გაიზრდება, რადგან ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად ვითარდება. ამიტომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველაფერი - სისწრაფეზე ორიენტირებული ლოგისტიკური ქსელის გაფართოებით დაწყებული და გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენებით დასრულებული. აუცილებელია სატრანზიტო გზავნილებზე მუშაობა, რომ ჩინეთიდან და აზიის ქვეყნებიდან ევროპისკენ დამისამართებული გზავნილები სწორედ საქართველომ გაატაროს.

- მოკლედ რომ შევაჯამოთ, რა არის 2018 წლის პრიორიტეტი „საქართველოს ფოსტისთვის“?

- შესაბამისი ლოგისტიკური ქსელის შექმნა და ჩინეთიდან და აზიიდან ევროპისკენ დამისამართებული გზავნილების გატარება.

„საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორი მიიჩნევს, რომ „საქართველოს ფოსტა“ მანამ არ იქნება ბოლომდე წარმატებული, სანამ საქართველოში ფოსტით კომუნიკაციის ისეთივე კულტურა არ დამკვიდრდება, როგორიც ევროპაშია. ევროკავშირის სტატისტიკა მართლაც შთამბეჭდავია: ევროსტატის ინფორმაციით, ევროკავშირის ეკონომიკაში ფოსტის სექტორის წილი მშპ-ის თითქმის 1 %-ია; რიცხვებში ეს 91 მილიარდ ევროს ნიშნავს - აქედან მხოლოდ წერილებს მშპ-ის 0.34% უჭირავს ანუ 44 მილიარდი ევრო; ელექტრონული კომერციის თვალსაზრისით კი საფოსტო მომსახურების მოცულობა მზარდია და, ბოლო მონაცემებით, 6 მილიარდ ამანათს აჭარბებს. მხოლოდ უნივერსალური საფოსტო მომსახურების კომპანიები ამ ბაზარზე მილიონობით ადამიანს ასაქმებენ.

ლევან ჩიკვაიძეს მიაჩნია, რომ ამ რიცხვებს ევროკავშირის წევრი ქვეყნები საფოსტო მომსახურების კულტურის არსებობის პირობებში აღწევენ, ამიტომ ამ კულტურის დანერგვა საქართველოშიც აუცილებელია. ამ კულტურის საქართველოს რეალობისთვის უკეთ გასაცნობად, ორი წლის წინ „საქართველოს ფოსტამ“ მოიპოვა უფლება, თბილისში უმასპინძლოს PostEurop-ის 2018 წლის პლენარულ სხდომას და ბიზნესფორუმს, რომელიც საქართველოში PostEurop-ის დაარსებიდან საიუბილეო 25-ე წელს გაიმართება: ღონისძიებას 200-მდე ევროპელი დელეგატი დაესწრება. ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სტატისტიკაც არანაკლებ

მასშტაბურია: 175 ათასი საფოსტო ოფისი, 2.1 მილიონი თანამშრომელი და ყოველდღიურად ერთმანეთთან ფოსტის მეშვეობით დაკავშირებული 800 მილიონი ადამიანი.

ლევან ჩიკვაიძეს მიაჩნია, რომ თუ ევროპული ღირებულებები ქართველი ხალხისთვის მართლაც ახლობელი და მისაღებია, მაშინ საფოსტო კულტურაც ამ ქვეყანაში დროთა განმავლობაში ფეხს ადვილად მოიკიდებს. ამ მიზნით „საქართველოს ფოსტამ" მთელი ქვეყნის მასშტაბით შემკრები ყუთები განათავსა, თუმცა ჯერჯერობით ამ ყუთებში მოხვედრილი წერილების აბსოლუტური უმრავლესობა უცხოელ ტურისტებს ეკუთვნით - მათ, ვისაც ფოსტით ერთმანეთთან კომუნიკაციის უფრო ხანგრძლივი ტრადიცია აქვთ. საქართველოში საფოსტო კულტურის დამკვიდრებას, ლევან ჩიკვაიძის აზრით, მისამართების სწორი აღრიცხვა და ამ მისამართებზე ინდივიდუალური საფოსტო ყუთების არსებობის პრაქტიკაც შეუწყობს ხელს, რაც ასევე დასავლური კულტურის ნაწილია.

მთავარი ნაბიჯების შემდეგ „საქართველოს ფოსტის" გენერალურ დირექტორს მტკიცედ სჯერა, რომ საქართველოს ბაზარზეც სულ სხვა რიცხვების დათვლა იქნება შესაძლებელი. ლევან ჩიკვაიძის თქმით, მხოლოდ ამის შემდეგ გამართლდება საბოლოოდ მისი გადაწყვეტილება, ხელში აეღო „საქართველოს ფოსტის" მართვის სადავეები და პრაგმატული თუ რაციონალური გათვლების ნაცვლად, დაჰყოლოდა საკუთარ ინტერესს მიტოვებული დარგის შესაძლო აღორძინების მიმართ: „ამ დარგისგან გაზაფხული უნდა გაგვეკეთებინა. ღოგოდაც ხომ ქართული მერცხალი შევარჩიეთ, გაზაფხულის მოსაყვანად". ®

შენი რეზიდენცია კრწანისში

ამბიციურ დეველოპერულ პროექტ „კრწანისი რეზიდენსს“ კომპანია „უბიკი“ აშენებს. უნიკალურ კლიმატურ გარემოში აგებული საცხოვრებელი კომპლექსი შეზღუდული რაოდენობისა და გამორჩეული დიზაინის ოთხსართულიან ლოფტებსა და ტაუნჰაუსებს აერთიანებს.

ავტორი: ხათუნა ხვედელიძე
ფოტო: ნიკა ფანიაშვილი

ამისთვის, რომ ქალაქში ქალაქი აღმოაჩინოთ, ძველი თბილისის კულტურული ცენტრიდან სულ ხუთი წუთი დაგჭირდებათ. ორთაჭალაში, კრწანისის ქუჩაზე, განსაკუთრებული კლიმატისა და მდებარეობის გამო საბჭოთა ლიდერების მიერ არჩეულ საცხოვრებელ უბანში დღეს ევროპული, მაღალი კლასის საცხოვრებელი კომპლექსი შენდება. თბილისისთვის ჩვეული ურბანული ხმაურისგან მოშორებით, ჯანსაღ გარემოში სულის მოსათქმელი ადგილი რამდენიმე წლის წინ ორმა მეგობარმა საკუთარ სამოსახლოდ შეარჩია და შეიძინა, დღეს კი ამ ორ მეგობარს – გიორგი არველაძესა და ნიკოლოზ კვირიკაძეს – მეზობლობის გარდა ერთი ბიზნესი აერთიანებს.

„სხვები აშენებენ და მიდიან – ჩვენ ვაშენებთ და ვრჩებით“, – ასე გამეცნო „კრწანისი რეზიდენსის“ ერთ-ერთი მთავარი მასპინძელი, გიორგი არველაძე, რომელსაც აშკარად სურდა, საკუთარი თავის წარდგენამდე „უბიკის“ „ქმნილება“ საკუთარი თვალით მენახა. თბილისის დიპლომატიურ უბანში გაშენებული პატარა ქალაქი – დახურულეზოიანი სამეზობლო კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით – შეიძლება ითქვას, რომ ძველი თბილისური კულტურის, ე.წ. „იტალიური ეზოს“ თანამედროვე გაგრძელებაა.

როგორც გიორგი არველაძისთვის, ისე ნიკოლოზ კვირიკაძისთვისაც „კრწანისი რეზიდენსი“ პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი დეველოპერული პროექტია. მასშტაბური იდეა მაშინ გაჩნდა, როდესაც ორმა მეგობარმა ქალაქის არაჯანსაღი გარემოდან გაქცევა და საკუთარი სახლის ასაშენებლად ეკოლოგიურად სუფთა ტერიტორიის ძებნა დაიწყო. გზა კრწანისამდე მივიდა. თუმცა პარტნიორები მალე მიხვდნენ, რომ ამ უნიკალურ გარემოში მარტოობას სამეზობლო აჯობებდა და „სოფლის შენებაც“ დაიწყეს. ასე შეიქმნა კომპანია „უბიკი“ – მთავარი პრინციპით: გაეყიდათ მხოლოდ დასრულებული. „უბიკმა“ ქართულ დეველოპერულ ბაზარზე უძრავი ქონების ხარისხის გაუმჯობესების გარდა, ქალაქში ქალაქისთვის უჩვეულო შესაძლებლობები გააჩინა. წლების წინ ორი მეგობრის სასურველი სამოსახლო კი თბილისში ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე – ევროპულ დეველოპერულ პროექტად იქცა.

ტერიტორიაზე საბჭოეთის დროინდელი, თუმცა ლამაზი, დიდი რკინის ჭიშკრის გავლით მოვხვდით. ხეივანი რომ გავიარეთ, დასახლება მერე გამოჩნდა. ერთი შეხედვით, შენობების უმეტესობა დასრულებულია, თუმცა ირგვლივ მაინც სამშენებლო ბუმია. სატვირთო მანქანების გუგუნი, ამწეების ხმაური, სამშენებლო მასალების სუნი და სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანების სიმრავლე გაგრძნობინებს, რომ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არაა.

კომპლექსში შევდივართ და თბილისისთვის უჩვეულოდ გამწვანებულ გარემოში, კოჯრის ტყის პირას ვხვდებით. ხეების სიმრავლე ადგილზე და ირგვლივ იმის მანიშნებლად მივიღე, რომ აქ იმაზე მეტი ჟანგბადია, ვიდრე „ჩემს ქალაქში“.

თბილისის ეს უბანი განსაკუთრებული კლიმატისა და მდებარეობის გამო ჯერ კიდევ ლავრენტი ბერიამ შეარჩია სამოსახლოდ. მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან ოფიციალურად სამთავრობო რეზიდენციად გამოცხადდა და საბჭოთა ლიდერების საცხოვრებლად იქცა, მოგვიანებით კი საქართველოს მეორე პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის რეზიდენციად გადაკეთდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ მალევე, 2004 წელს, ტერიტორია პრივატიზაციის პირველივე ტალღაში მოჰყვა, რამდენიმე ნაკვეთად დაიყო და გაიყიდა. ახლა აქ ევროპული ქვეყნების საელჩოები და ევროკავშირის მისიის წარმომადგენლობაა განთავსებული.

„კრწანისი რეზიდენსი“ ექსკლუზიურად შერჩეულ 26,000 კვადრატულ მეტრზეა გაშენებული და მისი საინვესტიციო ღირებულება დღეს 20 მილიონ დოლარს აჭარბებს, თუმცა პარტნიორებმა შენება წლების წინ პირადი, $1.5 მილიონით დაიწყეს. მერე საქმეში „საქართველოს ბანკი“ ჩაერთო და მშენებლობის ნაწილი 6 მლნ ლარით დააფინანსა.

„პროექტს ჯერ კიდევ კონცეფციის დონეზე გავეცანით, მივხვდით, რომ საინტერესო წამოწყება იყო და დეველოპერებს მასშტაბური მიზნები ჰქონდათ. გარდა ბაზარზე უძრავი ქონების ხარისხის გაუმჯობესებისა, პროექტი მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო ადგილის უნიკალურობისა და მისი შენარჩუნების კუთხითაც“,

გიორგი არველაძე

– ამბობს „საქართველოს ბანკის“ დირექტორის მოადგილე ვასილ ხოდელი.

ამ დაფინანსებით „საქართველოს ბანკმა“ საკუთარი წვლილი შეიტანა ეკოლოგიურად სუფთა გარემოში პირველი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობაში. კარგ ბანკთან ერთად „უბიკის“ დამფუძნებლებმა მალე კარგი „მეზობლებიც“ იპოვეს, საკუთარსა და ბანკისას პირველი კლიენტების კაპიტალი დაუმატეს და მშენებლობაც გაარაღეს. ასე იქცა სურვილი ბიზნესად, კლიენტები კი – მეზობლებად.

„ჩვენ არ ვყიდით მხოლოდ სახლებს, ჩვენ ვყიდით ჯანსაღ გარემოს და ცხოვრების ახალ წესს“, – ორივეს სათქმელს გიორგი არველაძე მეუბნება და ცდილობს, კომპლექსის უპირატესობაში დამარწმუნოს. შეგრძნება იმისა, რომ ქალაქში ვარ, თან მაქვს, თან არ მაქვს. აშკარაა, რომ პროექტი ინოვაციურია და არქიტექტორებმა ის არსებულ სივრცეს მაქსიმალურად მოარგეს.

70 ოჯახზე გათვლილი რამდენიმე ოთხსართულიანი კორპუსი „კრწანისი რეზიდენსის“ სრული ფართობის მხოლოდ 40%-ს ფარავს. დანარჩენი 60% – რეკრეაციული ზონაა. ბულვარი, პარკები, 600-მეტრიანი სარბენი ბილიკი, მრავალფუნქციური სათამაშო მოედნები საბავშვო სივრცეებით – მოკლედ, „კრწანისი რეზიდენსს“ მცხოვრებლებისთვის თანამედროვე კომფორტის შესაქმნელად, მგონი, ყველაფერი აქვს.

ტერიტორიაზე შესვლისას მასპინძლებმა პირველი ლოფტი გამაცნეს. თითოეულ ლოფტში 6-8 ბინაა, რომლებიც ქალაქს გადაჰყურებს და ყველა მხარეს მშვენიერი ხედი აქვს. ჭერის სიმაღლე, როგორც მითხრეს, 3,40 მეტრია. ოდნავ მცირე სიმაღლის აღმოჩნდა სპეციალურად „კრწანისი რეზიდენსისთვის“ გერმანული კომპანია „შუკოს“ მიერ დამზადებული კარ-ფანჯარა, რომლებიც აღჭურვილია მოძრავი დარაბების სისტემით, რაც ოთახებში სინათლის რეგულაციას ამარტივებს.

ტერიტორიის უკანა ზოლში განთავსებულია 3-4 საკუთარი სახლისგან შემდგარი ტაუნჰაუსების რიგი, რომელთა ეზოები ჩაფლულია ტყეში, მათ შორის ტერიტორიას კი გამწვანებული პარკი ყოფს. ერთ-ერთ ტაუნჰაუსში შესვლისას განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ეგრეთ წოდებული გერმანული კლინკერით და მუხის პანელებით მოპირკე-

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

ნიკოლოზ კვირიკაძე

თებულმა ფასადმა და აფრიკული ხით – იროკოთი გაწყობილმა სადარბაზოებმა. დეტალებში ეტყობა, რომ მმართველმა პარტნიორებმა საკუთართან ერთად ყველა მეზობლის კომფორტზე იზრუნეს.

შენობის კარკასები უმაღლესი ხარისხის მონოლითური ბეტონითაა ნაშენები, რაც, როგორც მშენებლებმა განმიმარტეს, მყარ პერიმეტს ქმნის და კონსტრუქციულ დატვირთვას ერთიან ცენტრალურ სვეტებზე ანაწილებს.

აქ ყველა სახლს თავისი საკუთარი მიწისქვეშა ავტოსადგომი აქვს, რომელთან დაკავშირების უმარტივესი გზა იტალიური „კონეს“ ლიფტებია, მათ შორის – შშმ პირებზე მორგებული.

„ჩვენ აქცენტი ხარისხზე გავაკეთეთ და არა რაოდენობაზე. „კრწანისი რეზიდენსი“ არის ამბიციური განაცხადი იმისთვის, რომ ცხოვრების სტანდარტი ავამაღლოთ“, – ამბობს ნიკოლოზ კვირიკაძე და მიხსნის, რომ აქ ცხოვრებას საკუთარი წესები აქვს. ყველაფერი საერთო საკუთრებაა და ტერიტორიის მოვლა-პატრონობაზეც ყველა თანაბრადაა პასუხისმგებელი.

„კრწანისი რეზიდენსში“ შესაძლებლობები გაცილებით მეტია, ვიდრე მე შემიძლია აღვწერო და გადმოვცე. საცხოვრებელი კომპლექსის სავარჯიშო დარბაზები, მცხოვრებლებისთვის განკუთვნილი მოსასვენებელი და გასართობი ლაუნჯი, შიდა დასუფთავების სამსახურები, ხელოსანი, მებაღე, ნაგვის გატანისა და კურიერის მომსახურება, 24-საათიანი დაცვა, ვიდეოდაკვირვების სისტემა – ეს ყველაფერი მხოლოდ სერვისია და ამ ყველაფერს მაღალკვალიფიციური მენეჯერი და ტექნიკური ჯგუფი მართავენ.

„კრწანისი რეზიდენსის“ ყველა სახლი ექსპლუატაციაში წლის ბოლომდე შევა. დამშვიდობებამდე მასპინძლებმა გამიმხილეს, რომ „კრწანისი რეზიდენსი“ ერთადერთ პროექტად არ დარჩება, რომელსაც საქართველოში კომპანია „უბიკი“ განახორციელებს. ლიმიტირებულ, კონკრეტულ ნიშებზე მორგებული „კრწანისი რეზიდენსის“ შემდეგ მსგავსი პროექტი შესაძლოა დაბალ საფასო სეგმენტშიც გაჩნდეს, ამისთვის კი მესვეურები შესაფერის ადგილს ეძებენ და ხელსაყრელ დროს ელიან.

სიამოვნება და სარგებელი – მეზობელ პარტნიორებს „კრწანისი რეზიდენსში“ ორივე აქვთ. F

ბიზნესად ქცეული დიდი სიყვარული

„ბრავო რეკორდსი“ ხარისხიანი საქმიანობის 7 წელს ითვლის. მთავარი წარმატება იანვარში ნიუ-იორკში გამართულ „გრემის“ დაჯილდოებაზე მოვიდა. „რეზიდენტეს“ ალბომმა გამარჯვება მოიპოვა ნომინაციაში „საუკეთესო ლათინური როკი, ურბანი ან ალტერნატიული ალბომი“. ამ ალბომში შესული ერთ-ერთი სინგლი, „ომი“, სწორედ „ბრავო რეკორდსში“ ჩაიწერა.

ავტორი: სალომე ჭიპაშვილი
ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

„ბრავო რეკორდსის“ ისტორია 7 წლის წინ, ზაზა შენგელიას მუსიკისადმი დიდი სიყვარულით დაიწყო. უკრავდა უნივერსიტეტის ბენდში, აგროვებდა მუსიკალურ ჩანაწერებს, ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში მან პირველმა ჩაატარა სტუდენტური როკფესტივალი, სადაც გაიცნო და დაუმეგობრდა თავის მომავალ ბიზნესპარტნიორს, მამუკა ხაზარაძეს, რომელიც პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთ როკანსამბლში უკრავდა გიტარაზე. შემდგომ უკვე მამუკა ხაზარაძის დახმარებით ზაზამ ოცნებაც აიხდინა: გააკეთეს ნამდვილი ხმის ჩამწერი ლეიბლი „ბრავო რეკორდსი“ და ჰობიც ბიზნესად იქცა. მუსიკის დაწერა, ჩაწერა, დისტრიბუცია, საავტორო უფლებების დაცვა, კონცერტების ორგანიზება, ტალანტების აღმოჩენა, მუსიკალური ვიდეოფროდაქშენის წარმოება და სხვა. საქართველოს სჭირდებოდა ორგანიზაცია, რომელიც ამ ყველაფერს ხარისხიანად გააკეთებდა და 7 წლის თავზე შედეგმაც არ დააყოვნა – „გრემი“ და ამერიკული აღიარება. 28 იანვარს, ნიუ-იორკში გამართულ „გრემის“ დაჯილდოებაზე ლათინო-რეპერ „რეზიდენტეს“ ალბომმა გამარჯვება მოიპოვა ნომინაციაში „საუკეთესო ლათინური როკი, ურბანი ან ალტერნატიული ალბომი“. ამ ალბომში შესული ერთ-ერთი სინგლი „ომი“ კი, არც მეტი, არც ნაკლები , „ბრავო რეკორდსში“ ჩაიწერა.

მსოფლიოში ათასობით ხმის ჩამწერი ლეიბლი არსებობს, თუმცა ეს ინდუსტრია ჯერ კიდევ განვითარების გზას ადგას. 1977 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ცნობილი ხმის ჩამწერი რამდენიმე ლეიბლის შემოსავლები ასე გამოიყურებოდა: ამერიკული კომპანია CBS-ის შემოსავალი 770 მილიონ დოლარს შეადგენდა, დიდი ბრიტანული კომპანია EMI-ის შემოსავალი – 750 მილიონი დოლარი გახლდათ, იგივე შემოსავალი აჩვენა გერმანულმა Poligram-მა. 2017 წლისათვის ამ ინდუსტრიის შემოსავლების წილი მსოფლიოში 19,1 %-ით გაიზარდა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, მაგრამ იშოვო ფული ქვეყანაში, სადაც ყოველდღე გქურდავენ, თუმცა სამართალდამცველებს ამაზე რეაქცია არა აქვთ, ძალიან ძნელია. კანონს არ იცავს საქართველოში არც სახელმწიფო და არც მოქალაქე. ჩვენს ქვეყანაში ყველაზე რეიტინგული საიტები არალიცენზირებულ მუსიკასა და ფილმებს ავრცელებენ – არც ისინი ისჯებიან. შესაცვლელია ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონი, რომელიც უდავოდ მოძველებულია, თუნდაც იმიტომ, რომ ინტერნეტის არარსებობის დროს დაიწერა. სხვაგვარად ის ინვესტიცია, რომელსაც Bravo Records-ი და მისნაირი ორგანიზაციები სხვადასხვა კომპანიისგან ლიცენზიის ყიდვისას ახორციელებენ, წყალში გადაყრილი აღმოჩნდება. ეს ინდუსტრია ბევრად მოგებიანი გახდება, როცა გავუფრთხილდებით ერთმანეთის საკუთრებას,

თუნდაც არამატერიალურს. „ბრავო რექორდსი“ დღესდღეობით, ტექნიკური მაჩვენებლებითა და პროფესიონალთა გუნდით, საუკეთესოა როგორც საქართველოში, ისე მთელ ამიერკავკასიაში.

„ბრავო რექორდსის“ გარდა, ზაზა შენგელიას უმუშავია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში. იგი პირველი დამოუკიდებელი ტელევიზიის, „იბერვიზიის“ ერთ-ერთი შემქმნელია. იმ ტელევიზიის, რომელმაც ძალიან რთული პერიოდი გამოიარა და დამოუკიდებლობააღდგენილი, ახალი საქართველოს ისტორიაში თავისი სიტყვა თქვა. ასევე მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაფუძნდა საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალი „მანა“, რომელმაც ქართულ ტელესივრცეში მოღვაწე მრავალ ახალგაზრდა ტელეჟურნალისტს მისცა საკუთარი ნიჭის გამოვლენის საშუალება. გარკვეული პერიოდი, ნიკო ლეკიშვილის მოწვევით, მუშაობდა თბილისის ვიცე-მერად, იყო სახელმწიფო მინისტრის მოადგილეც. ალბათ ყველაზე რთული და დასამახსოვრებელი იყო სახელმწი-

ფო ტელერადიოკორპორაციაში ზაზა შენგელიას თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდი, რადგან ძალიან მტკივნეული და მძიმე რეფორმების გატარება მოუწია, რაც გულისხმობდა პერსონალის ოპტიმიზაციას, სტრუქტურის სრულყოფას, და, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნას. შემდგომ უკვე კერძო სექტორში ინაცვლებს. იმ პერიოდში განსაკუთრებული ბუმი იყო საგზაო მშენებლობის სფეროში, ამიტომ მეგობრებთან ერთად Black Sea Group-ში მუშაობდა. კომპანიას აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მობილური საწარმო-ტექნოლოგიური ბაზები, კერძოდ, ასფალტის ქარხნები, სტაციონარული და მობილური ქვის სამტვრევი დანადგარები, ბეტონის ქარხნები, ქვაფენილებისა და ბორდიურების საამქრო და ა.შ. პარალელურად კიდევ ერთი ბიზნესპროექტი განახორციელა მამუკა ხაზარაძესთან ერთად, ეს გახლავთ Hard Rock Cafe. ძალიან ცნობილი მსოფლიო ქსელი დღესდღეობით 59 ქვეყანაშია წარმოდგენილი რესტორნების, სასტუმროებისა და კაზინოების სახით. Hard Rock Cafe პირველად ამერიკელებმა ლონდონში 1971 წელს გახსნეს. კაფეების ქსელი უნიკალურია თავისი ინტერიერით. განსაკუთრებულ დიზაინში კედლებზე გამოფენილ ყველა იმ ნივთს ვგულისხმობთ, რომლებიც როკმუსიკასთან არის დაკავშირებული. მოგვიანებით კაფეების ქსელს პოპულარობა მუსიკალურმა რელიკვიებმა, ცნობილი მუსიკოსების ინსტრუმენტებმა და სუვენირებმა მოუტანა. Hard Rock Cafe დღემდე ძალიან აქტუალურია – ის მუსიკალურ სფეროში დასაქმებული ადამიანების შთაგონების წყაროდ იქცა. ზაზა შენგელიასთან ყველა ამ მიმართულებაზე დეტალურად ვისაუბრეთ.

Hard Rock Cafe-თი დავიწყოთ. როგორ შეაფასებდით, ბატონო ზაზა, ამ ბიზნესს საქართველოში? არის თუ არა პრობლემები ამ მიმართულებით და რამდენად კონკურენტული გარემოა საქართველოში?

ვფიქრობ, რომ Hard Rock Cafe არის ბრენდი, რომელიც ძალიან სჭირდება ქალაქს. ეს ბრენდი ცნობილია მთელ მსოფლიოში და თანაც ძალიან მოდურია. უცხოელი ვიზიტორები, ტურისტები, ქართული კერძების დაგემოვნების შემდეგ, როცა მათ ნაცნობი კერძები მოენატრებათ, რასაც შეჩვეულები არიან და უყვართ, სწორედ ჩვენს კაფეს მოაკითხავენ ხოლმე – ეს გარემო მათთვისაა. მოგეხსენებათ, რომ Hard Rock Cafe-ს მენიუ მთელ მსოფლიოში უნიფიცირებულია, ზუსტად იგივე მენიუა, რაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის Hard Rock Cafe-ში. ამიტომაც ძალიან ბევრი უცხოელი დადის, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ბიზნესმენები, რა თქმა უნდა, ქართველებიც. რაც შეეხება თვითონ ამ ბიზნესს, საკმაოდ კარგი ბრუნვა აქვს, თუმცა ჩვენს შემთხვევაში, გაუმართლებლად დიდი პირველადი ინვესტიცია განვახორციელეთ, რაც დღესდღეობით მხრებზე გვაწევს. თბილისისთვის არაპროპორციულად დიდი კაფე გავაკეთეთ, არ იყო ამხელა საჭირო. უფრო პატარაც საკმაოდ კარგად იმუშავებდა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი თქვენი კარიერიდან იყო კომპანია Black Sea Group-ი, რომლის ერთ-ერთი პარტნიორიც იყავით. რატომ შეელიეთ ამ კომპანიას მაშინ, როდესაც ეს სფერო საკმაოდ მოგებიანი ბიზნესია და სახელმწიფო საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავს ამ მიმართულებით?

მე არასოდეს ვყოფილვარ Black Sea Group-ის დამფუძნებელი. მიუხედავად იმისა, რომ ამის შეთავაზება ბევრჯერ მქონდა, მაინც ავარიდე თავი. რეალურად ჩემთვის ეს გარკვეულ რისკებთან იყო დაკავშირებული. მე ჩემს მეგობრებს, ამ კომპანიის დამფუძნებლებს ვეხმარებოდი სტრუქტურის დალაგებაში, სამუშაო აღწერილობაში, მართვის სისტემის გაუმჯობესებაში და ა.შ. ეს შემდგომ ძალიან წაადგა ამ კომპანიას, მაგრამ რაც შეეხება დამფუძნებლად შესვლას, ეს არ არის ჩემი მოწოდება, ჩემი საქმე. მე უბრალოდ მათ ვეხმარებოდი რამდენიმე წელი. საკმაოდ დიდი შრომა გაიწია და მე ვამაყობ ამ პერიოდით, რადგან აბსოლუტურად სხვა სფეროში გამოვცადე ჩემი თავი და მივხვდი, რომ თუკი მენეჯერის თვისებები გაქვს, ნებისმიერ სფეროში შეიძლება გამოგადგეს. თუმცა სპეციფიკა აბსოლუტურად უცხო იყო ჩემთვის. ვერ გავრისკე ჩემთვის უცხო სფეროში შესვლა. ვამაყობ და მუდმივად ვიამაყებ ამ კომპანიით, რადგან Black Sea Group-ი ის კომპანიაა, რომელსაც ბევრი რამის გადატანა მოუხდა. და დღეს ნომერ პირველი კომპანიაა საგზაო მშენებლობის სფეროში.

თქვენ იყავით Eastern Promotion-ის პარტნიორი და შემდეგ დაუპირისპირდით ამავე კომპანიის კიდევ ერთ პარტნიორს, კულტურის მინისტრ მიხეილ გიორგა-

ძეს, რა იყო ამ დაპირისპირების მიზეზი? კულტურის მინისტრს ბაზარზე მოთამაშე კერძო ბიზნესის დაბლოკვაში ადანაშაულებდით...

ალბათ ინტერესთა კონფლიქტი. ჩვენ დაახლოებით 11-12 წელი ვიყავით ერთად Eastern Promotion-ის დამფუძნებლები. Eastern Promotion-მდე არსებობდა კომპანია „სინკოპა პლუსი", რომელიც მე და ჩემმა მეგობარმა ვათა ჯორჯიკიამ დავაფუძნეთ. დამოუკიდებელ საქართველოში, რომელიც ჯერ კიდევ გამოდიოდა სამოქალაქო ომისა და აფხაზეთის კონფლიქტის შოკიდან, პირველად სწორედ „სინკოპა პლუსის" სახელით ჩამოვიყვანეთ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ ტანია მარია, შემდგომ კი რეი ჩარლზი. მხოლოდ „სინკოპა პლუსის" დახურვის შემდგომ გავხდი Eastern Promotion-ის დამფუძნებელი. ძალიან ვამაყობ ამ წლებით, გამორჩეული პერიოდი იყო იმ თვალსაზრისით, რომ დაინერგა დიდი სიყვარული ამერიკული პოპკულტურის, განსაკუთრებით ჯაზის მიმართ, თან მაშინ ისეთი პერიოდი იყო, ბაზარზე მძლავრად იყო წარმოდგენილი რუსული „პაპსა". ჩვენ მოგვიწია მასის გემოვნების შეცვლა, რისთვისაც საკმაოდ დიდი შრომა და ჯაფა გავწიეთ. შემდგომში გარკვეული ინტერესთა კონფლიქტი გაჩნდა, დავტოვე კომპანია, ჩემთან ერთად კომპანიიდან კიდევ ერთი პარტნიორმა წამოვიდა.

კულტურის მინისტრს ბაზარზე მოთამაშე კერძო ბიზნესის დაბლოკვაში ადანაშაულებდით...

დიახ, საუბარია იმაზე, რომ საქართველო ძალიან პატარა ბაზარია. გამომდინარე იქიდან, რომ ეს სფერო არ არის მოგებიანი, მუსიკაში მომუშავე ადამიანები ძალიან დიდი ენთუზიაზმით გამოვირჩევით. „ბრავო რექორდსის" ინვესტიცია დაახლოებით 800,000 დოლარს შეადგენდა, ასევე მინდა დავასახელო „ალტერ ვიჟენი", რომლის დამფუძნებლებიც, იმისთვის, რომ ფესტივალები ჩაატარონ, ყოველწლიურად საკუთარ ბინებსა და მანქანებს აგირავებენ. 2017 წელს სწორედ „ოფენ ეარი" იყო მიჩნეული წლის ფესტივალად და ამის საპირისპიროდ ფესტივალი, რომელსაც Eastern Promotion-ი ატარებს, უკვე 15 წელია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება... ცალკე ბათუმის ფესტივალი და ცალკე თბილისის ფესტივალი.

ყველამ, ვინც ამ სფეროში ვსაქმიანობთ, იმავე „სამარ სეტმა", „ბასიანმა", რომელსაც უზარმაზარი სახელი აქვს და პერიოდულად The Guardian-ის რეიტინგებში ხვდება, იმავე biletebi.ge-მ, „ბრავო რექორდსმა", „ალტერ ვიჟენმა" მაშინ მოვითხოვეთ, რომ თამაშის წესები შეცვლილიყო, მაგრამ უშედეგოდ. რეალურად კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობა ებრძოდა ბაზრის ყველა წამყვან მოთამაშეს და გარანტირებულად აფინანსებდა მხოლოდ Eastern Promotion-ის ფესტივალებს, რომლის ერთ-ერთი მფლობელი სინამდვილეში დღესაც მიხეილ გიორგაძეა. პარალელურად წინა ხელისუფლების პერიოდში მათ 50-წლიანი მმართველობით გადაეცათ ფილარმონია სიმბოლურ 1 ლარად, რომელიც მათი მენეჯმენტის ქვეშ კატასტროფულ მდგომარეობაშია, აშკარად იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, რაც ამ სფეროში ბიზნესის განვითარებას ძალიან უშლის ხელს. პირდაპირ ვიტყვი: პრაქტიკულად ჩვენთვის კულტურის სამინისტრო არ არსებობს.

კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობა ებრძოდა ბაზრის ყველა წამყვან მოთამაშეს და გარანტირებულად აფინანსებდა მხოლოდ Eastern Promotion-ის ფესტივალებს.

შოუბიზნესისთვის მტკივნეული თემაა საავტორო უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვაც - კულტურის სამინისტრო ამასთან დაკავშირებითაც არანაირ ინტერესს არ იჩენს. ამ მხრივ ჩვენ დისკრიმინირებულები ვართ. ამიტომაც მუსიკალური ინდუსტრია და ასევე კინოინდუსტრია საქართველოში ვერ შედგა როგორც ბიზნესი. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილს და პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, რომ პროექტი „ჩექინ ჯორჯია" გადასცეს ტურიზმის დეპარტა-

მენტს და ეკონომიკის სამინისტროს და ჩვენ აღარ გვაქვს საქმე კულტურის სამინისტროსთან.

სხვა რა ბიზნესებში ხართ წარმოდგენილი დღეს? და ზოგადად, როგორ აფასებთ ბიზნესკლიმატს საქართველოში? რამდენად მისაღებია ეკონომიკის განვითარების ტემპი საქართველოში?

ვფიქრობ, რომ საქართველოში ბიზნესი ძალიან რთულად, მაგრამ მაინც ვითარდება. ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორია, ეს არის საერთო ეკონომიკური მდგომარეობა ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, რაც ირიბად თუ პირდაპირ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე დიდ გავლენას ახდენს. უფრო მეტი ინვესტიციის მოზიდვას ვისურვებდი, ძალიან მახარებს, რომ ტურიზმის ასეთი ბუმია საქართველოში, რადგან ამან ძალიან ბევრი ინვესტორის ყურადღება მოაპყრო ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ალბათ უფრო მეტი ინვესტიციის მოზიდვაა საჭირო, რათა სოფლის მეურნეობა ამუშავდეს, ტურიზმი კიდევ უფრო განვითარდეს. საქართველო არ არის მძიმე ინდუსტრიის ქვეყანა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე დადებითად აისახება კულტურა, კულტურის ექსპორტმა შეიძლება ძალიან დიდი მოგება მოუტანოს ქვეყანას. არავინ არ ითხოვს პირდაპირ ფულად დაფინანსებას, თუკი ქვეყანაში სათანადო პირობები შეიქმნება, საავტორო უფლებები იქნება დაცული, მუსიკოსი თუ შეძლებს თავისი მუსიკის გაყიდვას, საგასტროლო ინფრასტრუქტურა თუ იქნება მოწესრიგებული, შესაბამისად, ეს სფეროც მეტად განვითარდება და შედგება როგორც ბიზნესი. ქვეყანას სჭირდება ასევე სტაბილური მდგომარეობა და კანონმდებლობის დახვეწა, რათა ჩვენი ქვეყანა უფრო მეტად მიმზიდველი იყოს ინვესტორებისათვის.

იანვარში, ნიუ-იორკში გამართულ „გრემის“ დაჯილდოებაზე რეპერ „რეზიდენტეს“ ალბომმა გამარჯვება მოიპოვა ნომინაციაში „საუკეთესო ლათინური როკი, ურბანი ან ალტერნატიული ალბომი“. ამ ალბომში შესული ერთ-ერთი სინგლი „ომი“, სწორედ „ბრავო რეკორდსში“ ჩაიწერა. იყო თუ არა ეს ერთადერთი პრეცედენტი საქართველოსთვის? Forbes-ის ინფორმაციით, ამ მასშტაბის გამარჯვება ამ ინდუსტრიაში აქამდე არ გვქონია...

ეს მართლაც ერთადერთი პრეცედენტი იყო საქართველოს ისტორიაში. ისეთივე დონის გამარჯვებაა ჩვენთვის, როგორც ზაზა ფაჩულიას გამარჯვება NBA-ში, როგორც ჩვენი მორაგბეების წარმატებები, როგორც ჩვენი სუმოისტ ტოჩინოშინის წარმატება იაპონიაში. ბედნიერები ვართ და ძალიან ვამაყობთ ამ გამარჯვებით, ბევრი რეკორდ ლეიბლი დედამიწის ამ ნახევარსფეროში ვერ დაიკვეხნის ასეთი დიდი გამარჯვებით. იმედი გვაქვს, ხვალ და ზეგ უკვე ქართული პროდუქტით ავიღებთ „გრემის“ ჯილდოს და არა უცხოელი მუსიკოსის ნამუშევრით. ამ ეტაპზე ასეთი პატარა ქვეყნისთვის ეს უდიდესი წარმატებაა.

თქვენი სამომავლო გეგმები და პროექტები... გაქვთ თუ არა ბიზნესიდეები, რომელთა განხორციელებასაც მომავალში გეგმავთ?

„ბრავო რეკორდსი“ სწორედ იმისთვის არსებობს, რომ ხელი შეუწყოს ახალ პროექტებს, ახალ იდეებს. უკვე უამრავი პროექტი განახორციელა, რომლებიც სრულად ჩვენს საიტზეა წარმოდგენილი, მათ შორის – უამრავი სოციალური პროექტი. ამ ეტაპზე შეგვიძლია ექსკლუზიურად Forbes Georgia-ს მკითხველისთვის ვთქვათ, რომ რამდენიმე თვეში გამოვა ყველასათვის ცნობილი ჯგუფის, „სახე“-ს ახალი ალბომი, რომელშიც ახალი ჰიტები იქნება წარმოდგენილი. გვაქვს გარკვეული იდეები, რომლებიც უფრო ახალგაზრდულ სეგმენტს ეხება და რომლებიც უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი. ასევე ვგეგმავთ ონლაინ ლეგალური მუსიკის მაღაზიის „ბრავისიმოს“ აღდგენას, რომელიც მეკობრეობის პრობლემების გამო დაიხურა. ამ ონლაინმაღაზიაში ქართული მუსიკა 50 თეთრი ღირდა, უცხოური მუსიკა კი – 90 თეთრი. მართალია, იგივე მუსიკა სხვადასხვა საიტზე უფასოდ იყო ხელმისაწვდომი, მაგრამ – არალეგალურად. ჩვენ გვინდა, რომ ლეგალური ონლაინმაღაზია არსებობდეს მუსიკოსებისთვის, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება, თავიანთი მუსიკა გაყიდონ. ჩვენ ასევე 5 წელი ვმუშაობდით, რომ გავმხდარიყავით მთავარი რეკორდლეიბლების პარტნიორი და ჩვენ პირველები ვართ საქართველოში, რომლებიც გავხდით Warner Music-ის, Sony Music-ის, და ძალიან მალე გავხდებით Universal Music-ის პარტნიორები. და მომავალში ბევრი ინიციატივა გვექნება ისეთი, რაც წაადგება იმას, რომ საქართველოში მუსიკალური ინდუსტრია შედგეს როგორც სრულფასოვანი ბიზნესი. F

ისტორიული ალიანსი

„ალიანს ჯგუფის“ აპარტამენტების მესაკუთრეები RCI-ის „ოქროს გვირგვინის“ სტატუსით ისარგებლებენ.

ავტორი: ჯეფ ფოსტერი

საქართველო დასვენების გაცვლის გლობალურ რუკაზე წელს პირველად გამოჩნდა. წამყვანმა ქართულმა სამშენებლო-დეველოპერულმა კომპანია „ალიანს ჯგუფმა“, დასვენების გაზიარების მსოფლიოში უმსხვილეს მოთამაშე RCI-სთან ერთად, საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ახალი, ინოვაციური ეტაპი დაიწყო. „RCI-ის საერთაშორისო ქსელის 4-მილიონიანი ოჯახი ჩვენი ქვეყნისთვის დამატებით 10 მილიონ პოტენციურ ტურისტს ნიშნავს“, - ამბობს „ალიანს ჯგუფის“ გენერალური დირექტორი და თანადამფუძნებელი აკაკი სონგულია. „ალიანს ჯგუფის“ მიერ განვითარებული ქონების მესაკუთრეებს „ალიანსის დასვენების კლუბის“ წევრობა საკუთრების გაზიარების უპრეცედენტო შესაძლებლობას აძლევს. მათ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, 110 ქვეყანაში მდებარე 4,000-ზე მეტი პრემიუმ-რიზორტიდან მათთვის სასურველში დასვენება შეუძლიათ. „ალიანს ჯგუფის“ ყველა პროექტი RCI-ის „ოქროს გვირგვინის“ სტატუსს ატარებს, რაც დამატებით 200 ელიტარულ რიზორტთან წვდომას ნიშნავს.

ამჟამად RCI-ის ქსელი საქართველოში მოიცავს 1,000-ზე მეტი აპარტამენტისგან შემდგარ მულტიფუნქციურ კომპლექსს ბათუმში - „ალიანს პალასს“. მშენებლობის დასრულებისთანავე ქსელს აგრეთვე შეუერთდება „ალიანს ჰაილაინის“ 700-აპარტამენტიანი მულტიფუნქციური კომპლექსი თბილისში და „ალიანს ფრივილიჯი“ თავისი 1,000 აპარტამენტით ბათუმში. აპარტამენტების მფლობელები თავად გადაწყვეტენ, თავიანთი საკუთრებით თვითონვე ისარგებლონ, გააქირაონ ის საერთაშორისო მენეჯმენტ-კომპანიის მეშვეობით, თუ RCI-ის გადასცენ გარკვეული პერიოდით, მაგალითად - ერთი კვირით, და სანაცვლოდ გლობალური ქსელიდან ნებისმიერი ელიტარული რიზორტი აირჩიონ.

RCI-ის „ოქროს გვირგვინის“ სტატუსის უახლესი პროექტი, რომელსაც „ალიანს ჯგუფი“ ავითარებს, „ალიანს ფრივილიჯია“. ეს არის 54-სართულიანი მულტიფუნქციური კომპლექსი ბათუმში, რომლის პირველ 12 სართულზე აჭარის რეგიონისთვის პირველი, Marriott-ის ბრენდის ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო განთავსდება, ზედა სართულებზე კი ექსკლუზიური აპარტამენტები იქნება წარმოდგენილი. ეს მეორე ფრანშიზული ხელშეკრულებაა, რომელიც „ალიანს ჯგუფმა“ Marriott International-თან 2018 წლის 8 თებერვალს, ციურიხში (შვეიცარია) გააფორმა; პირველი ხელშეკრულება „ალიანს პალასის“ პროექტს ეხებოდა, სადაც სასტუმრო Courtyard by Marriott-ი პირველ ექვს სართულზეა განლაგებული. „ალიანს ფრივილიჯის“ სახით, ჩვენ ინოვაციურ არქიტექტურას ვქმნით და სწორედ ასეთ არქიტექტურას ვავითარებთ ჩვენს ყველა ულტრათანამედროვე პროექტში“, - ამბობს აკაკი სონგულია. „ალიანს ჯგუფის“ ეს მახასიათებელი - ექსკლუზიური არქიტექტურა - ნათლად იკითხება მათ პირველ ფრანშიზულ პროექტშიც, „ალიანს პალასის“ თაღოვან 41-სართულიან მულტიფუნქციურ კომპლექსში. როგორც სონგულია აღნიშნავს, ამ $45-მილიონიანმა პროექტმა დიდი წარმატება უკვე მოიპოვა და პრემიუმ-აპარტამენტების 95% უკვე გაყიდულია. „ალიანს პალასის“ მშენებლობა 2018 წელს დასრულდება. სასტუმრო Courtyard by Marriott-ი კომპლექსში მოგვიანებით, 2019-ში გაიხსნება. მომდევნო ერთ წელიწადში ექსპლუატაციისთვის მზად იქნება „ალიანს ფრივილიჯის“ აპარტამენტებიც, ხოლო 160-ნომრიანი სასტუმრო Marriott-ი სტუმრებს 2021-ში მიიღებს. ეს ელიტარული მულტიფუნქციური კომპლექსი ეკოლოგიურად უსაფრთხო და ენერგოეფექტიანი მასალებით შენდება. „ალიანს ფრივილიჯის“ ინფრასტრუქტურა Marriott International-ის ხუთვარსკვლავიანი სტანდარტების მიხედვით იქმნება და მოიცავს: მიწისქვეშა ავტოსადგომს ორ სართულზე, საცურაო აუზს ზღვის წყლით, სპას და ფიტნეს-ცენტრს, ლაუნჯს, რესტორნებსა და კაზინოს, ასევე კეთილ-

„ალიანს ფრივილიჯი“
ბათუმი, საქართველო

„ალიანსის დასვენების კლუბის“ პრეზენტაცია RCI-სთან ერთად. თბილისი, საქართველო.

მოწყობის ყველა სხვა კომპონენტს. კომპლექსს Marriott International-თან აფილირებული საერთაშორისო მენეჯმენტ-კომპანია, ამერიკული McInerney Hospitality International-ი, ამუშავებს. ამ ინოვაციურ პროექტში „ალიანს ჯგუფი“ $80 მილიონს აბანდებს. კომპანიის გენერალური დირექტორის თქმით, „ალიანს ფრივილიჯი“ ქვეყანას სარგებელს მოუტანს იმ მხრივ, რომ ტურისტულ შემოსავალში შეიტანს წვლილს. ის ასევე მოგებიანი ბიზნესია როგორც საკუთრების მფლობელებისთვის, ისე თავად კომპანიისთვისაც. „ეს ინვესტიციაა ბიზნესში“, - ამბობს სონგულია და განმარტავს, რომ „ალიანს ფრივილიჯში“ პრემიუმ-აპარტამენტის კვადრატული მეტრის შესასყიდი სასტარტო ფასი $1,200-დან იწყება, რაც, პროგნოზების თანახმად, სამ წელიწადში, როცა კომპლექსის მშენებლობა დასრულდება, $2,600-ს მიაღწევს. „აპარტამენტის მყიდველი არა მხოლოდ სწრაფ საინვესტიციო უკუგებას ნახავს, მას საკუთრებაში ექნება უძრავი ქონება გაზრდილი ღირებულებით“, - ამბობს სონგულია. ის განმარტავს, რომ სულ რაღაც $50,000-ის ტოლფასი ინვესტიციით, შესაძლებელია, „ალიანს ფრივილიჯის“ აპარტამენტის მესაკუთრე გახდე, შემდეგ კი კომპანიის მიერ შენი საკუთრების გაქირავების შედეგად 4-5 წელიწადში დაიბრუნო ინვესტიცია. „ხელმისაწვდომი ფასები და შესყიდვის მოქნილი პირობები კომპლექსს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მყიდველებისთვის“, - აღნიშნავს აკაკი. 30%-ის ან 15%-ის ტოლფასი საწყისი შენატანი პირველი ნაბიჯია აპარტამენტის შესაძენად. დარჩენილი ღირებულების გადახდა ეტაპობრივად, კომპანიის უპროცენტო შიდა განვადების მეშვეობითაა შესაძლებელი. ამასთან, მსურველს „ალიანს ჯგუფის“ თავდებობით კომპანიის პარტნიორი ბანკების მომსახურებით სარგებლობა და, შემოსავლების შემოწმების გარეშე, იპოთეკური სესხების მიღება შეუძლია. მეორე მხრივ, კომპანია მყიდველს აპარტამენტის შეძენას ერთჯერადად გადახდილი თანხის სანაცვლოდაც სთავაზობს, რა დროსაც ის ფასდაკლებებით ისარგებლებს. ქართველი დეველოპერი მისი აპარტამენტების შესყიდვისას კლიენტებს საერთაშორისო საბანკო გარანტიებით უზრუნველყოფს. სონგულიას

„ალიანს ჯგუფმა“ კონტრაქტი Marriott International-თან გააფორმა. ციურიხი, შვეიცარია.

თქმით, კომპანიის აპარტამენტთა მყიდველების 80%-ს უცხოეთის მოქალაქეები წარმოადგენენ. „საუკეთესო ბიზნესგარემო კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რომ ინვესტორმა კაპიტალი „ალიანს ჯგუფის“ მიერ შექმნილ უძრავ ქონებაში დააბანდოს“, - ამბობს კომპანიის თანადამფუძნებელი, და ამატებს, რომ ინვესტორებისთვის უსაფრთხოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიგნალია, საქართველო კი ევროპის ყველაზე უსაფრთხო ქვეყნების სათავეშია. საკუთრების დარეგისტრირებას მხოლოდ 15 წუთი სჭირდება, ქონების გადასახადის გადახდა არაა საჭირო და ბინადრობის ნებართვითაც უზრუნველყოფილი ხარ.

„ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში, რაც ნიშნავს, რომ განვითარებისთვის პატარა სივრცე, მაგრამ ამოუწურავი შესაძლებლობები გვაქვს. „ალიანს ჯგუფი“ ამას თავისი საქმიანობით ამტკიცებს, რაც ადგილობრივ მასშტაბებს დიდი ხანია, გასცდა“, - განმარტავს კომპანიის გენერალური დირექტორი. წარმატება საერთაშორისო ბაზრებზე წვდომაშია - სწორედ ამ ხედვით დანერგა 2008 წელს „ალიანს ჯგუფმა“ საქართველოში სასტუმრო-აპარტამენტების კონცეფცია, და ეს რწმენავე დაედო საფუძვლად კომპანიის მოტივაციას, აეშენებინა მულტიფუნქციური კომპლექსი, რომელიც 2015-ში, საერთაშორისოდ აღიარებულ Courtyard by Marriott-თან პარტნიორობით, აპარტამენტებსა და სასტუმროს გააერთიანებდა. კიდევ ერთი საერთაშორისო ბრენდი - Ramada არის წარმოდგენილი „ალიანს რიზორტის“ პროექტში, რომელსაც „ალიანს ჯგუფი“ გოდერძის სამთო-სათხილამურო კურორტზე ავითარებს. 2017 წელს სასტუმრო-აპარტამენტების კომბინირებულ ბიზნესკონცეფციას რეზიდენციული ასპექტი დაემატა: „ალიანს ჰაიღაინის“ პროექტში, რომელიც თბილისში შენდება, გლობალური ბრენდის, Wyndham Garden-ის



„ალიანს პალასი“ ბათუმი, საქართველო.

სასტუმრო და აპარტამენტები განთავსდება. საერთაშორისო მიმართულებით უახლესი და საქართველოსთვის უპრეცედენტო მოვლენა კი ქართველი დეველოპერის მიერ RCI-სთან დადებული ხელშეკრულება გახლავთ.

„RCI-ი ტურიზმში დამატებით შემოსავალს ქმნის და ეს მხოლოდ უცხოელი სტუმრების რაოდენობაზე არაა დამოკიდებული. ვინაიდან RCI-ის წევრებს რიზორტში გაჩერების თანხა წინასწარ აქვთ გადახდილი, მათ, სხვა ტურისტებთან შედარებით, შეიძლება ითქვას, მეტი ფული აქვთ ქვეყანაში დამატებით დასახარჯად“, – ამბობს დიმიტრის მანიკისი – RCI-ის ვიცე-პრეზიდენტი ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში ბიზნესის განვითარების განხრით. საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს თანახმად, 2017 წელს საერთაშორისო სტუმრების რიცხვმა საქართველოში 7,554,936-ს მიაღწია, რაც 18.8%-იანი ზრდაა წინა წელთან შედარებით. უცხოელ სტუმართა უმეტესობა იყვნენ აზერბაიჯანელები (-0.6%), სომხები (+24%), თურქები (+24%), რუსები (+19.2%) და ირანელები (+110.5%). მანიკისის თქმით, RCI ამ სიას ახალ ქვეყნებს შემატებს: „საქართველო ახალი ბაზრებიდან მოიზიდავს უცხოელ სტუმრებს. ჩვენ მთელ მსოფლიოს ვფარავთ“.

RCI-ის ვიცე-პრეზიდენტი ამბობს, რომ ბიზნესში კლიენტის კმაყოფილება უმნიშვნელოვანესია. „აკაკის პირველად რომ შევხვდი, მითხრა, რომ მისი მიზანი რაღაც ისეთის შექმნა იყო, რაც მყიდველთა საუკეთესო ინტერესებს დააკმაყოფილებდა. მივხვდი, რომ ჩემს პარტნიორს ვესაუბრებოდი. ჩვენ მსგავსად ვაზროვნებთ“.

„ალიანს ჯგუფი“ მსოფლიოს უმსხვილეს სასტუმრო ქსელებთან ერთად ამჟამად ოთხ სამშენებლო-დეველოპერულ პროექტს ავითარებს: „ალიანს პალასს“ ბათუმში, რომელიც სასტუმრო Courtyard by Marriott-ს წარმოადგენს; „ალიანს ფრივილიჯს“ ბათუმში, სადაც სასტუმრო Marriott-ი იქნება წარმოდგენილი; „ალიანს

„ალიანს ჰაილაინი“
თბილისი, საქართველო

რიზორტს“ სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძიზე, რომელიც სასტუმრო Ramada-ს უმასპინძლებს; და „ალიანს ჰაილაინს“ თბილისში, რომელშიც სასტუმრო Wyndham Garden-ი იქნება გაერთიანებული. ეს უკანასკნელი Wyndham Worldwide-ის შემადგენლობაში შედის - მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სასტუმრო ქსელისა, რომელიც, ასევე, ე.წ. გაცვლითი დასვენების წამყვან კომპანიას, RCI-ს მოიცავს. ქსელი სამი განყოფილებისაგან შედგება: Wyndham Destination Network-ის, Wyndham Vacation Ownership-ისა და Wyndham Hotel Group-ისგან. მსოფლიოში უმსხვილესი ეს სასტუმრო-კომპანია 78 ქვეყანაში 8,100 სასტუმროთია წარმოდგენილი. Wyndham Worldwide-ი 20 სასტუმრო-ბრენდს აერთიანებს, მათ რიცხვში - ევროპის ყველაზე სწრაფად მზარდ სასტუმრო-ბრენდ Ramada-ს. რაც შეეხება ასევე წამყვან გლობალურ სასტუმრო-კომპანია Marriott International-ს, ის 30 ბრენდით და 6,500 სასტუმროთი 127 ქვეყანაში ოპერირებს.

ბოლო 13 წელიწადში „ალიანს ჯგუფს“ უკვე $200 მილიონზე მეტი აქვს დაბანდებული პრემიუმ-კლასის უძრავი ქონების ბაზარში. კომპანიის საინვესტიციო აქტივობები ქართულ სამშენებლო-დეველოპერულ პროექტებში 2005 წელს დაიწყო, როცა „ალიანს ჯგუფმა“ პირველი თანამედროვე რეზიდენციული შენობა ააშენა ბათუმში. „ახლა, როცა „ალიანს ჯგუფის“ პარტნიორები ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო სასტუმრო-კომპანიები არიან, სრულიად მზად ვართ ახალი სიმაღლეების დასაპყრობად“, - ამბობს აკაკი სონგულია. წამყვანი ქართული სამშენებლო-დეველოპერული კომპანია ოთხ მიმდინარე პროექტში $210 მილიონს აბანდებს.

„ალიანს ჯგუფისთვის“ განვითარების უახლესი ეტაპი RCI-სთან პარტნიორობაა. როგორც აკაკი სონგულია ამბობს, საქართველოში დასვენების ინდუსტრიისთვის ეს რომ ისტორიული ფაქტია, ამის თვითმხილველები მალე ერთად გავხდებით. F



ვენჩურ-კაპიტალიზატორები

ტექნოლოგიის ძველ (და სულისშემხუთველ) ბიჭებზე გაბრაზებული და იმედგაცრუებული, ვენჩურ-კაპიტალისტთა ელიტური ჯგუფი ამ ემოციებს მოქმედებებად გარდაქმნის. მათი იარაღები – ინვესტირება და ანტრეპრენიორობა – უზრუნველყოფს გეგმას, თუ როგორ უნდა მოხდეს ნებისმიერი ხრინწიანი ინდუსტრიის ძირფესვიანი ტრანსფორმირება.

ავტორები: ალექს კონრადი და ბიზ კარსონი

ეილინ ლი თითქმის ერთი თვის მანძილზე დრაფტებში ჩაგდებულ ი-მეილს მიშტერებოდა – ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა. 2017-ის ზაფხული ვენჩურული კაპიტალისთვის ულმობელი პერიოდი გამოდგა. სან-ფრანცისკოში დაფუძნებული ერთ-ერთი ფირმის, Binary Capital-ის პარტნიორი სექსუალური შევიწროებების ბრალდებით თანამდებობიდან გადამდგარიყო და ფირმაც სულს ღაფავდა. ბრალდებებმა შეუფერებელ სექსუალურ ქცევებში მალე სხვა ორი განთქმული ფირმის – 500 Startups-ისა და მილიონდოლარიანი DFJ-ის – თანადამფუძნებლებიც მიიყვანა გადადგომამდე. თვეებით ადრე, სანამ ცნობილი სკანდალები და თანამდევი #MeToo ჰოლივუდიდან აკრეფდა ტემპს, სილიკონის ხეობა უკვე შეჯახებოდა თავის ცოდვებს.

იმ ივლისში ლიმ, ვეტერანმა ვენჩურ-კაპიტალისტმა, რომელიც წლევანდელ მიდასის რეიტინგში 97-ე ადგილს იკავებს, რისკზე წასვლა გადაწყვიტა. ადგა და წერილით მიმართა 23 ქალს, რომელთაც მან „საუზმის კლუბი“ დაარქვა და რომლებიც, უმეტესად, მის მეგობრებს წარმოადგენენ და პარტნიორები არიან სხვა ვენჩურ-კაპიტალის ფირმებში. ამ წერილით მათ ერთი მიზნის გარშემო გაერთიანებისკენ მოუწოდა: ქალებს ვენჩურ-ინდუსტრიაში შესვლასა და დაწინაურებაში უნდა დახმარებოდნენ. „მგონი, ყველანი ერთ აზრზე ვართ... ის, რაზეც სტატიებში აქტიურად წერენ, – გენდერული ძალაუფლების დინამიკა, შევიწროება და ვენჩურ-კაპიტალის სფეროში ქალების სიმწირე, უბრალოდ არ არის სწორი, – წერდა ლი. – ჩვენ გვაქვს ფანჯარა, ვცადოთ და შეცვალოთ ჩვენი ინდუსტრია უკეთესობისკენ“.

48 წლის ლის, დიდწილად ურთიერთობებზე დამყარებულ ვენჩურულ ინდუსტრიაში თავისი ადგილი დაემკვიდრებინა: 13 წელი ლეგენდარულ ფირმა Kleiner Perkins Caufield & Byers-ში გაატარა, ხოლო 2012-ში Cowboy Ventures-ი დააფუძნა. Cowboy-ს, ის-ისაა, ვენჩურ-კაპიტალის პირველ კატეგორიაში გადაენაცვლა და თავისი მეორე, $60-მილიონიანი ფონდის ინვესტირების პროცესში იყო. აქტივისტური მოძრაობის გაძღოლა, შესაძლოა, ბიზნესისთვის საფრთხის შემცველი ყოფილიყო, მაგრამ ლიმ გადაწყვიტა, რომ ახლა თუ არა, ვეღარც ვერასდროს ამოიღებდა ხმას.

31 ივლისი იდგა. ღამის 11-ს რომ გადასცდა, ლიმ „გაგზავნის“ ღილაკს დააჭირა თითი. ნახევარ საათში მის ინბოქსში პირველი პასუხი გამოჩნდა – Sequoia Capital-ის ჯეს ლისგან, რომელიც ამ „წითელი კოჭის“ პარტნიორი ცხრა თვის წინ გამხდარიყო. „გვერდით მიგულე“, – გახლდათ მისი პასუხი. „გმადლობ, ეილინ, ამ პასუხისმგებლობის აღებისათვის. სიხარულით ვიქნები ორგანიზატორი/მასპინძელი/შენი ლოგისტიკური მონა“. ერთიმეორის მიყოლობით, დანარჩენი 20 ქალისგანაც მოვიდა მსგავსი შინაარსის წერილები.

ტექნოლოგიური ინვესტირება ყველაზე უფრო „მამრობითი“ ინდუსტრიაა ამერიკაში. მეტიც, დოტ-კომის გასკდომის შემდეგ ქალ პარტნიორთა რიცხვი ვენჩურულ კაპიტალში შემცირდა: თუ 1999-ში მათი წარმომადგენლობა 10% იყო, Babson College-ის გამოკითხვის თანახმად, 2014-ში 6% გახდა. მართალია, დღეს ეს მაჩვენებელი 9%-ზე ავიდა, აშშ-ის ვენჩურული ფონდების 74%-ში გადაწყვეტილების მიმღებებს ქალები არ წარმოადგენენ, ხოლო უმსხვილესი ფონდების 53%-ში მდედრ ინვესტორებს საერთოდ ვერ ნახავთ. თუ ლის გუნდი იპოვის გზას, ამ ბიჭების კლუბში გრძელვადიანი ცვლილებები შეიტანოს, მაშინ ის შესაძლოა, მთელი მსოფლიოს კონსერვატიული ინდუსტრიებისთვის ნიმუშად იქცეს.

ლის თავს მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა. ის და კიდევ ოთხი ქალი მისი პირველი ი-მეილის ჯგუფიდან მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილ ვენჩურ-კაპიტალისტთა შორის არიან. ვგულისხმობთ ანა მიურა-კოს (55-ე წლევანდელ მიდასის რეიტინგში), კირსტენ გრინს (77-ე) და თერეზია გოუვს (89-ე).

ჯგუფში სხვა ამომავალი ვარსკვლავებიც შედიოდნენ, მაგალითად, Sequoia-ს ჯეს ლი, Union Square-ის რებეკა კადენი და სარა ტაველი Benchmark-იდან. ანტრეპრენიორული კაპიტალიზმისა და თავისუფალი საწარმოოს ქომაგთა რანგში, ამ ქალებმა იცოდნენ, რომ თუ – უფრო მეტი ქალი დამფუძნებლის დაფინანსებითა და მეტი ქალი ინვესტორის მენტორობის გზით – ინდუსტრიაზე გარკვეულ ბერკეტებს მოიპოვებდნენ, მათი უგულებელყოფა შეუძლებელი გახდებოდა. ძალაუფლების სტრუქტურის გაპროტესტებას შესაძლოა, ერთდღიანი ჰედლაინები მოჰყვეს. ამდენად, ათწლეულების მანძილზე ცვლილების დასაჩქარებლად, თავად უნდა გამხდარიყვნენ ძალაუფლების სტრუქტურა.

ჯგუფმა, რომელსაც All Raise-ი ჰქვია და რომელიც ახლა 36 ქალს აერთიანებს, Forbes-ი ექსკლუზიურად ჩაახედა ინდუსტრიის „რეცეპტების წიგნის“ გადაწერის პროცესში. გაცხადებული მისია ვენჩურ-კაპიტალის ფირმებში ქალი პარტნიორების პროცენტული მაჩვენებლის გაორმაგებაა მომდევნო ათი წლის განმავლობაში და ხუთ წელიწადში ქალი დამფუძნებლებისთვის ვენჩურ-დაფინანსების 15%-დან 25%-მდე გაზრდა. All Raise-ი უკვე მოგვევლინა უხილავ ხელად მრავალფეროვნებაზე ორიენტირებულ ორ ყველაზე მსხვილ აქტივობაში, რასაც კი ბოლო თვეებში ტექნოლოგიის სფეროში ჰქონია ადგილი. ლაპარაკია მენტორულ სერიებზე, სახელად Female Founder Office Hours-სა და 700 სტარტაპის მიერ დადებულ პირობაზე, Founders for Change-ზე, რომელიც მრავალფეროვნების გაღვივებას ეხება და რომელშიც ისეთი ტექნოლოგიური მილიარდერები მონაწილეობენ, როგორებიც არიან Instagram-ის დამფუძნებელი კევინ საისტრომი და Dropbox-ის აღმასრულებელი დირექტორი დრიუ ჰიუსტონი.

All Raise-ის საშუალებით ორმა სტარტაპმა უკვე მოიპოვა დაფინანსება. Female Founder-ის ღონისძიებაზე გამართული შეხვედრის წყალობით, საწყის საინვესტიციო რაუნდზე, საგანმანათლებლო დანაზოგების სერვისმა CollegeBacker-მა $75,000 მოიზიდა, ხოლო უძრავი ქონების პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელმა, სწრაფად მზარდმა Agentology-მ $12 მილიონი მოიზიდა რაუნ-

ჯეს ლი, 35

პარტნიორი, SEQUOIA CAPITAL
განკარგული აქტივები: $8 მილიარდი (შეფასებული)
აღსანიშნავი გარიგებები: DIA & CO, TUNEIN

კომერციული საიტი Polyvore-ის შექმნისა და მერე მისი Yahoo-სთვის $230 მილიონად მიყიდვის თანმხლები „ამერიკული მთების“ შემდეგ, ჯეს ლი ამბობს, რომ, როგორც „დების“ ინვესტორს, ძალიან ახარებს სხვა ქალი დამფუძნებლების დაფინანსება. „არ მაქვს პრობლემა, თუ გოგოური რამეების ინვესტორად ვიქნები ცნობილი, – ამბობს ის. – ჩემი აზრით, მათ ბევრი ფულის გაკეთება შეუძლიათ“.

კირსტენ გრინი, 46

77-ე მიდასის რეიტინგში

დამფუძნებელი, FORERUNNER VENTURES

განკარგული აქტივები: $300 მილიონი

აღსანიშნავი გარიგებები: DOLLAR SHAVE CLUB, JET.COM, GLOSSIER

სანამ All Raise-ს არ შეუერთდა, კრისტენ გრინი ბოლომდე ვერ აცნობიერებდა, რამდენად ბევრი „მიკროაგრესიის“ ატანა უწევდა კარიერის მანძილზე; მაგალითად, მის რჩევას უგულებელყოფდნენ, ლაპარაკს არ აცდიდნენ და გამუდმებით აწყვეტინებდნენ სიტყვას. „ყველამ იცის, რომ ცვლილება საჭიროა. და უამრავ ადამიანს უნდა ეს ცვლილება, – ამბობს ის, – და ალბათ მოხდება კიდეც, იმიტომ რომ, ბოლო-ბოლო, დავიჭირეთ ხელში მეგაფონი და რაღაც გავაკეთეთ – რეალური მოქმედება“.

დზე, რომელსაც All Raise-ის ერთ-ერთი წევრი უძღვებოდა (All Raise-ის სხვა წევრის რჩევით). და დაინტერესებულ ქალ ტექნოლოგიურ ლიდერთა (ათობით ძლიერი და მზარდი ლიდერის) კერძო მონაცემთა ბაზის მეშვეობით, ეს ჯგუფები არა მხოლოდ იმას აჩვენებენ, რომ ფირმები, რომლებიც ამბობენ, ქალებს ვერ ვპოულობთო, ცდებიან, არამედ ცვლილების აქტიური მონაწილენიც არიან.

რამდენიმეთვიანი ანონიმურობის შემდეგ All Raise-ის წევრები გასაჯაროებას იწყებენ. როცა მელინდა გეიტსმა ინდუსტრიის შესწავლა დაიწყო, რათა ენახა, ვის ჰქონდა ყველაზე პერსპექტიული გეგმები მრავალფეროვნებასა და ინკლუზიასთან დაკავშირებით, მისი ყურადღება All Raise-მა მიიქცია. გუნდი მის პირად ოფისთან, Pivotal Ventures-თან მოლაპარაკებებს აწარმოებს, რათა ამ მხარდაჭერას ფორმალური სახე მიეცეს. All Raise-ს $2 მილიონს არიან დაპირებულნი ისეთი მხარდამჭერები, როგორიც, მაგალითად, Silicon Valley Bank-ია.

როგორც წარმატების საწყის ეტაპზე მყოფი ნებისმიერი სტარტაპი, All Raise-იც გარკვეული რისკების წინაშეა. მისმა მოხალისე წევრებმა კარგად უნდა აწონ-დაწონონ და თავიდან აირიდონ გადაწვის საშიშროება, იმგვარ ინდუსტრიაში მუშაობას რომ ახლავს, რომელიც ცვლილებებისადმი რეზისტენტულობით არის ცნობილი. წარმატებას თუ მოიპოვებენ, All Raise-ის წევრებს ექნებათ შანსი, არა მარტო თვალი აუხილონ ინდუსტრიას, არამედ ცეცხლი შეუნთონ ამერიკული ბიზნესის ტრანსფორმაციას, სადაც საჯარო ბაზარზე ბრუნვადი უდიდესი კომპანიების მხოლოდ (!) 6%-ს მართავენ ქალები.

თებერვალია, ALL RAISE-ის

არაფორმალური შეხვედრა სან-ფრანცისკოში მიმდინარეობს. მედჰა აგარვალი ენერგიულად უხდის მადლობას თანამასპინძელსა და კოლეგა-ვენჩურულ კაპიტალისტს, Canaan-ის პარტნიორ მაჰა იბრაჰიმს, რომელიც $800-მილიონიანი ფონდიდან ინვესტიციას ახორციელებს.

ოთხ საათზე მეტი დროის განმავლობაში აგარვალი და კიდევ 92 ქალი ისმენენ იბრაჰიმის, ეილინ ლის, მიურა-კოსა და სხვათა გამოსვლებს, რომლებიც დეტალურად ჰყვებიან ყველაფერს, დაწყებული იმით, თუ როგორ უნდა წარდგე პარტნიორულ შეხვედრაზე, იმით დამთავრებული, თუ როდის უნდა შეიცვალო ფირმა. აგარვალი, რომელიც საშუალო რგოლის ხელმძღვანელია Redpoint Ventures-ში - მენლო-პარკში დაფუძნებულ $4-მილიარდიან აქტივთა

ეილინ ლი, 48

97-ე მიდასის რეიტინგში

დამფუძნებელი, COWBOY VENTURES
განკარგული აქტივები: $100 MILLION
აღსანიშნავი გარიგებები: BLOOM ENERGY, DOLLAR SHAVE CLUB, RENT THE RUNWAY

ეშინოდა, რომ სერიოზულად არ მიუდგებოდნენ, ამიტომ ეილინ ლი, ვენჩურ-კაპიტალის ინდუსტრიაში გატარებული პირველი ათი წლის მანძილზე, MIT-ის ბეჭედსა და სათვალეს ატარებდა, რომელიც არც კი სჭირდებოდა. „თავიდან სულ ის შეგრძნება მქონდა, რომ არ ვიმსახურებდი ამას, რომ უბრალოდ ჩემი საქმე უნდა მეკეთებინა და მეცადა, სამსახურიდან არავის გავეშვი“, – ამბობს ის. ახლა მოძრაობის შექმნას ცდილობს, რომელიც „მეტია, ვიდრე ტვიტები“. უფრო ზუსტად,მას გრძელვადიანი ცვლილებების დანერგვა უნდა: „როცა ვენჩურ-კაპიტალის ფირმაში შედიხარ, თავი ისე არ უნდა იგრძნო, თითქოს *‚შეშლილ კაცებში‘* შედიოდე“.

მაჰა იბრაჰიმი, 47

გენერალური პარტნიორი, CANAAN
განკარგული აქტივები: $5 მილიარდი
აღსანიშნავი გარიგებები: KABAM, THE REALREAL

მაჰა იბრაჰიმს არასდროს დაავიწყდება, მამრობითი სქესის ვენჩურ-კაპიტალისტმა მას ფირმის საკადრო სტრატეგია რომ გაუზიარა. მათ, ამ კაცის თქმით, იცოდნენ, რომ ქალები უნდა აეყვანათ, მაგრამ არ სურდათ „ელენ პაოს სიტუაციაში“ თავის გაყოფა – იგულისხმება მათი ყოფილი ვენჩურ-კაპიტალისტი, რომელმაც 2012 წელს, სექსუალური შევიწროების გამო, წარუმატებლად უჩივლა სასამართლოში თავის ყოფილ ფირმას, Kleiner Perkins Caufield & Byers-ს. იბრაჰიმის კოლეგა კაცი ამბობდა, რომ მის მიერ არჩეული გამოსავალი ქალების უმცროს პოზიციებზე დასაქმება იყო, დაწინაურების ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე. „თავზარი დამეცა. იმ ღამეს ვერ დავიძინე“, – ამბობს იბრაჰიმი. All Raise-თან ერთად, ის ახლა იმაზე მუშაობს, რომ ინდუსტრიაში შესულ ქალებს კიბის ყველა საფეხურზე ჰქონდეთ მხარდაჭერა. – თუ ამ დონის მხარდაჭერით ამ ქალებს წარმატების შანსი არ მიეცემათ, მაშინ ეს, სამწუხაროდ, წარუმატებელ ექსპერიმენტად დარჩება“.

ფირმაში - სასიამოვნო აღელვებისგან ანათებს და გეგმას ავითარებს, თუ როგორ უნდა აამუშაო All Raise-ის მოდელი მისნაირი, შედარებით უმცროსი თანამდებობის, პროფესიონალებისთვის. „უფროსი თანამდებობის ქალებმა უამრავი შავი სამუშაო გასწიეს ჩვენთვის“, - ამბობს ის.

მსგავს ღონისძიებებზე მოპოვებული კავშირების მეშვეობით, All Raise-ი ქმნის მხარდაჭერის სისტემას ისეთი ქალებისთვის, როგორიც აგარვალია, იმ ქალებისთვის, რომლებიც აკლდნენ ვენჩურ-კაპიტალის უახლეს წარსულს.

Google Ventures-ის ყოფილმა პარტნიორმა შანა ტელერმანმა მხოლოდ ორი წელი გაძლო ვენჩურ-ინდუსტრიის ბიჭების კლუბში. „ვიჯექი პირველ [პარტნიორულ] შეხვედრაზე და მაშინვე ვიგრძენი, რომ რაღაც არ იყო რიგზე“, - ამბობს ის. ტელერმანმა თანამდებობა

ჯენი ლეფკურტი, 49

პარტნიორი, FREESTYLE CAPITAL
განკარგული აქტივები: $230 მილიონი
აღსანიშნავი გარიგებები: MINTED, STYLESEAT

„თეორია, რომელიც ერთხელ გამიზიარეს, იმაში მდგომარეობდა, რომ ვენჩურ-კაპიტალის ფირმებს ე.წ. ნიმუშთან შეხამების იდეა ხიბლავთ, – ამბობს ჯენი ლეფკურტი. – აი, მოვიდა კაპიუშონიანი ცუკერბერგი და სწორედ მისი ძიება დაიწყო ყველამ“. ლეფკურტის გამოსავალი: დაბანდეთ მეტი ქალებში, როგორც თავად მოიქცა Minted-ისა და StyleSeat-ის შემთხვევაში. „მონაცემები ძალიან კონკრეტულია და აჩვენებს, რომ მრავალფეროვნება პირდაპირ კორელაციაშია დადებით შედეგებთან“.

ან მიურა-კო, 41

55-ე მიდასის რეიტინგში

თანადამფუძნებელი, FLOODGATE
განკარგული აქტივები: $500 მილიონი
აღსანიშნავი გარიგებები: LYFT, REFINERY29, XAMARIN

როცა ან მიურა-კო Floodgate-ს შეუერთდა, ერთმა ცნობილმა დამფუძნებელმა, რომელიც მოგვიანებით Stanford-ის პროფესორი გახდა, მას უთხრა, სადოქტორო დისერტაცია დაასრულეო. „სანდოობას შეგმატებს, რომელიც, შესაძლოა, იფიქრო, რომ გჭირდება“, – იხსენებს მიურა-კო ამ ადამიანის სიტყვებს. დღეს ის ქალებს წვრთნის, ვენჩურ-კაპიტალის ფირმებში გასაუბრება შედეგიანად რომ გაირონ. „მაგარი ქალი ინვესტორი – სწორედ ის იყო, რაც არასდროს მინდოდა, ვყოფილიყავი, – ამბობს იგი. – ნიშნავს ეს იმას, რომ ისეთ რამეებში ვაბანდებ ფულს, რაზეც უნიკალური ხედვა მაქვს? კი. ქალებთან დაკავშირებულ აქტივობებში ვებმები? კი. ნიშნავს ეს იმას, რომ ამ ნიშნით მინდა, განმსაზღვრონ? არა. ფაქიზი სხვაობაა“.

მიატოვა, სახლის დიზაინის სტარტაპი Modsy დააარსა და, ფირმები თავიანთ გენდერულ პროპორციებს თუ არ შეცვლიან, ვენჩურულ სექტორში დაბრუნებას არც კი განიხილავს.

ქალების შენარჩუნების პრობლემა მხოლოდ ვენჩურ-კაპიტალის თავის ტკივილი როდია. ტექნოლოგიის სფეროში ქალები კარიერას ორჯერ უფრო ხშირად ანებებენ თავს, ვიდრე კაცები: Harvard Business Review-ს ანგარიშის თანახმად, იმ დროისთვის, როცა ქალები საშუალო რგოლის პოზიციას მიაღწევენ, მათი 56% საქმიდან მიდის.

ფინანსურ სექტორში ამ პრობლემას ამძაფრებს ფირმათა წარუმატებელი მცდელობები, ახალი ქალები დაიქირაონ. ისტორიულად, ვენჩურული ფირმები ბრალს კვალიფიკაციაში ეძებენ, რაც 2015-ში, ავადგანთქმულად, ვენჩურ-კაპიტალის მილიარდერმა მაიკლ მორიცმა გა-

ახმოვანა: ფირმები, მისი თქმით, სიამოვნებით აიყვანდნენ ქალებს, კვალიფიციური ქალი კანდიდატების დეფიციტი რომ არ იყოს. „ჩვენ არ ვართ მზად, სტანდარტები ქვემოთ დავწიოთ“, – განაცხადა მან.

ქალები All Raise-ში ამას არ ჭამენ. ისინი მოქმედებაზე არიან გადასულები. სამუშაო ჯგუფმა, რომელშიც არიან მიურა-კო და სტეფანი პალმერი $ 305-მილიონიანი აქტივების ფირმა Uncork Capital-იდან, კონფიდენციალური მონაცემთა ბაზა შექმნა აღმასრულებელი ქალებისა ვენჩურ-კაპიტალის ინდუსტრიის მიღმა, რომლებიც არ ასაჯაროებენ, მაგრამ ვენჩურკაპიტალისტობა აინტერესებთ. სამუშაო ჯგუფი ვაკანტურ პოზიციებსაც ადევნებს თვალს. ამას წინათ მან უკვე ათი ფირმისგან მიიღო შეთავაზება და 25 გასაუბრებაზე წაიყვანა მის სიაში შესული ქალები. „იმ საკითხს საერთოდ გამოვრიცხავთ, თითქოს არ იცით, ვისი დაქირავება გინდათ“, – ამბობს პარტნიორი ნიუიორკული ფირმა Union Square Ventures-იდან, რომელიც Tumblr-სა და Twitter-ზე დადებული ადრეული ფსონებით არის ცნობილი.

ცვლილების განსახორციელებელი კიდევ ერთი გზა მომხმარებელს უკავშირდება. McDonald's-ს მანამდე არ განუახლებია მენიუ, სანამ რეგულარულმა კლიენტებმა, თავიანთი დოლარების სანაცვლოდ, უფრო ჯანმრთელი საკვები არ მოითხოვეს, – აღნიშნავს ჯენი ლეფკურტი, პარტნიორი $230-მილიონიანი აქტივების განმკარგავი საწყისი ინვესტიციების ფირმა Freestyle Capital-იდან. უფრო ახალ მაგალითს სკოლებში მომხდარი სროლებით გამოწვეული საზოგადოებრივი პროტესტი წარმოადგენს, რამაც Walmart-ი და Dick's Sporting Goods-ი აიძულა, იარაღის გაყიდვის თავიანთი წესები შეეცვლათ.

ვენჩურ-კაპიტალის სფეროში მომხმარებლები ანტრეპრენიორები არიან, რომლებიც ჩეკებს იღებენ. All Raise-ს არ დაუყოვნებია და მათი შეცვლილი პრიორიტეტები შესაძლებლობად გამოიყენა. იანვარში ლეფკურტი და ეილინ ლი დამფუძნებლების დარწმუნებას შეუდგნენ, რომ ამ უკანასკნელთ საჯაროდ ესაუბრათ თანამშრომელთა აყვანის დროს, დირექტორთა საბჭოებსა და დაფინანსებაში მრავალფეროვნების მნიშვნელობაზე.

ჯ.პ. განი

იდეალური გამოსახულება

მისი სწრაფი აღზევება მიდასის რეიტინგის ტოპ-ათეულში მისი ინვესტიციების დამსახურებაა სურათების რედაქტირების აპლიკაცია Meitu-სა და ელ-ვაჭრობის პლატფორმა Meituan-Dianping-ში. – ა. ნეპი

18 მარტს 400-ზე მეტმა ანტრეპრენიორმა – მათ შორის, Airbnb-ის მილიარდერმა აღმასრულებელმა დირექტორმა ბრაიან ჩესკიმ და Warby Parker-ის თანააღმასრულებელმა დირექტორმა ნილ ბლუმენტალმა – მხარდაჭერის გამოცხადების მიზნით, სოციალური მედია შავ-თეთრი ფოტოებით წალეკა.

რობ ჰეიზი

Uber-ის ჯეკპოტი

როცა ჰეიზმა პირველად მოსინჯა Uber-ი, კომპანიას მხოლოდ მოთხოვნებზე მომუშავე ძვირფასი შავი მანქანების სერვისი ჰქონდა, ხოლო ტრევის კალანიკი ჯერ არც კი იყო აღმასრულებელი დირექტორი. მაგრამ ჰეიზმა პოტენციალი დაინახა და Uber-ის პირველ საწყის საინვესტიციო რაუნდს – $500,000-მილიონიან First Round-ს – გაუძღვა, რა დროსაც კომპანია $4 მილიონად იქნა შეფასებული. იანვარში ჰეიზმა ამ წილის თითქმის 40% ფულად აქცია; ეს ე.წ. მეორეული შეთავაზების დროს ხდებოდა, როცა Uber-ის ღირებულება უკვე $48 მილიარდად შეფასდა. – ბ.ქ.

შედეგები მყისიერი იყო. ხელოვნების კრაუდფანდინგის ცხელ-ცხელ საიტ Patreon-ში, აღმასრულებელმა დირექტორმა ჯეკ კონტემ თავის უახლეს ინვესტორს, Thrive Capital-ს სთხოვა, საბჭოში თავისი ადგილი დაეთმო და, სანაცვლოდ, და-

პოზიცია სახელი /2017
წლის პოზიცია ფირმა
აღსანიშნავი გარიგება

1 ნილ შენი /11
SEQUOIA CAPITAL CHINA
Alibaba

2 ბილ გერლი /7
BENCHMARK
Uber

3 ჰიმ გოეცი /1
SEQUOIA CAPITAL
WhatsApp

4 კარლ გორდონი /8
ORBIMED
Acerta

5 რობერტ ნელსენი /16
ARCH VENTURE PARTNERS
Juno Therapeutics

6 მერი მიკერი /6
KLEINER PERKINS CAUFIELD & BYERS
Airbnb

7 პიტერ ფენტონი /3
BENCHMARK
Docker

8 ჯ.პ. განი /30
QIMING VENTURE PARTNERS
Meitu

9 დაგლას ლეონი /9
SEQUOIA CAPITAL
ServiceNow

10 ბრაიან სინგერმენი /5
FOUNDERS FUND
Stemcentrx

11 ერიკ პალი /31
FOUNDER COLLECTIVE
Uber

12 მაიკ მეიპლს უმცროსი /20
FLOODGATE
Okta

13 კუი ჟოუ /25
SEQUOIA CAPITAL CHINA
New Dada

14 როელოფ ბოთა /34
SEQUOIA CAPITAL
Square

15 ბაირონ დიტერი /39
BESSEMER VENTURE PARTNERS
Twilio

16 სკოტ სენდელი /24
NEW ENTERPRISE ASSOCIATES
MuleSoft

17 რობ ჰეიზი /21
FIRST ROUND CAPITAL
Uber

18 დენის ფელპსი /45
INSTITUTIONAL VENTURE PARTNERS
Snap

19 ჭოშ კოპელმანი /35
FIRST ROUND CAPITAL
Flatiron Health

20 ჰანს ტუნგი /19
GGV CAPITAL
Musical.ly

21 ნირაჯ აგარვალი /17
BATTERY VENTURES
Coupa

22 ჯო ლონსდეილი /88
8VC
Wish

23 ქსიაოჰუნ ლი /13
IDG CAPITAL
Xiaomi

24 ქსიაო პინ ქსუ /72
ZHENFUND
Meicai

25 ჯეფრი ჰორდანი /18
ANDREESSEN HOROWITZ
Airbnb

მოუკიდებელი დირექტორი დაენიშნათ, რომელიც საბჭოს მეტ მრავალფეროვნებას შესძენდა. Thrive-ი დათანხმდა - ადგილი Chicago Public Media-ს შეფს, გოლი შეიხოლესლამის ერგო. მედიტაციის პოპულარული აპლიკაციის, Headspace-ის აღმასრულებელი დირექტორი რიჩ პიერსონი კი ამბობს, რომ აღარასდროს მოიზიდავს ფულს ექსკლუზიურად თეთრკანიანი კაცებით დაკომპლექტებული ფირმისგან.

Headspace-ის პირობა გამაფრთხილებელი გასროლაა. მაგრამ All Raise-ის პარტნიორებმა - სულით ხორცამდე კაპიტალისტებმა - იციან, რომ სიხარბით მოტივირება უფრო ეფექტიანი იქნება, ვიდრე შიშით. ისინი ამბობენ, რომ მრავალფეროვანი პარტნიორობის გარეშე, ინვესტორები რისკის ქვეშ აყენებენ თავს, ხელიდან გაუშვან ახალი კატრინა ლეიკი - ელ-ვაჭრობის კომპანია Stitch Fix-ის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი. ლეიკს ხოტბას იმის გამო ასხამენ, რომ ლამის $1 მილიარდს მიაღწია შემოსავლების სახით და კომპანია საჯარო ბაზარზე გაიტანა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ $42 მილიონის ტოლფასი ვენჩურული ნაღდი ფულის მოზიდვა შეძლო, თუმცა თავად ამბობს, რომ ეს განზრახ არ გაუკეთებია - სიხარულით მოიზიდავდა მეტ ფულს. პრობლემა ის იყო, რომ მას ამ ფულს არავინ სთავაზობდა. „მოდი, გულწრფელები ვიყოთ. ამ სიტუაციაში იძულებით ამოვყავით თავი და ჩვენი მაქსიმუმიც გავაკეთეთ“, - ამბობს ლეიკი.

ქალების მიერ მართული ბიზნესები ანტრეპრენიორულ სამყაროში ყველაზე სწრაფად მზარდი სეგმენტებია. American Express-ის ანგარიშის თანახმად, 2007-დან 2016 წლამდე, ქალების მფლობელობაში არსებული ბიზნესების რიცხვი 45%-ით გაიზარდა. მაგრამ ქალებს კვლავ მხოლოდ პატარა ულუფა ერგებათ ვენჩურ-კაპიტალის ტორტიდან. PitchBook-ის თქმით, ქალების მიერ თანადაფუძნებული სტარტაპები გასულ წელს მოზიდული კაპიტალის მარტო 15%-ს შეადგენდა. Harvard-ის 2014 წლის კვლევის მიხედვით, კაცები და ქალები დაფინანსების მისაღებად ზუსტად ერთსა და იმავე იდეებს ყიდდნენ, თუმცა კაცები გაცილებით დიდი ალბათობით იღებდნენ საინვესტიციო წინადადებებს.

პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა All Raise-ისთვის დამფუძნებლებთან შეხვედრებია ადრეულ ეტაპზევე, რათა ისინი უფრო დროული მხარდაჭერით უზრუნველყონ. გუნდის ყველაზე საჯარო მცდელობას, ჯერჯერობით, პოპულარული სერიები, Female Founder Office Hours-ი წარმოადგენს, რომელიც პირისპირ შეხვედრებს აწყობს ქალ ანტრეპრენიორებსა და ინვესტორებს შორის, რათა სტარტაპებთან დაკავშირებული შიში გაქრეს და ფინანსების მოძიებასთან დაკავშირებული რჩევების გაზიარება მოხდეს. ნოემბრიდან მოყოლებული, ღონისძიებები იმართება ნიუიორკში, ბოსტონში, ლოს-ანჯელესსა და სან-ფრანცისკოში (ორჯერ). პირველ ორ ღონისძიებაზე არსებული 80 ადგილის მოსაპოვებლად 800-ზე



ალფრედ ლინი

რა სურთ მყიდველებს?

აწ უკვე ინვესტორად ქცეული Zappos-ის ყოფილი ოპერაციული დირექტორი დიდი სამომხმარებლო ჰიტების იღბლიან ტალღაზე ზის. ის Airbnb-ის, საკვების მიტანის აპლიკაცია DoorDash-ისა და ინტერიერის დიზაინის ვებგვერდ Houzz-ის საბჭოების წევრია. გასულ წელს სამივემ მასიური ოდენობის კაპიტალი მოიზიდა: $1 მილიარდი – Airbnb-მ, $535 მილიონი – DoorDash-მა და $400 მილიონი – Houzz-მა. *–ბ.ქ.*

რავი მჰატრე

მასთან არს ძალა

მჰატრე რეიტინგში MuleSoft-ში განხორციელებული ინვესტიციის წყალობით გაიჭრა წინ – საწარმოო პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელში, რომელიც მარტში Salesforce-მა $6.5 მილიარდად იყიდა. მჰატრე მსხვილი ინვესტორი გახლდათ AppDynamics-შიც – აგრეთვე საწარმოო პროგრამული უზრუნველყოფის ფირმაში, რომელიც $3.7 მილიარდად შარშან Cisco-მ შეიძინა. *– ა. ნეპი*

პოზიცია სახელი /2017
წლის პოზიცია ფირმა
აღსანიშნავი გარიგება

26 ტონი ფლორენსი /75
NEW ENTERPRISE ASSOCIATES
Jet.com

27 სტივ ანდერსონი /4
BASELINE VENTURES
Stitch Fix

28 ბრაიან რობერტსი /58
VENROCK
10X Genomics

29 ჯონ დოერი /29
KLEINER PERKINS CAUFIELD & BYERS
Twitter

30 სამირ განდი /23
ACCEL
Dropbox

31 რებეკა ლინი /44
CANVAS VENTURES
Lending Club

32 ალფრედ ლინი /22
SEQUOIA CAPITAL
Airbnb

33 ენტონ ლევი /26
GENERAL ATLANTIC
Alibaba

34 სკოტ შლეიფერი /59
TIGER GLOBAL MANAGEMENT
Despegar

35 ვინოდ ხოსლა / დაბრუნებული
KHOSLA VENTURES
Square

36 დევენ პარეხი /99
INSIGHT VENTURE PARTNERS
Yext

37 შაილენდრა სინგჰი / ახალი
SEQUOIA CAPITAL (INDIA) SINGAPORE
PT Go-Jek Indonesia

38 მარკ ანდრეესენი /27
ANDREESSEN HOROWITZ
Samsara

39 ჯერემი ლიე /32
LIGHTSPEED VENTURE PARTNERS
Snap

40 მიჩ ლასკი /40
BENCHMARK
Snap

41 ჯერემი ლევინი /54
BESSEMER VENTURE PARTNERS
Pinterest

42 ალენ ჟუ /84
GSR VENTURES
DiDi Chuxing

43 ლი ფიქსელი /79
TIGER GLOBAL MANAGEMENT
Spotify

44 ჯიმ ტანენბაუმი /52
FORESITE CAPITAL
10X Genomics

45 რაიან სვინი /60
ACCEL
Qualtrics

46 რავი მჰატრე /76
LIGHTSPEED VENTURE PARTNERS
AppDynamics

47 ჰემანტ ტანეჯა /70
GENERAL CATALYST
Stripe

48 ჯონათან სილვერსტეინი /55
ORBIMED
Ascendis Pharma

49 დევიდ კოვანი /65
BESSEMER VENTURE PARTNERS
Twitch

50 მეტ კოლერი /57
BENCHMARK
Tinder

მეტი ქალი დარეგისტრირდა. ქალებისთვის განკუთვნილი სამუშაო რეიტინგების საიტის, ჩრდილო კაროლინაში მდებარე InHerSight-ის დამფუძნებელმა ურსულა მიდმა, თებერვლის Office Hours-ზე დასწრების შემდეგ, უმალ შეიტანა ცვლილებები ინვესტორთათვის გამიზნულ ბიზნესგეგმის პრეზენტაციაში. „ძალიან დიდ თავდაჯერებულობას გმატებს იმის გაცნობიერება, რომ სწორ საქმეს აკეთებ“.



ჯეფ ჰორინგი

მონაცემთა საჭეთმპყრობელი

MIT-ის კურსდამთავრებული, ჰორინგი, მონაცემების, ანალიტიკისა და საწარმოო პროგრამული უზრუნველყოფის ბიზნესებზეა კონცენტრირებული. მან ფული ვებგვერდის შემქნელ პლატფორმა Wix-სა და Shutterstock-ში ჩადო (დღეს ორივე საჯარო ბაზარზე ბრუნავს), ივლისში კი $75-მილიონიან Series D რაუნდს გაუძღვა კემბრიჯის უნივერსიტეტის მათემატიკოსთა მიერ შექმნილი კიბერუსაფრთხოების ფირმა Darktrace-ისთვის. — ი.ბ.

როცა ALL RAISE-ის წევრები პირველად გამოეხმაურნენ ეილინ ლის მოწოდებას მოქმედებისკენ, ჰარვი ვაინშტეინი კვლავ ბობოქრობდა ჰოლივუდში, მეტ ლაუერი კი NBC-ის ტალღებზე. ასე რომ, თუ ისეთი ინდუსტრიები, როგორიც შოუბიზნესი და მედიაა, თავიანთი შევიწროებისა და სექსიზმის მტკივნეულ დინამიკას ახლა უსწორებენ თვალს, All Raise-ი რამდენიმე ნაბიჯით წინ არის.

მარტში წევრებმა შეზღუდულ პარტნიორებს – ინსტიტუციებსა და ფონდებს, ვენჩურ-კაპიტალის ფირმებში რომ აბანდებენ ფულს – მოუწოდეს, საკუთარი მრავალფეროვნების გეგმები შეემუშავებინათ. ისინი Female Founder Office Hours-ის ვიდეოსესიებს ქმნიან ისე, რომ დამფუძნებლებს ნებისმიერ ადგილას შეუძლიათ, მათ მხარდაჭერასთან ჰქონდეთ წვდომა. ხოლო შემოდგომაზე, იმედი აქვთ, დიდ კონფერენციას უმასპინძლებენ სხვადასხვა ვენჩურ-პოზიციის ქალებისათვის.

ამ ეტაპზე ისინი მოხალისეებად, სამუშაო საათების შემდეგ მუშაობენ, თუმცა, თუ All Raise-ს უნდა, რომ თავი გაიტანოს, ამ მხრივ განვითარება მოუწევს. გამოფიტვა შესაძლოა, სერიოზულ პრობლემად იქცეს, როცა ადამიანები, პრაქტიკულად, ორ სამსახურში მუშაობენ – რაღაც ისეთს აკეთებენ, რასაც Spark Capital-ის მეგან ქუინი „გენდერულ ხარკს“ უწოდებს. მაგრამ სცენაზე Silicon Valley Bank-ი და მელინდა გეიტსი შემოდიან. ინვესტორების მიერ უკვე დაპირებული $2 მილიონის (და კიდევ პროცესში მყოფი დამატებითი თანხების) კვალდაკვალ, All Raise-ი აღმასრულებელი დირექტორისა და სრულ განაკვეთზე მომუშავე პერსონალის აყვანას გეგმავს. გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტი, განსაზღვრული პასუხისმგებლებით, გუნდის ზოგიერთ წევრს, როგორებიც ეილინ ლი და ჯეს ლი არიან, საშუალებას მისცემს, ჯგუფურ ძალისხმევებს უხელმძღვანელოს, სხვებმა კი უფრო რიგითი ფუნქციები შეითავსონ.

ბეტ სეიდენბერგი

წარმატების მიქსტურა

მას მერე, რაც 13 წლის წინ Kleiner Perkins-ს შეუერთდა, სეიდენბერგი — ექიმი და ყოფილი სამედიცინო დირექტორი Amgen-ში — ფირმის შიდა ბიოტექნოლოგიურ ექსპერტად იქცა. აი, მისი ზოგიერთი დიდი აღმოჩენა: Flexus Bio sciences-ი (2015-ში, ის Bristol-Myers Squibb-მა $1.25 მილიარდად იყიდა) და იშვიათი დაავადებების სპეციალისტი True North Therapeutics-ი (სანამ მის ახალ მშობელ კომპანიას Sanofi შეიძენდა, შარშან დაახლოებით $400 მილიონად Bioverativ-ს მიეყიდა). — ი.ბ.

როგორც სხვა ინდუსტრიების შემთხვევაში ხდება ხოლმე, წარმატება აქაც ეტაპობრივი იქნება. Forbes-ი კაცების მიერ მართული 50 ვენჩურული ფირმის 125 პარტნიორს დაუკავშირდა და ჰკითხა, რას ფიქრობდნენ მრავალფეროვნებისა და სამსახურში აყვანის გეგმებზე. უმეტესობა არ გამოგვხმაურებია. მაგრამ 20 ფირმის

პოზიცია სახელი /2017
წლის პოზიცია ფირმა
აღსანიშნავი გარიგება

51 ენდრიუ ბრაჩია /64
ACCEL
Slack

52 იური მილნერი /15
DST GLOBAL
Airbnb

53 აიდინ სენკუტი /51
FELICIS VENTURES
Adyen

54 ჯეფ ჰორინგი /83
INSIGHT VENTURE PARTNERS
Darktrace

55 ან მიურა-კო /77
FLOODGATE
Lyft

56 გორავ გარგი /48
WING VENTURE CAPITAL
FireEye

57 ჯიმ ბრეიერი /10
BREYER CAPITAL
Etsy

58 დევიდ ვეიდენი /95
KHOSLA VENTURES
Instacart

59 ჯეიმს მი /ახალი
LIGHTSPEED VENTURE PARTNERS
Rong360

60 ფრენკ როტმენი /ახალი
QED INVESTORS
Credit Karma

61 ერჰაი ლიუ /დაბრუნებული
JOY CAPITAL
Mobike

62 ბეტ სეიდენბერგი / დაბრუნებული
KLEINER PERKINS CAUFIELD & BYERS
Flexus Biosciences

63 ფრედ უილსონი /42
UNION SQUARE VENTURES
Coinbase

64 ჰერსტ ლინი /50
DCM
58.com

65 ჯეფრი ლიბერმანი / დაბრუნებული
INSIGHT VENTURE PARTNERS
DeliveryHero

66 კლაუს ჰომელსი / დაბრუნებული
LAKESTAR
Spotify

67 პიტერ ტილი /12
FOUNDERS FUND
Palantir

68 ბენ ჰოროვიცი /47
ANDREESSEN HOROWITZ
Okta

69 ჯოელ ე. კატლერი /49
GENERAL CATALYST
Lemonade

70 ბრაიან შრეიერი /97
SEQUOIA CAPITAL
Dropbox

71 ტოდ ჩაფი /61
INSTITUTIONAL VENTURE PARTNERS
Twitter

72 კევინ კომოლი /36
ACCEL
SimpliVity

73 ი ი ცაო /ახალი
SOURCE CODE CAPITAL
Bytedance

74 ჯენი ლი /69
GGV CAPITAL
YY

75 მაიკლ ეიზენბერგი / დაბრუნებული
ALEPH
WeWork

ლიდერებმა გვიპასუხეს. „მართალია, ვაღიარებთ, რომ ყოველი ახალი გენერალური პარტნიორი მრავალფეროვანი კანდიდატი არ იქნება, მრავალფეროვნება და ინკლუზია ყოველ პოზიციაზე მსჯელობისას განიხილება“, - ამბობს LinkedIn-ის მილიარდერი თანადამფუძნებელი რეიდ ჰოფმანი Greylock Partners-იდან.

All Raise-ის ქალები დარწმუნებულნი

„იკაროსის“ პროდიუსერი დევიდ ფიალკო და რეჟისორი ბრაიან ფოგელი 2018 წლის „ოსკარზე“ წარმდგენებთან, გრეტა გერვიგსა და ლორა დერნთან ერთად.

ოსკარის და მიდასის შეხვედრა

სულ ახლახან დევიდ ფიალკომ, შესაძლოა, სტატუსის უახლესი სიმბოლო მოიპოვა ვენჩურ-კაპიტალში: აკადემიის ჯილდო. მარტში The General Catalyst-ის თანადამფუძნებელმა და მმართველმა დირექტორმა (82-ე წლევანდელ მიდასის რეიტინგში), „იკაროსის“ პროდიუსერის რანგში, შინ ოქროს ქანდაკება წაიღო – ფილმისა, რომელიც საუკეთესო დოკუმენტურ ნამუშევრად იქცა და რომელიც დოპინგის საიდუმლო პროგრამას ხდის ფარდას რუსულ ოლიმპიურ პრაქტიკებში. მისი თქმით, რეჟისორისა და დამფუძნებლის შერჩევას ერთნაირი თვალი სჭირდება. „დიდი დამფუძნებლების დაფინანსება იქამდე გიწევს, სანამ ყველა ფაქტი გექნება. მათ უნდა შეძლონ შესაძლებლობის გამოყენება და დიდი, გულწრფელი ამბავი უნდა ჰქონდეთ მოსაყოლი, – ამბობს 59 წლის ფიალკო, რომელიც ათზე მეტი დოკუმენტური ფილმის პროდიუსერია. – როგორც ინვესტორებს, ისე პროდიუსერებს უწევთ უაღრესად შემოქმედებითი, მისიაზე სუპერორიენტირებული ხალხის მენეჯმენტი და მათთვის რესურსების, მიმართულებისა და წარმატების შესაძლებლობის მიცემა“. – *სტივენ ბერტონი*

არიან, რომ მათი საინვესტიციო წარმატება ბუნებრივად იტყვის თავის სიტყვას ფინანსური მოგებებით წარმართულ სექტორში. ისინი გამარჯვებისთვის ერთად იბრძვიან. ეს ახალი მენტალობაა ქალებისთვის, რომლებიც, All Raise-ის არსებობამდე, დიდწილად, მარტო აღწევდნენ წარმატებას. „მე კაპიტალისტი ვარ. მე გამარჯვება, საუკეთესო გარიგებების დადება მინდა. მინდა, ჩემმა ფირმამ საუკეთესო გარიგებები მოიპოვოს, - ამბობს DFJ-ის პარტნიორი ემილი მელტონი. - მაგრამ ამის გარდა, მსურს, ყველა ჩემი ქალი კოლეგა გამარჯვებული და წარმატებული იყოს, რადგან ვთვლი, რომ ეს ყველას გვეხმარება“.



ჯულს მალცი

IPOh!

გასულ წელს მალცის სამი ინვესტიცია საჯარო ბაზარზე გავიდა: Dropbox-ი – მარტში; ვებმარკეტინგის ფირმა Yext-ი – 2017-ის აპრილში; და საწარმოო პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი MuleSoft-ი – 2017-ის მარტში (შედეგად, ერთი წლის თავზე MuleSoft-ი Salesforce-მა $6.5 მილიარდად იყიდა). და მალცის კიდევ ერთი ინვესტიციაც, Slack-ი, შესაძლოა, მალე შეუდგეს პირველად საჯარო შეთავაზებას (IPO-ს). – *კ.ჩ.*

სონალი დე რიკერი

რუსეთში, ფულით

Accel-ის ლონდონური ოფისის უფროსის, დე რიკერის, დებიუტი ნაწილობრივ Avito-ზე დადებული ადრეული ფსონის დამსახურებაა – Craigslist-ის რუსულ ვერსიაზე, რომელიც 2015-ში, $2.7 მილიარდად სამხრეთაფრიკულმა კონგლომერატმა – Naspers-მა იყიდა. მუმბაის (ინდოეთი) მკვიდრმა დე-რიკერმა Accel-ის პორტფოლიოს Spotify-სა და ელ-ვაჭრობის სტარტაპ Wallapop-ის წილებიც შეძინა. – *კ.ჩ.*

განსაკუთრებული მადლობა TrueBridge Capital Partners-ს და ჩაპელ ჰილიდანს (ჩრდილო კაროლინა) მისი სიბრძნისა და დიდი შრომისთვის, რომელიც Midas List-ის შედგენაში გასწიეს ჩვენთან ერთად.

რეიტინგის რედაქტორი: ალექს კონრადი. **დამატებითი რეპორტაჟი:** იგორ ბოსილოვსკი, ბიზ კარსონი, კეტლინ ჩაიკოვსკი, ალექს ნეკი, სამარ მარვანი.

მონაცემთა წყარო: PitchBook, Dow Jones VentureSource.

სრული ინფორმაციის, ვიდეობისა და ინტერვიუებისთვის, ეწვიეთ ვებგვერდს: FORBES.COM/MIDAS.

მეთოდოლოგია: ვენჩურ-კაპიტალის ფირმებს ბოლო ხუთ წელიწადში წილების ფულად ქცევის რაოდენობისა და ზომის მიხედვით ვაფასებთ, სადაც პრემიუმი უფრო თამამ და ადრეული ეტაპის გარიგებებს ენიჭება. ვითვლით ფულად ქცევულ მხოლოდ იმ წილებს, რომლებიც $200 მილიონს აღემატება ან კი კერძო რაუნდებს, რომლებზეც კომპანიები, სულ მცირე, $400 მილიონად არიან შეფასებულები.

პოზიცია სახელი /2017
წლის პოზიცია ფირმა
აღსანიშნავი გარიგება

76 დევიდ იუანი / დაბრუნებული
REDPOINT VENTURES
APUS

77 კირსტენ გრინი /98
FORERUNNER VENTURES
Dollar Shave Club

78 ქუან ჟოუ /63
IDG CAPITAL
CreditEase

79 როჯერ ერენბერგი /ახალი
IA VENTURES
The Trade Desk

80 ნავინ ჩადჰა /73
MAYFIELD FUND
Lyft

81 რონ კონვეი /43
SV ANGEL
Airbnb

82 პიტერ ლევინი /87
ANDREESSEN HOROWITZ
GitHub

83 ნილ რაიმერი /ახალი
INDEX VENTURES
Funding Circle

84 დევიდ კ. ჩაო / დაბრუნებული
DCM
SoFi

85 რენდი გლეინი / დაბრუნებული
DFJ GROWTH
Ring

86 ტედ შლეინი /90
KLEINER PERKINS CAUFIELD & BYERS
AppDynamics

87 ჯულს მალცი /ახალი
INSTITUTIONAL VENTURE PARTNERS
Yext

88 მამუნ ჰამიდი /86
KLEINER PERKINS CAUFIELD & BYERS
Slack

89 თერეზია გოუვი /74
ASPECT VENTURES
ForeScout

90 სტივენ ჯი /66
SEQUOIA CAPITAL CHINA
Ganji

91 რიჩ ვონგი /53
ACCEL
UiPath

92 ამიმ ჩანდნა /28
GREYLOCK PARTNERS
AppDynamics

93 ჯეფ კროუ /71
NORWEST VENTURE PARTNERS
Spotify

94 სალილ დეშპანდე /33
BAIN CAPITAL VENTURES
MuleSoft

95 სონალი დე რიკერი / ახალი
ACCEL
Spotify

96 იუონგ გუო /ახალი
IDG CAPITAL
Meitu

97 ეილინ ლი /ახალი
COWBOY VENTURES
Good Technology

98 პინგ ლი /78
ACCEL
Heptio

99 ჯონ ვრიონისი /46
UNUSUAL VENTURES
AppDynamics

100 ჯენ ჰამერი /ახალი
INDEX VENTURES
Robinhood

საკუთრების (თავის)უფლება

ქონებრივი უფლების თავისუფალი გადაცემის შესაძლებლობა საკუთრების უფლების შემადგენელ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს და თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის გამართული ფუნქციონირებაც წარმოუდგენელი იქნება ქონების შეუფერხებელი გასხვისების გარეშე. 2017 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". სასამართლომ კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი და ის საკანონმდებლო მექანიზმი შეაფასა, რომელიც კეთილსინდისიერი შემძენისა და თავდაპირველი მესაკუთრის ინტერესებს შორის ადგენს ბალანსს. აღნიშნული გადაწყვეტილება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების ძირეულ საკითხს ეხება და მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ასპექტებთან. სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებასა და ზოგადად საკუთრების უფლების მნიშვნელობაზე Forbes Georgia-სთან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ზაზა თავაძე საუბრობს.

ავტორი: ელენე ჩომახიძე

როგორია საკუთრების უფლება და ამ უფლების დაცვის მნიშვნელობა განვითარებულ/განვითარებად ქვეყანაში, ასევე როგორ უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფო საკუთრების დაცვას?

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ცალსახად მიუთითებს თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში საკუთრების უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. საკუთრების კონსტიტუციური გარანტია, ერთი მხრივ, ადგენს ინდივიდის უფლებას და ადამიანის პიროვნული თავისუფლების წინაპირობას, მეორე მხრივ კი ქმნის თავისუფალი, საბაზრო ეკონომიკის საფუძველს. საკუთრების უფლების დაცვის თვალსაზრისით, სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას სათანადო საკანონმდებლო სისტემა, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით სრულყოფილად სარგებლობას. ამავდროულად, სახელმწიფო მომეტებულად არ უნდა ჩაერიოს საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში და უნდა დაიცვას გონივრული ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის გამართული ფუნქციონირება რამდენად არის შესაძლებელი ქონების შეუფერხებელი გასხვისების გარეშე?

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის გამართული ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სისტემის არსებობის შემთხვევაში, რომელიც უზრუნველყოფს, რომ, ერთი მხრივ, შესაძლებელი იყოს ქონების შეუფერხებელი გასხვისება, მეორე მხრივ კი ეს ქონება დაცული იყოს არამართლზომიერი ხელყოფისაგან და არ იყოს წახალისებული მისი მითვისების შესაძლებლობა.

„საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ - გვითხარით, რა იყო აღნიშნულ საქმეში ისეთი, რამაც კვალი დატოვა საქართველოში საკუთრების უფლების დაცვის სისტემაზე?

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მოცემული საქმის გადაწყვეტისას უაღრესად მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა. უპირველეს ყოვლისა, გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ უძრავ ნივთებთან დაკავშირებით კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის ინსტიტუტი ზოგადად კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება. სასამართლოს განმარტებით, ამ ინსტიტუტის არარსებობა გამოიწვევდა უძრავი ქონების ბაზრის შეფერხებას, უძრავი ქონების შემძენი იძულებული იქნებოდა, გადაემოწმებინა საკმაოდ დიდი რაოდენობის დოკუმენტაცია, რათა რეესტრის ჩანაწერის ნამდვილობაში დარწმუნებულიყო. ასეთი რეგულაცია, ერთი მხრივ, აზრს დაუკარგავდა საჯარო რეესტრის არსებობას, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვანად გაართულებდა და გააძვირებდა საკუთრების შეძენის პროცესს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელი უფლებამოსილია, შექმნას უძრავ ქონებაზე საკუთრების გადაცემის ისეთი სისტემა, რომლის ფარგლებშიც შემძენი არ არის იძულებული, საკუთარი ინიციატივით გადაამოწმოს საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორე. ამავდროულად, სასამართლომ დაადგინა კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტები, რომელთაც ეს სისტემა უნდა შეესაბამებოდეს და გამოყო შემთხვევები, როდესაც შემძენი ვალდებული ხდება, მინიმალური წინდახედულობის ზომები მიიღოს. სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, შემძენი დაცული ვერ იქნება საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის რისკებისგან იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების რეგისტრაციის სისწორეზე, კანონით დადგენილი წესით, სამართლებრივი დავა მიმდინარეობს და ამის შესახებ შემძენმა დანამდვილებით იცის.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარკვეული ბუნდოვანებისა და ინტერპრეტირების

საშუალებას იძლევა, როდესაც ვსაუბრობთ კეთილსინდისიერი შემძენისა და თავდაპირველი მესაკუთრის უფლებებზე?

საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობის პრეზუმფცია, უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი და არაუფლებამოსილი პირის მიერ ქონების გასხვისება, უზოგადესი სამოქალაქოსამართლებრივი ცნებებია. აღნიშნული ცნებების განმარტება და დაზუსტება საერთო სასამართლოების პრაქტიკის კვალდაკვალ ხდება. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სადავო ნორმების შინაარსის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებული განმარტებები და დაადგინა ის კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტები, რომლებთანაც უნდა იყოს შესაბამისობაში აღნიშნული საკითხების საკანონმდებლო მოწესრიგება.

უძრავი ქონების რეგისტრაცია და ამ პროცესის მიმართება საკუთრების კონსტიტუციურ უფლებასთან – ამ მხრივ როგორი მდგომარეობაა საქართველოში?

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში არ შეუფასებია ზოგადად უძრავ ნივთებზე უფლების რეგისტრაციის მომწესრიგებელი კანონმდებლობის კონსტიტუციურობა. სასამართლოს შესაფასებელ მოცემულობას წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს, უძრავი ქონების არაუფლებამოსილი პირის მიერ გასხვისებისას, ქონებაზე საკუთრების უფლება უნდა დარჩეს თავდაპირველ მესაკუთრეს თუ უნდა გადავიდეს კეთილსინდისიერ შემძენზე. უძრავ ნივთებზე საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ შესაძლებელია, არსებობდეს უძრავ ქონებაზე საკუთრების გადაცემის სხვადასხვაგვარი მოდელები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება სიმარტივით, საკუთრების დაცვის ხარისხით და ა.შ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლის, საქართველოს პარლამენტის გადასაწყვეტია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად განსაზღვროს, უძრავ ქონებაზე საკუთრების გადაცემის რომელ მოდელს აირჩევს. ამავე დროს, მოდელის განსაზღვრისას კანონმდებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს კონსტიტუციის მოთხოვნები და მიიღოს ისეთი რეგულირება, რომელიც შეესაბამება საკუთრების უფლების სტანდარტებს.

არის თუ არა შესაძლებელი საქართველოში ინტერესთა დაბალანსება უძრავი ქონების გასხვისების პროცესში?

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, კანონმდებელი ვალდებულია, საკუთრების უფლების, მათ შორის, უძრავი ნივთების გასხვისებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებისას დაადგინოს გონივრული და სამართლიანი ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ ბალანსი უსამართლოდ არის დადგენილი და მომეტებულად იზღუდება მესაკუთრის ინტერესები, შესაძლოა, დაირღვეს საკუთრების უფლება და რეგულაცია არაკონსტიტუციურად იქნეს მიჩნეული.

სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა იმგვარი სისტემის ჩამოყალიბების რეკომენდებულობაზე, რომლის ფარგლებშიც შემძენისათვის მარტივად იქნება ხელმისაწვდომი ინფორმაცია საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებული დავის შესახებ. ამ სისტემის უზრუნველყოფა რას შეცვლის და რამდენად აუცილებელია, უმოკლეს დროში მოხდეს ამ პროცესების გამართვა?

ზოგადად, უძრავი ქონების გასხვისება არაუფლებამოსილი პირის მიერ, არასასურველი და საშიში მოვლენაა. სახელმწიფომ ყველა ზომას უნდა მიმართოს, რომ აღკვეთოს ამგვარი შემთხვევები. ამასთანავე, სამწუხაროდ, ამის სრულად გამორიცხვა შეუძლებელია და სწორედ ასეთ დროს დგება დღის წესრიგში კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის გარანტიები. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ კეთილსინდისიერი შემძენის დაცვამ არ უნდა

წაახალისოს მისი გულგრილი დამოკიდებულება საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის მიმართ და შემძენმა უნდა გამოიჩინოს მინიმალური, გონივრული წინდახედულობა. გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტის მიხედვით, როდესაც საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამართლებრივი დავა და ეჭვქვეშ დგას მისი უტყუარობა, შემძენმა უნდა მიიღოს ინფორმაციის გადამოწმების მინიმალური ზომები. ასეთ დროს საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის ტვირთი გადადის შემძენზე და თუ იგი მაინც შეიძენს ქონებას და შემდეგ აღმოჩნდება, რომ ქონება მითვისებულია, იგი აღარ იქნება დაცული რეესტრის უტყუარობის პრეზუმფციით. ამასთანავე, სახელმწიფოსა და ქონების თავდაპირველი მესაკუთრის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად მარტივი მისაღწევია, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერის ნამდვილობის შესახებ დავის არსებობის ფაქტი შემძენისათვის გახდეს ცნობილი. ჩანაწერის ბათილობის შესახებ ადმინისტრაციული დავის პირობებში საჯარო რეესტრისათვის ყოველთვის ცნობილია საჩივრის არსებობის შესახებ. ხოლო ქონებაზე საკუთრების შესახებ კანონით დადგენილი წესით დავის წარმოების შემთხვევაში, შესაძლებელია სარჩელის წარმდგენს მიეცეს შესაძლებლობა, საჯარო რეესტრს შეატყობინოს დავის დაწყების ფაქტი. ამავდროულად, ის, რაც ცნობილია საჯარო რეესტრისათვის, შესაძლებელია მარტივად მიეწოდოს ქონების პოტენციურ შემძენს საჯარო რეესტრის ამონაწერში მსგავსი ინფორმაციის ასახვით ან სხვა მეთოდით. სისტემა, რომელიც კეთილსინდისიერ შემძენზე საკუთრების უფლების გადასვლას გამორიცხავს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ინფორმირებულია საჩივრის შესახებ, წარმოადგენს მხარეთა შორის ინტერესების დაბალანსების და უძრავი ქონების არაუფლებამოსილი პირის მიერ გასხვისების შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობას. იგი ახალისებს ურთიერთობის მხარეებს, აქტიური მოქმედებით გამორიცხონ არაუფლებამოსილი პირის მიერ უძრავი ქონების განკარგვის შესაძლებლობა. სახელმწიფო არ არის შეზღუდული საკითხის გადაწყვეტის გზებში, მთავარი კონსტიტუციური მოთხოვნაა, საბოლოო ჯამში თავდაპირველი მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემძენის უფლებრივი ინტერესები იყოს დაბალანსებული ისე, რომ ერთის უფლებების დაცვის მოტივით, არ მოხდეს მეორეს უფლების სრული უგულებელყოფა.

რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და პროგრესული ცვლილება, რომელიც თუნდაც ბოლო 10 წელიწადში განხორციელდა საკუთრების უფლების დაცვის კუთხით საქართველოში და რამაც გავლენა იქონია, როგორც მოცემული ფუნდამენტური უფლების დაცვაზე, ისე ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებაზე?

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში თანდათანობით ვითარდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ძალისხმევა იქითკენ არის მიმართული, რომ სრულყოფილად იქნეს დაცული თითოეული პირის საკუთრების უფლება, რაც თავისუფალი, საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი გარანტიაა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ავითარებს კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლების დაცვის თანამედროვე სტანდარტებს. ამის მაგალითია „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან კონსტიტუციურ სტანდარტებს უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით. F

> სახელმწიფო მომეტებულად არ უნდა ჩაერიოს საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში და უნდა დაიცვას გონივრული ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.

შეღავათების **რეფორმა**

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2017 წელს მცირე ბიზნესის ბრუნვამ 6.4 მლრდ ლარი შეადგინა, რაც საწარმოთა ჯამური ბრუნვის მხოლოდ 8.9%-ია, საშუალოზე კი – ბრუნვის 9.6% მოდის. სწორედ ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის კონტრიბუციის ზრდის და, ამ გზით, ქვეყანაში სიღარიბის დამარცხების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ პარლამენტში საგადასახადო კოდექსში შესატანი ინიციატივების მთელი „კასკადი“ გადაგზავნა.

„უპრეცედენტო“, „ნოვატორული“, „მასშტაბური“ – ეს ის ეპითეტებია, რომელთაც ფინანსთა მინისტრი ***მამუკა ბახტაძე*** საგადასახადო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების დახასიათებისას ყველაზე ხშირად იყენებს. მიზანი კარგად ნაცნობია – სიღარიბის დამარცხება. „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“ – ალბათ ბევრს ახსოვს, ასე ერქვა 4-წლიან სამთავრობო პროგრამას, რომელიც 2008 წელს დაიწერა. მაშინ აბსოლუტური სიღარიბის ოფიციალური მაჩვენებელი 33,4% იყო. საქსტატის ბოლო 2016 წლის მონაცემებით, ქვეყანაში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 21,3% ცხოვრობს. ფაქტია, ამ მიმართულებით გასაკეთებელი კიდევ ბევრია, ამიტომ ათი წლის შემდეგაც პოპულარული მიზნის მიღწევას თუ მიზანთან დაახლოებას „ოცნების“ მთავრობის რიგით მესამე ფინანსთა მინისტრი საგადასახადო კოდექსში სხვადასხვა ცვლილების შეტანით ცდილობს. მამუკა ბახტაძეს სჯერა, რომ თითოეული მოქალაქისთვის ხელშესახები ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა. საქართველოს ფინანსთა მინისტრ მამუკა ბახტაძეს სჯერა, რომ დაგეგმილი რეფორმის მთავარი შედეგი – საქართველოში ცხოვრების დონის გაუმჯობესება იქნება.

სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ეგიდით, საგადასახადო კოდექსში რიგი ცვლილებები შედის: 2018 წლის ივლისიდან შეიცვლება მცირე ბიზნესის დაბეგვრასთან დაკავშირებული რეგულაციები, რაც იმას ნიშნავს, რომ მცირე

ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი დაიბეგრება 1%-იანი განაკვეთით, ნაცვლად დღეს არსებული 3%- და 5%-იანი განაკვეთისა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით, ჯამში, 120,000-მდე მეწარმე ფიზიკური პირი ისარგებლებს, რაც ინდმეწარმეების 99%-ს მოიცავს. ფინანსთა მინისტრის თქმით, მომდევნო წლების მთავარი ამოცანა მეწარმე ფიზიკური პირების რიცხვის 30-40%-ით გაზრდაა.

პარლამენტში ინიციირებული საგადასახადო პაკეტით, ამავდროულად, 5-ჯერ – 100,000-დან 500,000 ლარამდე – იზრდება მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავლის შეზღუდვის ნორმა. ამ უკანასკნელმა სიახლემ კერძო სექტორში, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესში, გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია და მოლოდინიც გაარინა იმის თაობაზე, რომ დღგ-ის გადამხდელთა ზღვარიც 100,000-დან 500,000 ლარამდე გაიზრდებოდა, მაგრამ ამაოდ. როგორც გაირკვა, ძველებურად, 100,000 ლარს ზევით წლიური ბრუნვის მქონე მეწარმე ვალდებული ხდება, დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად, მაგრამ მას უნარჩუნდება მცირე ბიზნესის სტატუსი.

ამ ტიპის მეწარმეების წინა წლების გადახდების გათვალისწინებით, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მცირე ბიზნესის ნაწილში განსახორციელებელი ცვლილებების გამო გადასახადების სახით ბიუჯეტში მისაღები წლიური შემოსავალი შემცირდება დაახლოებით 40 მლნ ლარით, რაც დიდი ფისკალური წნეხი არ გამოდის.

საგადასახადო კოდექსში დაგეგმილი კიდევ ერთი სიახლე, რომელიც 2019 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს დაახლოებით 30 მილიონი ლარით შეამცირებს, ორგანიზაციების მოგების გადასახადით დაბეგვრის რეგულაციის ცვლილებაა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოგების გადასახადით საწარმოთა დაბეგვრის ე.წ. ესტონური მოდელი, რომელიც საფინანსო სექტორისთვის 2019 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო, მხოლოდ 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. საფინანსო სექტორისთვის რეფორმის 4 წლით გადავადებას მამუკა ბახტაძე იმით ხსნის, რომ ამ სექტორში თვითგანვითარებისთვის საკმარისი რესურსია.

საბანკო სექტორი გადავადებას გაგებით მოეკიდა. „ჩვენ მზად ვართ, ვიდგეთ იმ რიგში, რომელიც სახელმწიფომ დაადგინა“, – ასე გამოეხმაურა თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებას.

ბანკებისგან განსხვავებით, რიგში დგომის წინააღმდეგია სადაზღვევო ინდუსტრია, რომელიც ბანკებთან, საკრედიტო კავშირებთან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ლომბარდებთან ერთად საფინანსო სექტორის ნაწილია. საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე ***დევი ხეჩინაშვილი*** ბოლო 2 თვის განმავლობაში ინდუსტრიის სახელით არაერთხელ გამოვიდა და ფინანსთა სამინისტროს სადაზღვევო სექტორის ბანკებისგან გამიჯვნისკენ მოუწოდა. მისი მტკიცებით, სადაზღვევო ბიზნესისთვის რეინვესტიცია მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, რომ დარგის ჯამური მოგება 15-20 მლნ-ის ფარგლებშია, რაც ბიუჯეტს დიდ ფისკალურ ტვირთად არ დააწვება. თავის მხრივ, მამუკა ბახტაძემ პირობა დადო, რომ მიიღებენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ქართულ ბიზნესს განვითარებაში დაეხმარება.

სადაზღვევო ასოციაციის ხელმძღვანელმა დევი ხეჩინაშვილმა კი Forbes Georgia-ს უთხრა, რომ ინდუსტრიამ საკუთარი არგუმენტაცია წერილობით გაუგზავნა როგორც ფინანსთა მინისტრს, ისე – პრემიერს, მაგრამ სიახლე ჯერჯერობით, არაფერია.

ამ დროისთვის საგადასახადო კოდექსში კიდევ რიგი ცვლილებების შეტანა მიმდინარეობს, რომელთა ნაწილი ტექნიკური ხასიათისაა, ნაწილი კი ძალიან ვიწრო დარგობრივ ხასიათს ატარებს, ამიტომ სტატიაში მათი ჩამოთვლისგან თავს შევიკავებთ.

საგადასახადო ინიციატივებისთვის კანონპროექტის ფორმის მიცემისა და პარლამენტში შეტანის პარალელურად, მამუკა ბახტაძემ თავის გუნდთან ერთად თითქმის მთელი საქართველო შემოიარა და ყველა დიდ ქალაქში ადგილობრივ მცირე და საშუალო მეწარმეებს დაგეგმილი ცვლილებები გააცნო.

რეგიონული ტურნეს დამთავრებიდან მალევე, მამუკა ბახტაძემ მორიგი სამი ახალი საგადასახადო ინიციატივა წარმოადგინა, რომელიც ხუთი დოკუმენტის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა, სპეციალური ანგარიშფაქტურა, ნავთობპროდუქტის ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები) ნაცვლად ერთი – გაერთიანებული საგადასახადო დოკუმენტის შემოღებას, არამეწარმე ფიზიკური პირის წარმოებული საქონლის რეალიზაციის ხელშეწყობას და არარეზიდენტი პირისთვის საქართველოში კომპანიების ონლაინრეგისტრაციის შესაძლებლობას გულისხმობს.

„საქართველო იქნება პირველი ქვეყანა, რომელიც გადავა საგადასახადო ადმინისტრირების სიმარტივის ასეთ მაღალ დონეზე. მეორე რეფორმამ კიდევ უფრო უნდა შეუწყოს ხელი საქართველოში ინკლუზიური ზრდის დაჩქარებას. დღეს ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როდესაც ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებენ, პრობლემები აქვთ პროდუქციის რეალიზაციის ნაწილში, ვინაიდან მათ

საბუთის გამოწერის საშუალება არა აქვთ. ამასთან, ბიზნესი მათ უარს ეუბნება პროდუქციის შესყიდვაზე, ვინაიდან ისინი ხარჯში ამ ოპერაციას ვერ აღრიცხავენ; მესამე რეფორმა ყველაზე უფრო მასშტაბური ხასიათის ინიციატივაა და მისი მიზანია, საქართველო გახდეს რეგიონული ფინანსური ცენტრი", ***– განმარტავს მამუკა ბახტაძე.***

მინისტრის ინფორმაციითვე, პირველი ორი რეფორმა, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის პირველი ივლისიდან დაინერგება, მესამე ინიციატივის ამოქმედების ვადად კი 2019 წლის პირველი იანვარი სახელდება.
ფინანსთა მინისტრის მიერ ინიციირებული რიგი საგადასახადო ინიციატივების შეფასებისას, BDO-ს მმართველი პარტნიორი საქართველოში ***ზურაბ ლალაზაშვილი*** გამოყოფს დღგ-ის ავტომატურ რეჟიმში დაბრუნების სისტემის დანერგვის მნიშვნელობას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საგადასახადო ცვლილებების პაკეტში არ შედიოდა.

„ეს ძალიან კარგი სიახლეა, რადგან ბიზნესი მიიღებს იმ ფულს, რომელიც ეკუთვნის. კანონით, აქამდეც ასე იყო, მაგრამ რეალურად ძალიან რთულად უბრუნდებოდა ბიზნესს დღგ-ის ზედმეტობა", – ამბობს Forbes Georgia-თან ლალაზაშვილი.
მისივე თქმით, განწყობა იმისა, რომ მთავრობა ორიენტირებულია ახალ ინიციატივებზე და ამას ბიზნესთან კონსულტაციის ფორმატში აკეთებს, სახელმწიფოსგან კარგ ტონს წარმოადგენს.

„ტენდენციას თუ შევაფასებთ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში არაერთი პრობიზნესური ინიციატივა გაჟღერდა მთავრობის მხრიდან, რაც აღნიშვნას იმსახურებს. გამოვყოფდი ბრუნვის გადასახადის 5-ჯერ შემცირებას და ასევე იმას, რომ ყველა ინდივიდუალური მეწარმე, რომლის წლიური შემოსავალი არ აღემატება 500,000 ლარს, ჩაითვლება მცირე მეწარმედ. გარდა ამისა, მართალია, კანონი პროექტის სახით ჯერჯერობით ხელმისაწვდომი არაა და დეტალები არ ვიცით, მაგრამ არარეზიდენტი პირისთვის საქართველოში კომპანიების ონლაინრეგისტრაციის შესაძლებლობის მიცემაც მისასალმებელი სიახლეა; თუმცა იმისთვის, რომ ამ სიახლემ იმუშაოს, მნიშვნელოვანია, საქართველოში შევქმნათ ისეთი ტიპის პირობები, რომ ჩვენი ქვეყნის რეზიდენტობამ, გარდა საგადასახადო შეღავათებისა, დამატებითი სარგებელი მოიტანოს", – აღნიშნავს ლალაზაშვილი.

BDO-ს მმართველი პარტნიორის შეფასებით, დაანონსებული საგადასახადო ინიციატივების ეფექტიანობის მთავარი საზომი იქნება ის, თუ რამდენად გაზრდის ეს რეფორმები მშპ-ს და მასში მცირე და საშუალო ბიზნესის წილს და ასევე, გახდება თუ არა აღნიშნული ახალი ბიზნესების დაწყების მოტივაცია.
ზურაბ ლალაზაშვილის მსგავსად, ბრუნვის გადასახადის 5-ჯერ შემცირება და მცირე მეწარმის სტატუსისთვის წლიური შემოსავლის 5-ჯერ ზრდა მიაჩნია ერთ-ერთ ყველაზე წონიან საგადასახადო ინიციატივად წარმოდგენილ ინიციატივებს შორის კომპანია Kreston Papiashvili Consulting Group-ის მმართველ პარტნიორს, ***დავით პაპიაშვილს.***

„უნდა ვაღიაროთ, ეს მართლაც პოზიტიური სიახლეა, მაგრამ ყველა სხვა გაჟღერებული ინიციატივა თანაბარი და დიდი ეფექტის მომტანი ნამდვილად არ არის და კერძო სექტორისთვის მათი ტრიუმფით მიწოდება გადაჭარბებულია", – ამბობს პაპიაშვილი Forbes Georgia-თან ინტერვიუში და მაგალითად სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში საჰაერო ხომალდებისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტის დღგ-ის გადახდისგან გათავისუფლება მოჰყავს, რომელიც ამ პაკეტში შედის.

როგორც ჩანს, ვიღაც წერტილოვნად სწავლობს პრობლემურ საკითხებს და წინა პლანზე ყველაზე აქტუალური გამოაქვს.

ბრუნვა საწარმოთა ზომის მიხედვით

2017 წელს 71.56 მილიონის ბრუნვა იყო. მსხვილი ბიზნესის წილი 81.4%-ია, ხოლო მცირესი და საშუალოსი – 8.9 და 9.6%.

მცირე ბიზნესი | საშუალო ბიზნესი | მსხვილი ბიზნესი

„ერთი წლის წინ დიმიტრი ქუმსიშვილის ფინანსთა მინისტრობის დროს ქვეყნის შიგნით საავიაციო გადაზიდვის მომსახურება ანუ დარგი მთლიანად გათავისუფლდა დღგ-სგან, მაგრამ გაგიგიათ სადმე ვინმეს ამაზე ამდენი ელაპარაკა?! ასეთი ზარ-ზეიმით არავის აღუნიშნავს. მამუკა ბახტაძის ინიციატივაც შიდა ავიაციისთვის განკუთვნილი საქონლის იმპორტის გათავისუფლების შესახებ შეიძლება ერთი ვიწრო დარგისთვის კარგია, მაგრამ მასშტაბური რეფორმების კატეგორიაში ამას ნამდვილად ვერ გავატარებთ; ასევე, ბიზნესისთვის არაფერს ცვლის გრძელვადიანი კონტრაქტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური ნორმების გაუქმება და ის მხოლოდ ტექნიკური ხასიათისაა. თუ მთავრობას სურს, ბიზნესს ხელი შეუწყოს, ავანსის დღგ-ით დაბეგვრის რეჟიმი უნდა გააუქმოს“, - ***აცხადებს პაპიაშვილი.*** Kreston Papiashvili-ის მმართველი პარტნიორი ამბობს, რომ მეწარმეები, რომლებსაც ყოველდღიურად ხვდება, ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით მოხიბლულები არიან, მაგრამ თავად დავით პაპიაშვილს შთაბეჭდილება რჩება, რომ „მასშტაბური რეფორმები“ მთავრობის ერთიანი სტრატეგიული გეგმის ნაწილი არაა.

„მეჩვენება, რომ ეს არის დროის მოკლე პერიოდში ცალკეულ პრობლემურ საკითხებზე ფორსირებულად გადაწყვეტების გამოვლინება. ასევე, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რატომ გადაწყვიტა ფინანსთა მინისტრმა ჭარბვალიანობისა და სესხების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე საუბარი, როცა ეს მისი უწყების კომპეტენცია საერთოდ არ არის. როგორც ჩანს, ვიღაც წერტილოვნად სწავლობს პრობლემურ საკითხებს და წინა პლანზე ყველაზე აქტუალური გამოაქვს“, - ***ამბობს დავით პაპიაშვილი.***

რამდენად სწორად შეარჩია წერტილოვანი დარტყმების ადგილი მამუკა ბახტაძემ და მისმა გუნდმა, ყველაზე კარგად პრაქტიკასა და დროში გამოჩნდება. „მასშტაბური რეფორმების“ მასშტაბის საუკეთესო საზომიც ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის წილის ზრდა იქნება. F

საგადასახდელო ბალანსი გაუმჯობესდა

2017 წელს საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიმართ 8.7% შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2016 წელს 12.8% იყო, ანუ 2017 წელს 4.1% პუნქტით შემცირდა. მშპ-ის მიმართ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება მნიშვნელოვანი დადებითი მოვლენაა, მაგრამ ცოტა უცნაურია, იმ ფონზე, როცა ქვეყანაში წარუმატებლობასაც კი წარმატებად ასაღებენ (მაგალითად, სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჩავარდნას), ეროვნული ბანკის გარდა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებაზე თითქმის არავინ ლაპარაკობს.

Forbes Georgia შეეცდება, ამ მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო ცნობიერების ამაღლებაში თავისი წვლილი შეიტანოს.

საქართველოს მცირე ღია ეკონომიკა აქვს. ეკონომიკის სიმცირე ორი მიზეზით არის განპირობებული: ჯერ არ გვაქვს განვითარებული ეკონომიკა და ქვეყანა ტერიტორიითა და მოსახლეობით ბუნებრივად მცირეა. ღია ეკონომიკა ნიშნავს საქართველოს მნიშვნელოვან ინტეგრაციას საერთაშორისო ვაჭრობაში, კაპიტალის მოძრაობასა და სამუშაო ძალის მიგრაციაში. ეკონომიკური გახსნილობის გამომხატველია ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი, რომელშიც საქართველოს მსოფლიოში მე-18 ადგილი უჭირავს.

ეკონომიკური გახსნილობა საქართველოსთვის სწორი სტრატეგიაა, რადგან პატარა, რესურსებით ღარიბ ქვეყანას სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის მსოფლიოს საქონლისა და მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის ბაზრების გამოყენება სჭირდება.

რომ გავიგოთ, რა ტენდენცია აქვს საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მხრივ და რა არის ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, ამისათვის საგადასახდელო ბალანსი უნდა ვნახოთ, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველკვარტალურად აქვეყნებს.

საგადასახდელო ბალანსი საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს ასახავს. მასში სრულყოფილად აისახება წლის განმავლობაში განხორციელებული ყველა ეკონომიკური ოპერაცია, სადაც ერთ მხარეს საქართველო, მეორე მხარეს კი სხვა ქვეყნებია. ეკონომიკური ტერმინებით რომ ვთქვათ, საგადასახდელო ბალანსი საქართველოს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ოპერაციებს ასახავს.

საგადასახდელო ბალანსი ორი ნაწილისგან შედგება, ესენია: 1. მიმდინარე ანგარიში და 2. კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში. ბალანსი ორმაგი ჩაწერის პრინციპზეა აგებული, რაც გულისხმობს, რომ საბოლოოდ, მიმდინარე ანგარიში კაპიტალისა და ფინანსურ ანგარიშს უნდა გაუტოლდეს.

მიმდინარე ანგარიში მოიცავს: საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობას, ფაქტორულ შემოსავლებსა და მიმდინარე ტრანსფერებს. საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის მუხლები უფრო მარტივი აღსაქმელია, ვიდრე შემოსავლებისა და ტრანსფერების. შემოსავლებში შედის შრომის ანაზღაურება და საინვესტიციო შემოსავლები, როდესაც შემოსავალი ერთ ქვეყანაშია მიღებული და მეორე ქვეყანაში იგზავნება. ტრანსფერები მოიცავს საქონლის, მომსახურების, ფინანსური და სხვა აქტივების ცალმხრივ გადაცემას. მაგალითად, ასეთია საზღვარგარეთიდან შემოსული გრანტები და სხვა დახმარებები.

მიმდინარე ანგარიში დეფიციტურია, თუ საერთაშორისო ვაჭრობით, ფაქტორული შემოსავლებითა და ტრანსფერებით უფრო ნაკლები ფული შემოდის ქვეყანაში, ვიდრე ქვეყნიდან გადის. ამავე დროს მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ყველა ეს ოპერაცია უცხოურ ვალუტაში ხორციელდება (სტატისტიკურად აშშ დოლარშია აღრიცხული).

როგორ უნდა დახარჯოს საერთაშორისო ეკონომიკურ ოპერაციებში ქვეყანამ იმაზე მეტი ფული, ვიდრე შემოსავალი აქვს? ეს დანაკლისი სწორედ კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის სალდოდან იფარება. შესაბამისად, თუ მიმდინარე ანგარიში დეფიციტურია, კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში აუცილებლად დადებითია და აბალანსებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. უფრო მარტივად რომ

დეფიციტი მცირდება

2017 წელს საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის მიმართ 4.1% პუნქტით შემცირდა.



ვთქვათ, თუ ხარჯებისთვის საჭირო ფული არ გვაქვს, ამ თანხას ვსესხულობთ. თუ შიდა დანაზოგი შიდა ინვესტიციებისთვის საკმარისი არ არის, უცხოური ინვესტიციები შემოგვაქვს.

საქართველოს, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი აქვს, რომელიც ფინანსური ანგარიშით ფინანსდება. ზოგადად, უფრო მეტ ქვეყანას მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი აქვს, ვიდრე დადებითი სალდო. დადებითი ბალანსი მრეწველობის მხრივ მაღალგანვითარებულ და ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებს აქვთ. ასეთებია, მაგალითად, გერმანია, ჩინეთი, იაპონია, სამხრეთი კორეა, რუსეთი, ნორვეგია, საუდის არაბეთი და სხვა.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის ქვეყნისთვის პრობლემაა. პრობლემურობა დამოკიდებულია დეფიციტის სიდიდეზე (მშპ-ის მიმართ), იმაზე, თუ როგორ ფინანსდება დეფიციტი, ქვეყნის სავალუტო რეჟიმსა და ეკონომიკური განვითარების დონეზე. თუ დეფიციტი ძირითადად ინვესტიციებით ფინანსდება და არა ვალების აღებით, მაშინ ის პირიქით, კარგია და ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს. თუ დეფიციტი განპირობებულია იმპორტის ექსპორტზე მეტობით, ეს ეკონომიკის დაბალკონკურენტუნარიანობას მიანიშნებს, მაგრამ თუ განპირობებულია შიდა დანაზოგებზე ინვესტიციების მეტობით, პირიქით, მაღალპროდუქტიული, მზარდი ეკონომიკის მანიშნებელია. დეფიციტი პრობლემას არ წარმოადგენს საერთაშორისო ვალუტის მქონე ქვეყნებისთვის, მაგალითად, აშშ-სთვის, რადგან ამერიკელებს დეფიციტურად გადახდილი დოლარები სხვადასხვა სახით უკან უბრუნდებათ.

განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში, მაღალი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გამოწვევად არის მიჩნეული. ამაზე მიუთითებს საკრედიტო სააგენტოების დასკვნები, იმავე საქართველოსთან მიმართებით, რაც კრედიტორების ნდობის შესუსტებას იწვევს. ქვეყანა თუ ძირითადად უცხოურ კაპიტალზეა დამოკიდებული, სხვადასხვა მიზეზის გამო, უცხოური კაპიტალის შემოსვლის შეფერხება მოხ-

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი

ყველაზე მაღალი უარყოფითი სალდო საქართველოს საქონლით საგარეო ვაჭრობაში აქვს, რადგან იმპორტი ექსპორტს დაახლოებით 2-ჯერ აჭარბებს.

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
მიმდინარე ანგარიში	**-1,843.5***	**-1,886.4**	**-958.3**	**-1,789.9**	**-1,695.6**	**-1,847.4**	**-1,316.1**
ა. საქონელი	-3,493.8	-4,216.0	-3,492.6	-4,271.0	-3,934.5	-3,869.2	-3,840.7
ექსპორტი	3,254.5	3,502.3	4,245.8	4,073.3	3,099.5	2,930.7	3,630.0
იმპორტი	-6,748.3	-7,718.3	-7,738.4	-8,344.3	-7,034.0	-6,799.9	-7,470.7
ბ. მომსახურება	747.5	1,094.4	1,399.8	1,285.9	1,457.8	1,620.0	2,069.3
ექსპორტი	2,008.2	2,543.7	2,961.1	3,018.8	3,133.1	3,351.1	4,026.0
იმპორტი	-1,260.7	-1,449.2	-1,561.4	-1,732.9	-1,675.4	-1,731.1	-1,956.8
გ. შემოსავალი	-425.8	-172.4	-316.9	-230.1	-338.4	-720.5	-816.2
დ. ტრანსფერტები	1,328.7	1,407.6	1,451.5	1,425.3	1,119.6	1,122.2	1,271.5
კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში	**1,895.1**	**2,022.4**	**1,028.8**	**1,901.7**	**1,820.2**	**1,825.4**	**1,381.3**
კაპიტალის ანგარიში	153.2	133.5	134.1	107.9	60.3	57.8	108.6
ფინანსური ანგარიში	1,741.9	1,888.9	894.7	1,793.8	1,760.0	1,767.6	1,272.7
ა. პირდაპირი ინვესტიციები	983.3	726.0	900.7	1,411.3	1,343.4	1,195.7	1,593.8
საზღვარგარეთ	-146.6	-297.0	-119.9	-406.7	-309.2	-407.2	-268.1
საზღვარგარეთიდან	1,129.9	1,022.9	1,020.6	1,818.0	1,652.5	1,602.9	1,861.9
ბ. პორტფელის ინვესტიციები	133.4	848.3	-36.6	209.4	-153.6	41.3	-71.2
გ. ფინანსური წარმოებულები	5.1	5.4	-2.4	8.2	-1.8	-4.0	-0.5
დ. სხვა ინვესტიციები	1,192.5	347.5	-12.2	131.5	472.5	779.3	-7.7
ე. სარეზერვო აქტივები	-572.4	-38.2	45.2	33.4	99.4	-244.8	-241.8
შეცდომები და გამოტოვებები	**-51.6**	**-136.1**	**-70.5**	**-111.8**	**-124.6**	**22.0**	**-65.2**

წყარო: : საქართველოს ეროვნული ბანკი ***მლნ აშშ დოლარი**

მარების მნიშვნელოვან შემცირებასა და ეკონომიკის შემცირებას გამოიწვევს.

2017 წელს საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის 8.7%, ხოლო პირდაპირი და პორტფელის ინვესტიციების წმინდა შემოდინება მშპ-ის 10% იყო. ეს კარგი შედეგია, რაც მიანიშნებს, რომ საქართველოში უცხოური ინვესტიციების განხორციელება მაღალპროდუქტიულია.

ახლა კი დეტალურად განვიხილოთ საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, რომელიც ძალიან საინტერესო ანგარიშია და უამრავ ინფორმაციას მოიცავს.

საგადასახდელო ბალანსი მიმდინარე ანგარიშის ჩვენებით იწყება, რომელიც ოთხი მუხლის ჯამია, ესენია: საქონლით საგარეო ვაჭრობა, მომსახურებით საგარეო ვაჭრობა, შემოსავლები

შემოსავალი საერთაშორისო სატრანსპორტო ოპერაციებიდან

მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში ცალსახად უარყოფითი ტენდენცია გვაქვს ტრანსპორტის სექტორში.

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	
ტრანსპორტი, ჯამი	140.9*	105.2	45.9	72.7	31.6	-7.5	-40.3	-120.6
საზღვაო	-43.3	-93.5	-107.7	-134.4	-154.3	-136.1	-97.4	-147.1
საჰაერო	-30.3	-7.5	-17.1	9.4	-8.6	-21.5	-24.9	19.9
სარკინიგზო	74.0	92.6	116.1	114.5	92.2	68.1	-1.9	-56.0
საგზაო	-145.6	-164.1	-224.4	-210.2	-227.3	-244.9	-234.8	-248.4
მილსადენი	286.1	277.6	278.9	293.3	329.7	326.8	318.8	311.0

წყარო: : საქართველოს ეროვნული ბანკი

*მლნ აშშ დოლარი

და ტრანსფერები.

ყველაზე მაღალი უარყოფითი სალდო საქართველოს საქონლით საგარეო ვაჭრობაში აქვს, რადგან იმპორტი ექსპორტს დაახლოებით 2-ჯერ აჭარბებს. 2017 წელს საქონლით ვაჭრობის უარყოფითი სალდო 3.8 მილიარდი დოლარი იყო.

საქართველოს ტრადიციულად დადებითი სალდო აქვს მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში, რაც საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლებით არის განპირობებული. 2017 წელს მომსახურებით ვაჭრობის დადებითი სალდო 2.1 მილიარდი დოლარი იყო – დაახლოებით 400 მილიონი დოლარით მეტი, ვიდრე 2016 წელს. ეს ცალსახად ტურიზმიდან შემოსავლების 500-მილიონდოლარიანმა მატებამ განაპირობა. მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში ცალსახად უარყოფითი ტენდენცია გვაქვს ტრანსპორტის სექტორში. განსაკუთრებით აღსანიშნავია რკინიგზის შემოსავლები. 2015 წლამდე სარკინიგზო ტრანსპორტის მომსახურების ბალანსი დადებითი იყო, 2016 წლიდან კი უარყოფითი გახდა.

საბოლოოდ, 2017 წელს, საქონლით ვაჭრობის უარყოფითი სალდო მომსახურებით ვაჭრობის დადებითმა სალდომ მნიშვნელოვნად გადაფარა და 3.8-მილიარდდოლარიანი დეფიციტი 1.8 მილიარდამდე შეამცირა.

ფაქტორული შემოსავლების მუხლი საქართველოსთვის ტრადიციულად დეფიციტურია, რადგან საქართველოში მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი უცხოური კაპიტალი და კაპიტალზე მიღებული შემოსავლის (საინვესტიციო შემოსავალი) ნაწილი საქართველოდან გადის. 2017 წელს უარყოფითი სალდო 816 მილიონი დოლარი იყო.

ტრადიციულად დადებითია ტრანსფერების მუხლი, რადგან ის მოიცავს უცხოურ დახმარებებსა და მიგრანტების მიერ გადმოგზავნილ თანხებს. 2017 წელს დადებითი სალდო 1.3 მილიარდი დოლარი იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექსპორტ-იმპორტის, შემოსავლებისა და ტრანსფერების ჯამი არის მიმდინარე ანგარიში და ის 2017 წელს -1,316 მილიონი დოლარი იყო.

2017 წელს კაპიტალისა და ფინანსურმა ანგარიშმა -1,381 მილიარდი დოლარი შეადგინა. რადგან ის მიმდინარე ანგარიშის ტოლი უნდა იყოს, სტატისტიკურად სხვაობა შეცდომებისა და გამოტოვებების მუხლით ბალანსდება – 65 მილიონი დოლარით.

საქართველოს კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის ძირითადი მუხლებია: პირდაპირი ინვესტიციები და სხვა ინვესტიციები, რომლებიც ძირითადად საგარეო ვალის აღებას მოიცავს.

2017 წელს პირდაპირი ინვესტიციების წმინდა შემოსვლამ 1.6 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც 33%-ით მეტია 2016 წლის მაჩვენებელზე.

2017 წელი ისტორიულად გამორჩეულია იმით, რომ სხვა ინვესტიციების მუხლი უარყოფითი იყო -71 მილიონი დოლარით. სწორედ ეს ნიშნავს, რომ 2017 წელს საქართველომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ინვესტიციებით დააბალანსა და არა ახალი ვალების აღებით.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირების მნიშვნელოვანი მხარეა ლარის კურსზე საგარეო შოკის გავლენის შემცირება. 2014-2016 წლებში ლარის გაუფასურების მთავარი მიზეზი სწორედ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მნიშვნელოვნად ზრდა იყო. F

შრომისმოყვარეობა რომ არ ისჯებოდეს

როგორ განკარგავდა 2017 წელთან შედარებით 2018 წელს საქართველოს მოსახლეობა დამატებით 2 მილიარდ ლარს, 2019 წელს 4 მილიარდ ლარს და შემდეგ წლებში კიდევ უფრო მეტს თავისი შეხედულებებისამებრ? 2019 წელს ამ 4 მილიარდი ლარიდან, რას უზამდა საშუალო სკოლის წამყვანი პედაგოგი წელიწადში დამატებით 3,000 ლარს? რაში დახარჯავდა საშუალოსტატისტიკური ექიმი წელიწადში დამატებით 2,500 ლარს? უფრო მეტ პროდუქტს მოიხმარდნენ, უკეთესად დაისვენებდნენ თუ შვილებს უკეთეს განათლებას მისცემდნენ – ეს მათი გადასაწყვეტი იქნებოდა.

2017 წელს საქართველო ერთ სულ მოსახლეზე სიმდიდრით მსოფლიოში 105-ე ადგილზეა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების მიხედვით (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით). ჩვენ ისეთი ღარიბი ქვეყნებიც კი გვისწრებენ, როგორიცაა ტუნისი, ნაურუ, ნამიბია, ეკვადორი, კოსოვო, ვენესუელა, მონღოლეთი და სხვა. ტოპ-ოცეულის ბოლო ქვეყანა დანიაა. საშუალოსტატისტიკური დანიელი საშუალოსტატისტიკურ ქართველზე დაახლოებით 4.7-ჯერ მდიდარია. 2004 წლიდან მოყოლებული, საქართველოს საშუალო ეკონომიკური ზრდა 5.3%-ს შეადგენს, ხოლო 2013-2017 წლებში ეს რიცხვი 3.4% იყო. ასეთი ზრდით კი, მაგალითად, დანიის დღევანდელი ცხოვრების დონეს 78 წელიწადში ანუ 2095 წელს დავეწევით (საგულისხმოა, რომ დანიაც გააგრძელებს ეკონომიკურ ზრდას და მათი დონის მიღწევა კიდევ უფრო შორი პერსპექტივა ხდება).

ერთადერთი გამოსავალი, რომ „საშუალო“ ქართველმა იცხოვროს დაახლოებით ისე, როგორც დასავლეთ ევროპაში ცხოვრობენ, მაღალი ეკონომიკური ზრდა და შემოსავლების მატებაა. ეს კი პირდაპირაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენით გვბეგრავს მთავრობა და რამდენია ინვესტიციები ეკონომიკაში. სანამ დაბეგვრას შევეხებოდეთ, შეგახსენებთ, რომ ინვესტიციების ზომას მრავალი ფაქტორი ადგენს: გეოპოლიტიკური რისკებით დაწყებული, გადასახადების დონითა და სასამართლოს დამოუკიდებლობით დამთავრებული. თითქმის ყველა ასპექტში საქართველოს აქვს პრობლემები ან/და გამოწვევები. თუმცა ყველაზე დიდ რისკს სწორედ ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა ქმნის. იმისათვის, რომ ინვესტორმა ფულის ჩადებისას საქართველოზე შეაჩეროს არჩევანი, ის ისეთ სარგებელს უნდა ხედავდეს, რომელიც რისკებს გადაფარავს. ეს კი, სხვა თანაბარ პირობებში, არ მოხდება, თუ საქართველოს მხოლოდ კარგი, ბიზნესისთვის მიმზიდველი გარემო ექნება, რადგან ასეთი გარემოს ნახვა ინვესტორს შეუძლია იქაც, სადაც რისკები უფრო დაბალია. საქართველოს სჭირდება გამორჩეულობა, ექსტრაორდინარულობა და გარკვეულწილად რადიკალური ქმედებები. ინვესტიციებისთვის მიმზიდველი ქვეყანა არასაკმარისია, საჭიროა ინვესტიციებისთვის ყველაზე (!) მიმზიდველი ქვეყანა.

მოცემულ წერილში შევეხოთ მრავალი საჭირო გადაწყვეტილებიდან ერთს. ესაა საგადასახადო პოლიტიკა, კერძოდ, საქართველოში საშემოსავლო გადასახადისა და მოგების გადასახადის გაუქმება. ეს ნიშნავს, რომ დასაქმებულებს აღარ მოუწევთ გადასახადის გადახდა თავისი შრომის შესაბამისად და რაც მეტს იშრომებენ, მით მეტი ფული დარჩებათ იმისთვის, რომ საკუთარ თავსა და ოჯახებს მოახმარონ. ეს ნიშნავს ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებას და თითოეული მოქალაქის ჯიბეში მეტ ფულს.

თავშივე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ რეფორმას სჭირდება უფრო მკვეთრი, ფართო და შრომატევადი კვლევა და რეგულაციური ანალიზი, ვიდრე მოცემული სტატიაა. სტატია ემსახურება ინიციატივას და ეყრდნობა შედარებით ზოგად მსჯელობასა და ლოგიკას.

თანამედროვე სამყაროში ორი ტიპის გადასახადი არსებობს. პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირია გადასახადი, თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი იბეგრება მისი შემოსავლების პროპორციულად. საქართველოში ამის მაგალითებია საშემოსავლო გადასახადი, რომ-

საქართველოში არსებული გადასახადები

მიმდინარე ანგარიში	განაკვეთი	შემოსულობები (მლრდ ლარი)
საშემოსავლო გადასახადი		3.2
მოგების გადასახადი		0.63
დამატებული ღირებულების გადასახადი		4.4
იმპორტის გადასახადი		0.06
აქციზი		1.45
ქონების გადასახადი		0.39-0.45

ლითაც იბეგრებიან ფიზიკური პირები, და მოგების გადასახადი, რომლითაც მოგებაზე ორიენტირებული იურიდიული პირები იბეგრებიან. თითოეული მათგანის მეშვეობით მთავრობა საქართველოს მოსახლეობიდან იღებს გარკვეული რაოდენობის სიმდიდრეს (რისგანაც შედგება საქართველოს ეკონომიკა) და შემდეგ თავისი შეხედულებებისამებრ ხარჯავს.

საშემოსავლო და მოგების გადასახადებიდან შემოსულობები ჯამურად 3.8 მილიარდი ლარია. თუ ვივარაუდებთ, რომ მოცემული ორი გადასახადიდან შემოსულობები 2019 წელს ისე გაიზრდება, როგორც საშუალოდ ბოლო წლების მანძილზე იზრდებოდა, მაშინ ეს რიცხვი დაახლოებით 4 მილიარდ ლარს გაუტოლდება. პირველივე წელს 4 მილიარდი ლარი ეკონომიკის სტიმულირებისთვის საკმაოდ მაღალი რიცხვია და შესაბამისად, ფისკალური შედეგიც მასშტაბური ექნება, თუმცა დღევანდელ დღეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს 4 მილიარდი ლარი რომ დააკლოს მთავრობამ, საკმაოდ არარეალისტურია. მოცემულ ნაბიჯს დიდი პოლიტიკური ნება სჭირდება. არსებობს „თამამი“ და „ნაკლებად თამამი“ გზა იმისთვის, რომ საშემოსავლო და მოგების გადასახადები გაუქმდეს.

მოცემული გადასახადების გასაუქმებლად, თამამი და ეკონომიკურად ყველაზე გამართლებული გზაა გადასახადების ეტაპობრივი შემცირება ორი წლის მანძილზე ისე, რომ იმ ფისკალური სტიმულიდან, რასაც ეს ნაბიჯი მოიტანს, არც ერთი ლარი არ დაიკარგოს. ანუ ისე, რომ სხვა გადასახადებს არ შევეხოთ. პირველი, საიდანაც შესაძლებელია ხარჯების გამოთავისუფლება, ეს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ნაზრდია წლიდან წლამდე. კერძოდ, დაახლოებით 12.5-მილიარდლარიანი ხარჯვითი ბიუჯეტი ყოველწლიურად დაახლოებით 10%-ით იზრდება. ეს ნიშნავს, რომ თუ მთავრობა ხარჯებს გაზრდის მხოლოდ ისეთ კომპონენტებზე, როგორიცაა სოციალური პასუხისმგებლობებიდან წარმოშობილი აუცილებელი ხარჯები (მაგალითად, პენსიონერთა რაოდენობის ზრდა და მათთვის დამატებითი თანხა პენსიების გასაცემად), შესაძლებელია, რომ გადასახადების შემცირებას პირველ წელს სულ მცირე 1.1 მილიარდი ლარი მოხმარდეს, ეს კი ორი წლის მანძილზე გადასახადების გაუქმებისთვის საჭირო რესურსის დაახლოებით 50%-ია. დანარჩენი ორი მილიარდი ლარის შემცირება კი 12.5-მილიარდიანი ბიუჯეტიდან უნდა განხორციელდეს. ეს გულისხმობს არა მხოლოდ ისეთი ხარჯების შემცირებას, რომლებიც უყაირათოდ იხარჯება და იფლანგება, არამედ ისეთი ხარჯებისაც, რომლებიც ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა, და გადასახადების შემცირებიდან მიღებული სარგებელი უფრო მეტი ექნება ქვეყნის ეკონომიკას, ვიდრე მიღებულ საქონელსა თუ სერვისში დახარჯული ფულიდან. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ინფრასტრუქტურული ხარჯების შემცირება. 2012 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 663 მილიონ ლარს ხარჯავდა, ხოლო 2018 წელს ეს ხარჯი 1,815 მილიონ ლარს შეადგენს. 2012 წლის მაჩვენებელს ინფლაციით თუ დავაკორექტირებთ, მაშინაც კი ერთი მოცემული სამინისტროს ხარჯები მილი-

ბიუჯეტის შემოსავლები მათი სახეების მიხედვით



საგადასახადო შემოსავლები გადასახადების ტიპების მიხედვით



არდი ლარით მეტი გამოდის. მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, რა უფრო მნიშვნელოვანია, ხარჯოს ფული ისეთ პროექტებზე, სადაც არა მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობაა დაბალი, არამედ რესურსის დიდი ნაწილი იფლანგება მათ შორის კორუფციულ გარიგებებში, თუ შეამციროს გადასახადები, რომლებიც საქართველოს ეკონომიკას არა მხოლოდ დიდ სტიმულს მისცემს, არამედ გრძელვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსავლებიც ეკონომიკის ნომინალური ზრდის პროპორციულად გაიზრდება.

მხოლოდ გადასახადების გადამხდელთა ფულის განკარგვის ცხრილში მოყვანილი თანხებიდანაა შესაძლებელი 300 მილიონ ლარზე მეტის აკუმულირება იმისათვის, რომ ეს თანხა გადასახადების შემცირებას მოხმარდეს. როგორც აღვნიშნეთ, არსებობს მეორე, „ნაკლებად თამამი“ და შედარებით ნაკლები სარგებლის მომტანი გზაც. „ნაკლებად თამამი“ გზა შედგება შემდეგი ნაბიჯებისგან.

1) მოცემული გადასახადების გაუქმების გადანაწილება 3 წელზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობას წელიწადში 1.3 მილიარდი ლარის აკუმულირება მოუწევს. ყოველწლიური საბიუჯეტო ნაზრდიდან თანხის ნახევრის გაყინვა და გადასახადების შემცირება;
2) იმ გადასახადის გაორმაგება (და მთავრობას ამის მდიდარი გამოცდილება აქვს), რომლის გაზრდაც, დიდი ალბათობით, მომავალში მოგვიწევს და დამატებით, ამას რეფერენდუმი არ სჭირდება. ესაა აქციზის გადასახადი თამბაქოს ნაწარმზე, საიდანაც საბიუჯეტო შემოსავლები ყოველწლიურად 670 მილიონი ლარია. იმის მიუხედავად, რომ ნებისმიერი ტიპის გადასახადის (მათ შორის აქციზის) ზრდა ეკონომიკურად უარყოფითი შედეგის მომტანია, პირდაპირი გადასახადის შემცირებით გამოწვეული სარგებელი უფრო მეტია, ვიდრე მოცემულ შემთხვევაში თამბაქოზე აქციზის ზრდით გამოწვეული ზიანი.

როგორც ვხედავთ, ორივე გზით წასვლა საკმაოდ რეალისტურია, თუმცა „ნაკლებად თამამი“ გზით წასვლას ნაკლები პოლიტიკური კაპიტალი სჭირდება. ორივე შემთხვევაში, შედეგი პირდაპირი გადასახადების მთლიანი გაუქმება და ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი სტიმულის მიცემაა.

ბოლოს იმის აღნიშვნაც საჭიროა, რომ თანამედროვე სამყაროში არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც მოცემული გადასახადებიდან ერთი მაინც ან ორივე არ გააჩნია. თუმცა ეს ამ ინიციატივის არა უარყოფითი, არამედ დადებითი მხარეა. ეკონომიკურ სარგებელთან ერთად, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, მოცემული გადაწყვეტილებით, საქართველო მსოფლიოში N1 ქვეყანა იქნება, სადაც ადამიანები არ დაიბეგრებიან პირდაპირი გადასახადებით. ეს ფაქტი შესაძლებელია საქართველოს სავიზიტო ბარათიც კი იყოს ინვესტორების თვალში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთვის ის ეკონომიკური ზრდა, რაც უკანასკნელ წლებში მას აქვს, ძალიან დაბალია და აუცილებელია ზრდის ტემპის დაჩქარება. ამისათვის მრავალმხრივი რეფორმებია საჭირო, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინიციატივა შესაძლებელია მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების გაუქმება იყოს. ამ ნაბიჯით საქართველოს ეკონომიკასა და კერძო სექტორში საშუალოდ 4 მილიარდი ლარი დარჩება. ეს გამოიწვევს ხელფასების ზრდას დასაქმებულებისთვის, დანაზოგებისა და ინვესტიციების ზრდას საქართველოს მოქალაქეებისა და ბიზნესების მხრიდან და საბოლოოდ ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას. ამის განხორციელება ბევრნაირად შეიძლება, თუმცა ყველაზე რეალისტური და სარგებლიანი იქნება, თუ მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები ორი წლის მანძილზე ეტაპობრივად გაუქმდება. ამისათვის საჭიროა წლიდან წლამდე ბიუჯეტის ნაზრდის ერთ ნიშნულზე გაყინვა და მრავალი არაეფექტიანი საბიუჯეტო ხარჯის გაუქმება. F

როგორ იხარჯება გადასახადის გადამხდელთა ფული?

2018 წლის საქართველოს ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების ზოგიერთი მაგალითი

მიმდინარე ანგარიში	თანხა (მლნ ლარი)
ჯამურად სსიპ-ები და აიპ-ები	2,000
დაგროვებითი პენსია	80
საზოგადოებრივი მაუწყებელი	52
შეღავათიანი აგროკრედიტი	45
მეწარმეობის განვითარება	41
ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი	37.2
ღვინის ეროვნული სააგენტო	25
აგროდაზღვევა	9
დანერგე მომავალი	8
ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	5
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4
დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად	2.8
კონკურენციის სააგენტო	2.1
ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია	1.1
ქართული ჩაი	0.9
სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	0.5
მწერალთა სახლი	0.41
მეცნიერების პოპულარიზაცია	0.4
ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ნართები“	0.34
კულტურისა და სულიერების ცენტრი	0.2
საქართველოს თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი	0.08

პირველი გილდიის ვაჭარი

მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენო, თქმულა, თუმცა ბიზნესმენის გაქანებაზე ალბათ მეტს გავიგებთ, თუ იგი არა მეგობრებს, არამედ მტრებს დაასახელებს.
ტფილისელი ბანკირის, თამბაქოსა და ნავთობის მაგნატის, ალექსანდრე მანთაშევის კონკურენტები როტშილდები და ნობელები იყვნენ.

ავტორი: ემილ ავდალიანი

ალექსანდრე მანთაშევი – ნავთობის მომავალი მაგნატი – 1842 წელს ტფილისში დაიბადა. ბავშვობა ირანში, ქალაქ თავრიზში გაატარა მამასთან ერთად, რომელიც იქ ვაჭრობით იყო დაკავებული, ხოლო თანამედროვე გაგებით ნამდვილი ბიზნესი ინგლისში შეისწავლა.

ალექსანდრე 27 წლის იყო, როცა მანჩესტერში ჩავიდა და იქიდან მამას ამარაგებდა ბამბეულითა და სხვა საქონლით. სამი წლის შემდეგ ინგლისიდან ირანში დაბრუნებული მანთაშევი მამასთან ერთად ტფილისში გადავიდა საცხოვრებლად.

თავიდან მანთაშევებმა ერივანსკის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე მდებარე სასტუმრო „კავკაზის“ პირველ სართულზე ქსოვილების მაღაზია გახსნეს. მალე პირველს მეორე მაღაზიაც მიაყოლეს და საცალო ვაჭრობიდან საბითუმოზე გადავიდნენ.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ ახალგაზრდა ალექსანდრეს მემკვიდრეობით 200 ათასი მანეთი ერგო. ამ ფულით მან ტფილისის კომერციული ბანკის აქციების საკონტროლო პაკეტი იყიდა და მის მთავარ აქციონერად იქცა. ცოტა ხნის შემდეგ კი ბანკის ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარეც გახდა და ამ თანამდებობას სიცოცხლის ბოლომდე იკავებდა.

თუმცა მანთაშევის ბიზნესმა რეალურ წარმატებას XIX საუკუნის ბოლოს მიაღწია, როდესაც რუსეთის იმპერიაში ნავთობის ფართომასშტაბიანი გამომუშავება დაიწყეს. ამ მიმართულებით მოხდა ბაქოს წინ წამოწევა, რადგან 1880-იან წლებში ქალაქმა უკვე გაითქვა მსოფლიოში სახელი როგორც ნავთობის მოპოვების ცენტრმა. ქალაქში უკვე მუშაობდნენ ისეთი დიდი ფინანსური ოჯახები, როგორიც როტშილდები და ნობელები გახლდნენ. მათთვის კონკურენციის გაწევა რომ შეძლებოდა, მანთაშევმა გადაწყვიტა, ცნობილ მეწარმესთან, მიქაელ არამიანცთან წამოეწყო სანავთობო ბიზნესი. მათ ერთმანეთი ჯერ კიდევ არამიანცის თავრიზში ყოფნისას გაიცნეს. მანთაშევი ირანში მამასთან იყო ჩასული და იქ საკმაოდ დიდ მოგებას ვაჭრობით ნახულობდა.

თავდაპირველად ორ ადამიანს შორის კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა და მანთაშევი დათანხმდა კიდეც არამიანცის შემოთავაზებას, ბაქოში საერთო სანავთობო ბიზნესი წამოეწყოთ.

სანავთობო ბიზნესი კარგად ვითარდებოდა, **რაც 1899**

წლის 11 ივნისს სააქციო და სანავთობო საზოგადოება „ა.ი. მანთაშევი და კომპანიის“ დებულების ოფიციალურად მიღებით განმტკიცდა. კომპანიის დამფუძნებლები იყვნენ ტფილისის პირველი გილდიის ვაჭარი მანთაშევი და ბაქოს პირველი გილდიის ვაჭარი არამიანცი. საერთო კაპიტალი 22 მილიონ მანეთს შეადგენდა, ანუ სულ 88,000 აქციას, რომელთაგან თითოეული 250 მანეთად ფასობდა. მიღებული დებულების მიხედვით, კომპანიას ხუთი დირექტორისგან შემდგარი საბჭო მართავდა, რომლის არჩევაც აქციონერთა საერთო კრებაზე ხდებოდა. ამ კომპანიაში მიქაელ არამიანცს 25%-იანი წილი ჰქონდა.

აფშერონის ნახევარკუნძულზე (სადაც ქალაქი ბაქო მდებარეობს) კომპანიის საკუთრებაში იყო ნავთობით მდიდარი დაახლოებით **174 ჰექტარი მიწის ფართობი.**

თუმცა დროთა განმავლობაში არამიანცსა და მანთაშევს შორის ურთიერთობა დაიძაბა. კომპანიის მიერ მიღებული დიდი შემოსავალი ორ მდიდარ ადამიანს შორის განხეთქილების საგნად იქცა. მანთაშევს კომპანიაში სრული დომინირება სურდა და ამიტომ მალულად დაიწყო თავისი კომპანიონების აქციების შესყიდვა, რაც საერთო ბიზნესიდან მათ განდევნას გამოიწვევდა. არამიანცს მოუწია გასვლა სანავთობო წამოწყებიდან და, საერთოდ, ქალაქ ბაქოდან უკან, ტფილისში დაბრუნება. იმ დროისათვის მისი ქონება გაყიდული აქციებიდან **10,000,000 მანეთს აღწევდა.**

საბოლოოდ მანთაშევის ნავთობის წარმოება მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის მხოლოდ ნობელებისა და როტშილდების ოჯახების ბიზნესს თუ ჩამორჩებოდა.

ბაქოში მიმდინარე უმსხვილესი ბიზნესსაქმიანობის მიუხედავად, მანთაშევი არ წყვეტდა აქტიურ საქმიანობას საქართველოში. მაგალითად, ტფილისის კომერციული ბანკი იმ დროისთვის ყველაზე ავტორიტეტული იყო მთელ კავკასიაში და მისი აქციები რუსეთის იმპერიის მთავარ, სანქტ-პეტერბურგის ბირჟაზე იყო კოტირებული. მანთაშევის გათვლა სწორი გამოდგა, რადგან მალე მისი ქონება ერთიორად გაიზარდა და **1890 წლისთვის** ის უკვე პირველი გილდიის ვაჭარი და ტფილისის სათათბიროს სპიკერიც იყო.

მანთაშევი ნობელებთან და როტშილდებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა მსოფლიოში პირველი, 835-კილომეტრიანი ნავთობსადენის გაყვანაში ბაქოდან ბათუმამდე.

მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ასევე ტფილისის განაშენიანებაში. მანთაშევს არაერთი ცნობილი შენობის მშენებლობა დაუფინანსებია და მათ შორის იყო თბილისის სავაჭრო სკოლა, რომელიც თბილისელი ვაჭრების საზოგადოების მიერ მანთაშევის ფულით აშენდა და მრავალი წლის განმავლობაში მის სახელსაც ატარებდა. მანთაშევს ასევე წვლილი მიუძღვნის დღევანდელი ღადო ასათიანის ქუჩაზე რამდენიმე მშენებლობის დაფინანსებაში.

მის ქველმოქმედებათა ნუსხაშია მოხუცთა სახლი მთაწმინდაზე (დღევანდელი ძმ. ზუბალაშვილების ქუჩა) და უსინათლოთა სკოლა ავლაბარში. იგი თეატრალური ხელოვნების დიდი თაყვანისმცემელი იყო და ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა თბილისის სომეხთა თეატრალურ საზოგადოებას. და რაც მთავარია, იგი იყო „არტისტული საზოგადოების სახლის“ მშენებლობის ერთ-ერთი დამფუძნებელი (შენობაში დღეს რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ფუნქციონირებს).

აღსანიშნავია ისიც, რომ მანთაშევის დაკვეთით იყო აშენებული თანამედროვე ძველ თბილისში, ბამბის ქუჩაზე არსებული ე. წ. „მანთაშევის ქარვასლები“. დღემდეა შემონახული შენობის განსაკუთრებული არქიტექტურა, რომლის ავტორი ცნობილი არქიტექტორი ღაზარ სარქისიანი გახლდათ.

ალექსანდრე მანთაშევი **1911 წელს** სანქტ-პეტერბურგში გარდაიცვალა, ხუთი დღის შემდეგ კი მისი ცხედარი ტფილისში გადმოასვენეს და მეუღლის გვერდით, ვანქის ეკლესიის საოჯახო აკლდამაში დაკრძალეს.

ასეთი იყო მანთაშევის რთული და მრავალფეროვანი ცხოვრება. მისი ქონება, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, **1917 წლის** რევოლუციას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას შეეწირა. F

ცვლილების შესახებ



ხშირად, როცა ადამიანები მოწყენილები არიან, არაფერს აკეთებენ. უბრალოდ საკუთარ მდგომარეობას დასტირიან. მაგრამ როცა ბრაზდებიან, აი, მაშინ იწყებენ ცვლილებებს.

– მალკოლმ იქსი



დაე, რეალობა რეალობა იყოს. დაე, მოვლენები ბუნებრივად განვითარდნენ იმ გზით, როგორითაც მათ უნდათ.

– ლაო-ძი

ნორმიდან გადახრის გარეშე, პროგრესი შეუძლებელია.

– ფრენკ ზაპა

ცვლილება გარდაუვალია. პროგრესულ ქვეყანაში ცვლილება მუდმივია.

– ბენჯამინ დიზრაელი

სამყაროს ისტორია სხვა არაფერია, თუ არა თავისუფლების ცნობიერების პროგრესი.

– გ.ვ.ფ. ჰეგელი

სამყაროში არაფერია სტაბილური. ქაოსი ჩვენი ერთადერთი მუსიკაა.

– ჯონ კიტსი

დამოკიდებულებების შეცვლა თუ გინდა, ეს საქმე ქცევის ცვლილებით დაიწყე.

– კეტრინ ჰეპბერნი

მხოლოდ პასუხგაცემული კითხვების წყალობით როდი გავიგეთ, რომ პროგრესის გაზომვა შესაძლებელია, არამედ იმ კითხვების წყალობითაც, რომელთაც დღემდე ვსვამთ.

– ფრედა ადლერი

ადვილია თავის მოკატუნება, თითქოს სამოთხე დავკარგეთ. ჩვენ ის არასდროს გვქონია. ის ჯერ კიდევ შესაქმნელია.

– სიუზან ერცი

„ცვლილება“ მეცნიერულია, „პროგრესი“ – ეთიკური. ცვლილება ეჭვშეუვალია მაშინ, როცა პროგრესი დავის საკითხია.

– ბერტრან რასელი

შენ სამუდამოდ ჭაბნი მას და ისიც ქრება. სახეს უმახინჯებ და იშორებ.

- იობი 14:20

ჩამოიცილე ტვირთი მხრებიდან და იარე წინ.

– ბარბარა კინგსოლვერი



საბოლოო მოსაზრება:

ჩვენი მომავალი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა განვაგრძოთ ზემოთ ყურება, უნდა განვაგრძოთ ძიება და ვიპოვოთ ღრუბლებში დამალული საოცრება. ის იქ არის.

– მალკოლმ ფორბსი

წყაროები: „მალკოლმ იქსის გამოსვლები“; TIMES-ის „ციტატების წიგნი“; ბერტრან რასელის „არაპოპულარული ესეები“; ფრედა ადლერის „დები დანაშაულში“; გ.ვ.ფ. ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფია“; ბარბარა კინგსოლვერის „ხალამიანი ბიბლია“; სიუზან ერცის „სიბრაზე ცაში“; კურტ ვონეგუტის „მექანიკური პიანინო“.